პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 16 ივნისი 1927 წ.

ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ფასი 5 კაპ. № 135 (1880)

დ ღ ი უ რ ი

— გადადგა რუმინეთის საგანგებო რწმუნებული ბესარაბიაში რასკანუ.
— შოტლანდიის სამთამადნო მუშათა შორის იზრდება კომუნისტების გავლენა.
— გაიხსნა რეიხსტაგის საზაფხულო სესია.
— ხუნანში (ჩინეთში) გლეხთა მოძრაობა ფართე ხასიათს ღებულობს.
— ბრიუსელში ბარბიუსის თავმჯდომარეობით შესდგა ომში ყოფილ მონაწილეთა კონგრესი.
— ინგლისის კომპარტიამ ლონდონში მოაწყო დემონსტრაცია ბოლდუინის მთავრობის წინააღმდეგ.

ერთა ლიგის საბჭოს სესიის გამო

13 ივნისს ჟენევაში გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია. იგი შეიკრიბა მაშინ, როცა საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე გართულებულია. ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ ურთიერთობა გასწყვიტა საბჭოთა კავშირთან და ის არავითარ საშუალების წინაშე არ ჩერდება ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ფრონტის განსახორციელებლად და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის პროვოკაციის მოსაწყობათ. ვარშავაში კლავენ საბჭოთა ელჩს, რომ გაამწვავონ დამოკიდებულება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩინეთში, სადაც რევოლიუცია იმარჯვებს, იმპერიალისტები აძლიერებენ სამხედრო ძალებს და აშკარა ინტერვენციაზე გადადიან, რომ სისხლში ჩაახრჩონ ჩინეთის ხალხის ძლევამოსილი განმანთავისუფლებელი ბრძოლა. ალბანეთ-სამხრეთ-სლავიას შორის საბოლოოდ ჩაიშალა დიპლომატიური ურთიერთობა და ორივე მხარე ემზადება ომისათვის, რომელშიაც, თუ ის ფაქტი შეიქნა, აუცილებლად ჩაერევიან იტალია და სხვა დაინტერესებული ქვეყნები. ლონდონის ყაჩაღები შეტევას აწარმოებენ ეგვიპტის წინააღმდეგ, რათა მოსპონ მისი დამოუკიდებლობის ნასახიც და მონობის მუხრუჭი უფრო მაგრად მუჭირონ მას.

ასეთია ეხლანდელი საერთაშორისო სინამდვილის უმთავრესი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხე მეტად სერიოზულია. ასეთ დამძიმებულ ატმოსფერაში დაიწყო „მუშაობა“ ერთა ლიგის საბჭომ. როგორც ვიცით, ეს „პატივცემული“ ორგანიზაცია, მისი დამაარსებლების სიტყვით, მოწოდებულია მშვიდობიანობის საქმეს ემსახუროს. არა გვგონია, დღეს მოიპოვებოდეს ისეთი ბრიყვი ვინმე, რომელსაც სჯეროდეს ერთა ლიგის ასეთი მისია, მით უმეტეს მისი უნარი ომის საფრთხის მოსპობის და ხალხთა შორის თანამშრომლობის განხორციელების საქმეში. არა ერთხელ დამტკიცებულა, რომ ერთა ლიგა მშვიდობიანობის დაცვის მიზნისათვის სრულ არარაობას წარმოადგენს, კიდევ მეტი: ის იარაღია დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხელში, რომელნიც სხვადასხვა ბნელ კომბინაციებს აწყობენ თავისი ავაზაკური ხრიკების გასატარებლად, სხვადასხვა ხალხების დასამონავებლად. ერთა ლიგა მასში გაბატონებულ იმპერიალისტების მტაცებლურ პოლიტიკას უკეთეს შემთხვევაში დუმილით ჩაუვლის გვერდს, უარეს შემთხვევაში კვერს უკრავს მას.

ეჭვს გარეშეა, რომ ერთა ლიგის ასეთ როლს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს მისი საბჭოს ეხლანდელი სესიის „მოღვაწეობაც“. აბა თუ გაიგონებთ მისგან, მაგ., ჩინეთის დასაცავად რაიმე სიტყვას, თუმცა ჩინეთი ლიგის „სრულუფლებიანი“ წევრია და მას თავს ესხმიან აგრეთვე ლიგის წევრები. დიდი „წყალობა“ იქნება, თუ ჩინეთის ინტერვენცია მან არ გაამართლა „სამართლიანობისა და კულტურის“ სახელით. ასე მოიქცევა ჟენევის „საკრებულო“ იმპერიალისტების ძალადობის სხვა შემთხვევებშიც.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ერთა ლიგას თავის სხდომებზე არასოდეს არ გადაუწყვეტია რაიმე ცოტად თუ ბევრათ საყურადღებო საკითხი. ასეთ უფლებას მას არ ანიჭებენ იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები, რომელთა კარნახით იგი მოქმედობს. და ამ აზრით საგულისხმოა არა ის, რაც ერთა ლიგის ოფიციალურ სხდომებზე ხდება, არამედ ის, რაც მის კულისებში წარმოებს. ერთა ლიგა არის ის მოხერხებული ადგილი, სადაც იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან მორიგი კომბინაციების შესახებ საიდუმლო მოლაპარაკების გასამართავად. გადაწყვეტილებები სწორედ აქ გამოაქვთ, ხოლო ერთა ლიგას, როგორც ასეთს, არაფერს ეკითხებიან.

დღესაც აშკარაა, რომ ერთა ლიგის „საქმიანობის“ სიმძიმის ცენტრი ამ საიდუმლო თათბირებზე იქნება გადატანილი. ისიც უდავოა, რომ ამ თათბირის მთავარი საგანი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება იქნება, თუმცა სესიის დღის წესრიგში ეს საკითხი სრულებითაც არ არის შეტანილი. ჩვენ გვახსოვს, რომ ასე მოხდა ლიგის გასული მარტის სესიაზე. ეს ის დრო იყო, როცა ჩემბერლენმა თავისი ცნობილი „გაფრთხილების“ ნოტა გაუგზავნა საბჭოთა კავშირს. მაშინ ის შეეცადა ევროპის სახელმწიფოების ჩაბმას ანტისაბჭოთა ბლოკში. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ინტერესთა წინააღმდეგობა დასავლეთის ქვეყნებ შორის ერთი მხრივ, მრავალი მათგანის დაინტერესება ჩვენთან ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულების შენარჩუნებით, მეორე, მხრივ—უფრო მძლავრი გამოდგა ჩემბერლენის დიპლომატიის ხრიკებზე და არავინ მოისურვა მის „დუდუკზე თამაში“, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესება.

ამჟამად ბოლდუინის მთავრობა, ცხადია, გააძლიერებს მუშაობას თავის ცდის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის გარემოცვის საქმეში.. იტყობინებიან, რომ ჩემბერლენს რაღაც ახალი წინადადებები შეაქვს საფრანგეთის და გერმანიის მისამხრობადო, ამავე დროს ჩემბერლენი შეეცდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გართულებას ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით. უკვე შესდგა ჩემბერლენ-ბრიან-შტრეზემანის წინასწარი შეხვედრა, სადაც შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე „ბჭობდენ“.

ჩვენ არ ვიცით ამ თათბირის შედეგები. მაგრამ ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ ჩემბერლენი ვერც ეხლა მოახერხებს თავის ანტისაბჭოთა ზრახვების განხორციელებას. ის მიზეზები, რომლებმაც ჩაფუშეს მისი ცდა ამ მიმართულებით აქამდე, კერძოთ ერთა ლიგის მარტის სესიაზე, დღესაც ძალაში რჩებიან და მათი აღმოფხვრა ჩემბერლენის ძალღონეს აღემატება. კერძოდ აღსანიშნავია, რომ გერმანია გადაჭრით იმიჯნება ჩემბერლენის ანტისაბჭოთა პოლიტიკისაგან. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო ამხ. ჩიჩერინისა და შტრეზემანის შეხვედრამ ბადენ-ბადენში. ხოლო გერმანიის მონაწილეობის გარეშე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნაზე. ვერც ბრიანი გაჰყვება ჩემბერლენის გზას. ამის თავდებია საფრანგეთ-ინგლისის ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით—საფრანგეთის შინაური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ამ ქვეყნის ფართე მოსახლეობის ანტიმპერიალისტური განწყობილებით და საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებისადმი მისწრაფებით.

ამნაირად, არის ყველა საბუთი ვიფიქროთ, რომ ჩემბერლენი ჟენევაში ამხანად მიზანს ვერ მიაღწევს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არა ერთალიგის წყალობით. უკანასკნელი მკვდარი დაწესებულებაა, რომლის გამოცოცხლებას და ავტორიტეტის აწევას ვერავინ მოახერხებს, თუ გინდ ამას შეეცადონ ბურჟუაზიასთან ერთად სოციალ-დემოკრატებიც. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ვენის „არბაიტერ ცაიტუნგ“, რომელსაც თავისი „მემარცხენეობით“ მოაქვს თავი, აყენებს ერთა ლიგის რეორგანიზაციის ლოზუნგს, რათა ის გადაიქცეს მშვიდობიანობის დამცველ ორგანოთ. ეს მეორე ინტერნაციონალის უკვე გახუნებული ლოზუნგია, რომლის მიზანია მასებში მავნე ილიუზიების შექმნა, თითქო შეიძლებოდეს ერთა ლიგის ასეთ ორგანოდ გარდაქმნა; ეს უნიადაგო და ყალბი წარმოდგენის გავრცელების ცდაა ერთა ლიგაზე. ამ ილიუზიის დამსხვრევა და ბრძოლა ერთა ლიგასთან, როგორც იმპერიალიზმის იარაღთან, არის ამავე დროს ბრძოლა მშვიდობიანობისათვის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბოლდუინის მთავრობის „გამარჯვება“

ინგლისის შუბლმაგართა კაბინეტი წარმოადგენს ისეთი მთავრობის განსაკუთრებულ მაგალითს, რომელიც თავიდანვე დაავადებული იყო რეაქციონური ცოფით. ეს მთავრობა ერთ და იმავე დროს სამი მიმართულებით აწარმოებს ბრძოლას: მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში, გამოღვიძებულ კოლონიალურ ქვეყნების წინააღმდეგ და მსოფლიოში ერთად-ერთ შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სულ რამოდენიმე კვირაა, რაც ამ მთავრობამ მიაღებია თავის ყურმოჭრილ მონა—პარლამენტს კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ—ეს „თავისუფლების ხარტია შტრეიკბრეხერებისათვის“, მოახდინა თავდასხმა არკოსზე და შემდეგ ჩაშალა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მიიღო გადამწყვეტი ზომები თავისი ინტერვენციის გასაფართოვებლად ჩინეთში, გაგზავნა ეგვიპტეში დრედნოუტები, რომ 16 დიუმიან ზარბაზნების მფარველობის ქვეშ დისკუსია აწარმოოს ეგვიპტეს პარლამენტთან.

გასაკვირი არაა, რომ ასეთი გაცხოველებული მოღვაწეობა შიშს იწვევს ბურჟუაზიის ზოგიერთ წარმომადგენლებს შორის. ინგლისის საქმიან წრეების ორგანოში, ჟურნალ „ეკონომისტ“-ში ჩვენ ვკითხულობთ ბოლდუინის მთავრობის „გამარჯვების“ მეტად გესლიან შეფასებას. წერილის ავტორი ბოლდუინის პოლიტიკას, კერძოდ, კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ და ურთიერთობის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან ადარებს აზარტულ თამაშს.

წერილის ავტორი გრძნობს ამ სახიფათო პოლიტიკის გაგრძელებას და პირდაპირ მიუთითებს ჩინეთზე და ეგვიპტეზე, როგორც ისეთ ქვეყნებზე, სადაც ინგლისისათვის შეიძლება დაიწყოს ახალი სერიოზული გართულება.

უკმაყოფილოა ეგრეთწოდებულ ზომიერ კონსერვატიულ ბანაკის ცნობილი პუბლიცისტი ჯონ გარვინი. ამონაწერები მისი წერილიდან, რომელიც სავსეა გესლით და მკაცრი საყვედურებით ბოლდუინის მთავრობის მიმართ, უკვე მოყვანილი იყო ჩვენს პრესაში.

გარვინი ეხება ინგლისის პარლამენტის დამატებით არჩევნებს. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ხუთჯერ იყო ასეთი არჩევნები და ყველა შემთხვევებში მმართველი პარტიის კანდიდატები დამარცხდენ, კონსერვატორებისათვის მიცემულ ხმების რაოდენობა კი საგრძნობლად შემცირდა.

თუ წინეთ ეს ხუთი ოლქი პარლამენტში წარმოდგენილი იყო ორი კონსერვატორით, მუშათა პარტიის ორი წევრით და ერთი ლიბერალით, ეხლა დამატებითი არჩევნების შემდეგ ეს ოლქები წარმოდგენილია მუშათა პარტიის ორი წევრით და სამი ლიბერალით. განსაკუთრებით დამახასიათებელია საარჩევნო ხმების მოძრაობა ბოსუორის ოლქში, სადაც დამატებითი არჩევნები ხდებოდა პროფკავშირების შესახებ მიღებულ კანონპროექტის და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის მომხრე თუ საწინააღმდეგო პლატფორმაზე. თვალსაჩინოა იმ ხმების რაოდენობის შემცირება, რომლებიც მიიღეს კონსერვატორებმა. ლიბერალურმა კანდიდატმა ამ შემთხვევაში გაიმარჯვა ხმების მეტად მცირე უმრავლესობით, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ისიც წინააღმდეგი იყო პროფკავშირების შესახებ მიღებულ კანონპროექტის და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის.

თუ წინედ გარვინი სწერდა, რომ საერთო არჩევნები პროფკავშირების შესახებ მიღებულ კანონპროექტის პლატფორმაზე ნიშნავდა კონსერვატორებისათვის 100 მანდატის დაკარ- მიხედვით, ის ფიქრობს, რომ მმართველ გვას, ბოსუორის არჩევნების შედეგების პარტიას უნდა დაეკარგა 150 მანდატი, ე. ი. დაეკარგა ადგილების თითქმის ნახევარი.

ასეთია კონსერვატიული კაბინეტის მდგომარეობა ქვეყნის შიგნით. ის ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში მოსახლეობის უმცირესობაზე დაყრდნობით და უმრავლესობა მიიღო თემთა პალატაში მხოლოდ იმის გამო, რომ ინგლისის საარჩევნო სისტემა მახინჯია.

ამჟამად ვერც ეს სისტემა და ბურჟუაზიულ - დემოკრატიული საარჩევნო მექანიკის ვერც სხვა ჩვეულებრივი ხრიკები, გარვინის კომპეტენტური აზრით, ვერ იხსნის კონსერვატორებს დამარცხებისაგან. მაგრამ კონსერვატიულ კაბინეტს მთელი წელიწადი აქვს წინ. მას შეუძლია არ დაიჩქაროს არჩევნები, შეუძლია შექმნას არჩევნებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები, მოამზადოს რაიმე განსაკუთრებული ეფექტი და ამ დროის განმავლობაში კი განაგრძოს თავისი აზარტული თამაშის პოლიტიკა.

ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნა ევროპაში—აი მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფვის ყოველი საშუალებებით ინგლისის დიპლომატია. ამაზე სრულიად აშკარად ლაპარაკობს ევროპის მთელი ბურჟუაზიული პრესა. კერძოდ, ასეთია სწორედ აზრი გაზეთების ცნობებისა ერთა ლიგის საბჭოს სესიის შესახებ, რომელიც ეხლა მიმდინარეობს. ყველა ცნობები აღნიშნავენ, რომ მისტერ ჩემბერლენი ეძებს მოკავშირეს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად.

მაგრამ ინგლისის დიპლომატიის ამ მანევრების შეფასების დროს ნათელი ხდება ახალი ნოტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონტინენტალური და, კერძოდ, გერმანიის ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეები შიშს მოუცავს.

„მთელ ევროპაში,—სწერს „ფოსიშე ცაიტუნგ“-ში ცნობილი პუბლიცისტი გეორგ ბერნგარდი—საგრძნობია ეხლა შიშის ძლიერი ნაკადი, რომელიც რამოდენიმე ხანია ინგლისიდან გამომდინარეობს. ჩინეთში, ეგვიპტეში, იტალია-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტში—ყველგან სჩანს ინგლისის ხელი; ცნობილია, რომ მუსოლინის სიტყვები აიხსნება მხოლოდ მისი იმედებით ინგლისის დახმარებაზე და რომ ტირანის ხელშეკრულება ინგლისის ნებადაურთველად ვერასოდეს ვერ იქნებოდა დადებული“.

ახასიათებს რა, ამრიგად, ინგლისის დიპლომატიის „ნაყოფიერ“ მუშაობას საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავების საქმეში, ბერნგარდი იმ დასკვნამდი მიდის, რომ „ინგლისი ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც იგი შეიძლება გარიყული დარჩეს“ და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ „ინგლისი ამას სჩადის არა დიდი; ფხიზლად მოფიქრებული, საერთაშორისო მასშტაბის გეგმების განსახორციელებლად, არამედ იმ მცირერიცხოვან კასტის გიჟურ, დაუსაბუთებელ, პირუტყვულ ინსტიქტების განხორციელების გულისათვის, რომელიც რამოდენიმე ისეთ ავანტიურისტულ ფიგურასთან ერთად, როგორიც არის უინსტონ ჩერჩილი, ბატონობს კონსერვატორების უფრო გონიერ ნაწილზე და აშინებს მათ კონსერვატიული პარტიის ჩაშლის საშინელი აჩრდილით“.

საჭირო არ არის, რასაკვირველია, ასეთი განცხადებების მნიშვნელობის ზედმეტად შეფასება. გარვინის ბუტბუტი ისევე, როგორც გეორგ ბერნგარდის „ძლიერი სიტყვები“ ბევრს არაფერს სცვლის საერთაშორისო კლასიურ ძალთა განწყობილებაში. თვით ის განსხვავება „გონიერ“ კონსერვატორებსა და გათავხედებულ შუბლმაგრებს შორის, რომლებზედაც ემყარებიან ყველა ეს „კრიტიკოსები“, უნდა გამოვძებნოთ გამადიდებელი შუშით.

მაგრამ აღსარებანი, რომლებიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, არ ჰკარგავენ თავის მნიშვნელობას. ისინი ამტკიცებენ, რომ ბურჟუაზიის ხელმძღვანელ და ყველაზე უფრო ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას იმ ქვეყანაში, რომელიც კაპიტალიზმის აკვანი იყო, არ შეუძლია სხვა პოლიტიკის წარმოება, გარდა უაზრო ავანტიურების პოლიტიკისა.

ეს საკმაოდ ახასიათებს კაპიტალისტურ მსოფლიოს საერთო მდგომარეობას.

„პრავდა“.
მოსკოვი, 15 ივნისი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

უკვე რამდენიმე დღეა რაც ფრონტებზე აქტიური მოქმედება მიყუჩდა. მართალია, ისეთი დიდი ბრძოლების შემდეგ, რომელნიც გადაიტანეს რევოლიუციონურ ჯარებმა ჩენ-ჯოუ-კაი-ფინის რაიონში, დასვენება და წესრიგის აღდგენა, დანაკლისის შევსება საჭიროა; და ყველა ეს დროს მოითხოვს. მაგრამ სწორედ ამ ბრძოლების შემდეგ იმგვარი სტრატეგიული მდგომარეობა შეიქმნა და მოპირდაპირე იმდენად განადგურებულ იქნა, რომ გარემოება მოითხოვდა რევოლიუციონურ ჯარების შეუჩერებელ წინსვლას. მით უმეტეს, რომ ბრძოლაში ჩაერია დასვენებული ახალი ჯარი იენ-სი-შანისა. მუკდენელების სასტიკმა დამარცხებამ ისეთი არევ-დარევა გამოიწვია ჩრდილოელ მილიტარისტთა შორის და ისეთი დეზორგანიზაცია შეიტანა მათ ბანაკში, რომ ამით უსათუოდ უნდა ესარგებლა რევოლიუციონურ ჯარს.

მაგრამ მან თითქოს შეაჩერა მოქმედება და ჩვენ ვშიშობთ, რომ ასეთი გაჩერება მის და უნებლიეთ მოხდა და მიზეზი აქ ვაი თუ იმ გარემოებაშია, რომელზედაც გვაუწყებენ დღევანდელი დეპეშები. შანხაიდან მოსული დეპეშა იუწყება, ვითომ ფან-იუ-სიანის და ნანკინის მთავრობის შორის მოლაპარაკება სწარმოებს, ვითომ ფინ-იუ-სიანს განზრახვა აქვს შუამავლად გამოვიდეს უხანის მთავრობის და ჩან-კაი-შის შორისო. შეიძლება ეს შანხაიდან მოსული ცნობა წმინდა პროვოკატორული ხასიათისაა. არა ერთხელ მოუწოდებია შანხაის სხვა დასხვაგვარი ჭორი. მაგრამ მეორე ცნობა, ჩან-შადან მოსული, რომელიც უსათუოდ სიმართლეს შეეგუება; მეტად დამაფიქრებელია. ჩან-შა პროვინცია ხუ-ნანის მთავარი ქალაქია და მდებარეობს ხან-კოუ—კანტონის რკინის გზაზე. პროვინცია ხუ-ნანი ზურგია უხანის მთავრობისა და ჰფარავს როგორც ამ მთავრობას, ისე ჩრდილოეთით მომქმედ რევოლიუციონურ ჯარებს კანტონის მხრით. ერთი სიტყვით, სამხედრო თვალსაზრისით ხუ-ნანის პროვინციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგივე ხუ-ნანის პროვინცია ერთი იმ პროვინციათაგანია, სადაც გლეხთა მოძრაობამ უკიდურეს საფეხურს მიაღწია. აქ აგრარულმა მოძრაობამ მწვავე ხასიათი მიიღო და გლეხობა მუსრს ავლებს ადგილობრივ მემამულეებს, მან ხელთ იგდო ძალაუფლება და მთელი პროვინცია გლეხების ორგანიზაციების ხელში გადავიდა. გლეხების ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა რევოლიუციონურ ჯარების მეთაურთა შემადგენლობის იმ ნაწილს, რომელიც ჩინეთის შეძლებულ კლასს ეკუთვნის. ეს მემარჯვენე კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრობა ეხლა პროვინცია ხუ-ნანში აქტიურად გამოსულა გლეხების წინააღმდეგ და გადატრიალება მოუხდენია ჩან-შაში. აქ ძალა-უფლება ხელში ჩაუგდია კონტრრევოლიუციონურ ოფიცრობას. მართალია, ხუ-ნანის პროვინციაში ამჟამად მხოლოდ ერთი კორპუსი იმყოფება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრობა ბევრი მოიპოვება მთელ რევოლიუციონურ ჯარში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროვინცია ხე-ნანში, სადაც ამჟამად მთავარი ფრონტია, აგრეთვე გლეხობის მოძრაობას მეტად ფართე და აქტიური ხასიათი აქვს და შესაძლებელია, რომ აქ მომქმედ რევოლიუციონურ ჯარების მეთაურთა შემადგენლობაშიაც ჩან-შას მაგალითმა ნიადაგი მოიპოვოს, და ასეთი გარემოება, რა თქმა უნდა, სამწუხარო შედეგებს გამოიწვევს.

ამიტომ უხანის მთავრობამ ყოველი ზომა უნდა იხმაროს, რათა დასაწყისშივე მოსპოს პროვინცია ხუ-ნანში კონტრრევოლიუციონური ოფიცრობის ამბოხება.

ჩინეთის რევოლიუცია კვლავ კრიზისს განიცდის. ჩინეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობაში მომქმედ ძალების დიფერენციაციის პროცესი გრძელდება. თუ ჩან-კაი-შისთან ერთად ამ მოძრაობას ჩამოშორდა ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზია, ეხლა აგრარული მოძრაობის გაღრმავების და გამწვავების ხანაში იწყება იმ დანარჩენ ბურჟუაზიულ ელემენტების გამოთიშვაც, რომელთაც აგრარული მოძრაობა ემუქრება. ამჟამად ჩინეთის რევოლიუცია სწორედ აგრარულ მოძრაობით ხასიათდება. ასეთი პოლიტიკურ-სოციალური კრიზისი, თავის თავად ცხადია; გამოიწვევს კრიზისს სამხედრო ოპერაციებშიაც და თუ სინამდვილესთან ახლოს არის ცნობა; ვითომ ფინ-იუ-სიანი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-კაი-შისთან: მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ; რომ ეს ფაქტი სწორედ აღნიშნული კრიზისის მაჩვენებელია.

ი. გედევანიშვილი.

საბჭოთა პრესა

მოძრავი კოოპერატიული ვაჭრობა სოფლად

კერძო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმა სოფლად ბოლო დროს საგრძნობლად შეიცვალა. თუ წინად ვაჭრებს ჩვეულებრივ დუქნები ქონდათ გახსნილი, ეხლა ისინი მეტ წილად კარ და კარ დაიარებიან და გლეხებს პირდაპირ შინ აწვდიან საქონელს. საჭიროა კოოპერაციამ ასეთი პრაქტიკა შემოიღოს იმ ადგილებში, რომლებიც კოოპერატივიდან დაშორებულია. ამ გზით კერძო ვაჭრის დამარცხება უფრო ადვილია და მოსახლეობასაც დიდ სამსახურს გაუწევთ იაფი და კარგი ღირსების საქონლის მიწოდებით. ამხ. ა. ილინი ამ საკითხზე შემდეგს წერს **„პრავდაში“**:

„სასოფლო მოძრავი ვაჭრობის ორგანიზაცია ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: თემში, სადაც, დიდი სოფლის გარდა, მოიპოვებიან დაქუცმაცებული და წვრილი კუთხეები, რომელნიც ათეული ვერსით დაშორებული არიან სათემო ცენტრსა და იქ არსებულ კოოპერატივს,—უკანასკნელი ამ კუთხეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იჯერს ორსამ კაცს ცხენებით („კოოპერატიული მეკოლოფენი“). ისინი ეზიდებიან ამ პატარა სოფლებში კოოპერატიულ საქონელს და ყიდიან. კოოპერატიული მეკოლოფენი ნივთიერად უნდა იყვენ თავის მუშაობით დაინტერესებული, რისთვისაც წესდება დაჯილდოვება განსაზღვრული ანარიცხის სახით. იმ თანხიდან, რომელიც საქონლის გაყიდვიდან შემოდის. საქონელი, რა თქმა უნდა, იყიდება კოოპერატივის ფასებში, ამასთან, კოოპერატივი საქონლის შეფასების დროს ამატებს იმ ხარჯებსაც, რომლებიც დაკავშირებულია კოოპერატიულ მეკოლოფეთა მიერ საქონლის გადაზიდვასა და რეალიზაციასთან. მეკოლოფის გამგზავრება შეიძლება ხდებოდეს კვირაში ერთხელ, ან მის მიერ საქონლის გასაღების შემდეგ.

მრავალ შემთხვევაში კოოპერატიული მეკოლოფენი ცოცხალი კოოპერატიული საბჭოთა აგიტატორები იქნებიან, რისთვისაც თვითეულმა კოოპერატივმა, რომელიც მოძრავ ვაჭრობას აწყობს მეკოლოფეთა შერჩევას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს“.

ჩვენი კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს ყურადღებას ვაქცევთ ვაჭრობის ამ ფორმაზე. ამ მხრივ ცდის მოხდენა ჩვენში საინტერესო და სასურველად უნდა ჩაითვალოს.

ბრიან-შტრეზემან-ჩემბერლენის მოლაპარაკება

ჩინეთში ფართე ხასიათს ღებულობს აგრარული მოძრაობა

„ევრი“ სწერს: „პოლონეთმა არ უნდა გაიმეოროს შვეიცარიის შეცდომა და ვოიკოვის მკვლელი არ უნდა გაამართლოს“

ერთა ლიგის სესიაზე

სამთა საუბარი

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანულ გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ 13 ივნისს, ბრიანსა და შტრეზემანს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც საათნახევარი გაგრძელდა საუბარის დამთავრების შემდეგ, შტრეზემანმა ინახულა ჩემბერლენი, რომელთანაც მას ქონდა საუბარი საათ-ნახევარის განმავლობაში.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს:

„შეიძლება აღინიშნოს, რომ სამი მინისტრის შეხვედრას არავითარი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. შტრეზემანი და ჩემბერლენი შეთანხმდენ იმაში, რომ აუცილებელია მშვიდობიანობის დაცვა აღმოსავლეთში და რომ ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია სასწრაფოდ იქნას მოგვარებული სადავო საკითხები გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთს შორის.

მოლაპარაკება გარეშე საქმეთა სამ მინისტრს შორის უახლოეს დღეებში განახლდება უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოთა, უმთავრესად პოლონეთის და ბელგიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. (ადს.)

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის პრესა ეხება ბრიანის, შტრეზემანის და ჩემბერლენის მოლაპარაკებას და გამოსთქვამს აზრს, რომ ისინი შეთანხმდენ კომპრომისულ წინადადებებზე.

პრესის აზრით, ვერც ინგლისი და ვერც გერმანია ვერ შესძლებენ თავის ძირითად მისწრაფებების განხორციელებას. (ადს).

ჩემბერლენი ამასხარავებს ლიგას

ლონდონი, 14 ივნისი. მუშათა პარტიის ორგანო **„დეილი ჰერალდი“,**—უკეთებს რა კომენტარიებს ჩემბერლენის წინადადებას იმის შესახებ, რომ ერთა ლიგის საბჭოს სესია მომავალში მოწვეულ იქნას წელიწადში არა ოთხჯერ არამედ სამჯერ.—სწერს:

„ჩემბერლენმა გამოაშკარავა თავისი ნამდვილი დამოკიდებულება ლიგისადმი. იგი ისე მცირე ფასს აძლევს ლიგის მუშაობას, რომ ერთა ლიგის საბჭოს სესიებში მონაწილეობას სთვლის თავისი მუშაობის დიდათ დამაბრკოლებელ გარემოებად“. (ადს).

ჩემბერლენის საუბარი შტრეზემანთან

ბერლინი, 14 ივნისი. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ **ჟენევის წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ შტრეზემანის საუბარს ჩემბერლენთან.**

ამ წრეებში ამტკიცებენ, რომ ჩემბერლენი დაჟინებით სთხოვს შტრეზემანს შესცვალოს გერმანიის პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ, სამაგიეროდ აღუთქვამს მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას.

გამოქვეყნებული ცნობა შტრეზემანის და ჩემბერლენის შეხვედრის შესახებ, რომელიც ამტკიცებს, რომ თითქოს მიღებული იყო ყველა ზომები, რომ არ გართულდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი,—ეწინააღმდეგება ზემონათქვამს. მაგრამ ცნობა, ალბად, იტყობინება სამი მინისტრის ახალ დაახლოების შესახებ. (ადს)..

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

კომუნისტური დემონსტრაცია ლონდონში

ლონდონი, 14 ივნისი. 12 ივნისს, ტრაფალგარის ბაღში შესდგა ინგლისის კომპარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდათა ლიგის (კომკავშირი) მიერ მოწყობილი დემონსტრაცია, **რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 3.000 კაცმა. დემონსტრაცია ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით:**

„ბრძოლა საყოველთაო გაფიცვისათვის!“, „ბრძოლა პროფკავშირების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ!“ „გაუმარჯოს მშვიდობიან ურთიერთობას საბჭ. კავშირთან!“, „ძირს ბოლდუინის მთავრობა!“. (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 ივნისი. ომის წინააღმდეგ მებრძოლმა ნაციონალურმა საბჭომ პრესაში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „სანამ კავშირი იქნება გაწყვეტილი ინგლისსა და რუსეთს შორის, მანამ შეუძლებელია დამაკმაყოფილებელი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის. მშვიდობიანობის საქმე საფრთხეშია. ვსთხოვთ მთავრობას, ისარგებლოს პირველი ხელსაყრელი მომენტით და გამართოს მოლაპარაკება და ამით ახალი, საუკეთესო ფურცელი ჩასწეროს ინგლის - რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში.

წერილს სხვათა შორის ხელს აწერენ: ლორდი პარმური, (მუშათა პარტია), **ლორდ ტომსონი,** ცნობილი მწერალი **უელსი,** მუშათა პარტიის დეპუტატები: **კლაინსი და კენვორტი,** ბირმანგამის **ეპისკოპოსი,** პროფესორები — **ფინდლეი, ლასკი, ბიზლი** და სამეცნიერო, პოლიტიკური და საქმიანი წრეების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები. (ადს).

ინგლისი — მშვიდობიანობის საფრთხე

ლონდონი, 14 ივნისი. მთავრობამ **უარი უთხრა საზღვარეთის პასპორტის მიცემაზე ხუთ ბავშვს იმ ექვს ბავშთაგან, რომელთაც განზრახული ქონდათ მოსკოვში ჩამოსვლა საბჭოთა პიონერების ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად.**

რეაქციონური „დეილი მეილი“ ეხება რა ამ ფაქტს, ფიქრობს, რომ შესაძლოა ყველა კომუნისტებს უარი უთხრან პასპორტების მიცემაზე.

როცა ბავშვთა დელეგაციის გამგზავრების საპატივსაცემოდ გამართულ მიტინგზე განაცხადეს, რომ მთავრობამ უარი განაცხადა პასპორტების მიცემაზე, კუკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა:

„ინგლისის მთავრობა მერყეობს საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადების საკითხში, ვინაიდან **მას ეშინია იმ უთანხმოების, რომელიც შეიძლება წარმოიშვეს ინგლისში. ინგლისის მთავრობას არ შეუძლია უარჰყოს, რომ იგი ხელს უწყობს თეთრგვარდიელებს ინგლისში,** ხელს უწყობს პოლონეთს, ხელს და მუსოლინს. ევროპა ამჟამად წარმოადგენს ასპარეზს იქვებისა და ხმებისათვის სამხედრო მზადების შესახებ, და ყველა ამ ხმებს უკან სდგას ინგლისი“. (ადს).

ოსმალეთის პრესის აზრი

სტამბოლი, 14 ივნისი. ოსმალეთის პრესა ეხება ვოიკოვის მოკვლას და დანაშაულებრივ გამოსვლებს ლენინგრადში და მოსკოვში. **პრესა აღნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში აშკარად სჩანს ინგლისის ხელმძღვანელი როლი.**

„იგდამ“ სწერს:

„ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ სავსებით თვალსაჩინო ხდება, რომ კონსერვატიული მთავრობა ცდილობს გამოიყენოს რუსი მონარქისტები და ინგლისის მზვერავი პოლიცია კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობის შესაქმნელად საბჭოთა კავშირის შიგნით.. უნდა აღინიშნოს, რომ **ვრანგელის თათბირს** საბლინთან და ჰოფმანთან (გერმანელ რეაქციონერ გენერალთან) **დაესწრენ ინგლისის მზვერავ პოლიციის წარმომადგენლები.**

სტამბოლის გაზეთი „რეპუბლიკ“ ათავსებს ცნობას სათაურით **„ოპერეტა ბუფ, რომელსაც მხოლოდ მუსიკა აკლია“;** ცნობა შეეხება ვრანგელის განზრახვას მოახდინოს თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. (ადს).

ინგლისის პროვოკაციული ხელი

ვენა, 14 ივნისი. თუმცა ინგლისის საელჩო უარჰყოფდა ცნობას ინგლისის მიერ ვენაზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ, მაგრამ ვენის პრესიდან სჩანს, **რომ ინგლისი ავსტრიაზე ფინანსიურ ძალდატანებას ახდენს.** მემარცხენე ბურჟუაზიულმა „ტაგ“-მა, მაგალითად, შესწყვიტა წერილების ბეჭდვა საბჭოთა კავშირზე და შეიცვალა პოზიცია. ასევე შეიცვალა პოზიცია მემარცხენე ბურჟუაზიაულმა ორგანომ „მორგენ“-მა.

„ნეიე ფრეიე პრესსე“ მოწინავე წერილში სათაურით „ავსტრიის მარცხი“ ხაზს უსვამს, რომ ინგლის-საბჭოთა კონფლიქტმა მძიმე გავლენა იქონია ავსტრიაზე.

„ვერავინ ვერ გაბედავს ეხლა—სწერს გაზეთი— სავაჭრო ურთიერთობა გააბას საბჭოთა კავშირთან, რადგან **ინგლისი აწეული თითით აფრთხილებს ყველას და ჩვენ ნათლად ვგრძნობთ ჩვენს დამოკიდებულებას მისი სურვილისაგან.** ავსტრიას საკმაო სამწუხარო გამოცდილება და მრავალი საზრუნავი საგანი აქვს, რომ მან მოისურვოს ახალი უთანხმოების ჩამოგდება ინგლისთან“.

„აბენდ“-ი ხაზს უსვამს მსხვილი ბანკების გამცემლობას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხში.

„ფირმა ნეირატს“—სწერს გაზეთი—ღუპავენ ვენის ბანკები და, პირველ რიგში, კრედიტანშტალდი, რომლებიც ლონდონიდან მიღებულ განკარგულების თანახმად, კრედიტებს აღარ აძლევენ ფირმას, რომ ამით ხელი შეუშალონ რუსეთთან გარიგებების დადებას. ინგლისის გავლენის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ ფირმის გამგეობაში დანიშნულია ინგლისის ბანკის განყოფილების ყოფილი დირექტორი ხაიდუ“

ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ვენა, 14 ივნისი. სამხრეთ - სლავიის ნოტა ერთა ლიგისადმი ალბანეთთან კონფლიქტის შესახებ, ურთიერთობის შეწყვეტაში ბრალს სდებს ალბანეთს და გამოსთქვამს აზრს, რომ ერთა ლიგის წესდება ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რის გამო სთხოვს ერთა ლიგას არ განიხილოს დიურაშკოვიჩის დაპატიმრების საკითხი. თუ ერთა ლიგის საბჭო სცნობს, რომ ალბანეთთან მომხდარი ინციდენტი, სხვა პირობებთან დაკავშირებით სერიოზულ ხასიათისა არის, მაშინ სამხრეთ-სლავიის მთავრობა მზადაა ერთა ლიგას განსახილველად გადასცეს კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ვენა, 14 ივნისი. ახმედ-ზოგუს დაჟინებითი მოთხოვნის გამო, **ალბანეთის ელჩი ბელგრადში ზოანბეგი ახლო მომავალი დასტოვებს ბელგრადს. ამრიგად, დიპლომატიური ურთიერთობის საბოლოოდ ჩაშლა ალბანეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის—უახლოესი დღეების საკითხია.** (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

გლეხობის მოძრაობა ხუნანში

შანხაი, 14 ივნისი. ადგილობრივ პრესის ცნობებიდან, რომლებიც ჯერჯერობით არ არის დადასტურებული, ირკვევა, რომ ნაციონალურ არმიის სამხედრო უფროსთა შორის არსებობს უთანხმოება მთელ რიგ საკითხებში. უფროსთა შემადგენლობის ერთ ნაწილს აშინებს გლეხობის მოძრაობის ზრდა. **მთელ რიგ პროვინციებში, განსაკუთრებით ხუნანის პროვინციაში, გლეხობა აქტიურად გამოდის და ცდილობს ხელში ჩაიგდოს მემამულეთა მიწები. მსხვილი მემამულეები გარბიან შანხაიდან. მათი სიტყვით ოფიცრობის შეძლებული ნაწილი ემზადება, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს გლეხებს, რომელნიც ხუნანის პროვინციაში განსაკუთრებულის აქტიობით გამოდიან მემამულეთა მიწების ხელში ჩასაგდებათ.** (ადს).

გადატრიალება ჩან-შაში

ჩან-შა, 14 ივნისი. ხუნანში უკანასკნელ დროს აგრარული მოძრაობა იწვევდა მთელ რიგ კონფლიქტებს გლეხთა კავშირებსა და სამხედრო ნაწილებს შორის, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრები. უკანასკნელ დღეებში მე-35 კორპუსის მეთაურთა შემადგენლობამ იმ საბაბით, რომ გლეხთა კავშირები მიმართავენ მიწების კონფისკაციას, და აღელვებენ ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცებს ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება ქალაქში და გარეკა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები. გადადგა გომინდანის პროვინციალური კომიტეტი და ხუნანის ადგილობრივი მთავრობა. ქალაქში ხელისუფლება გადავიდა კორპუსის მემარჯვენე ოფიცრების მიერ მოწყობილ კომიტეტის ხელში. კორპუსის ნაწილებმა არა თუ გარეკეს პროფკავშირები და გლეხთა კავშირები, არამედ განაიარაღეს ისინი და დააპატიმრეს აგრეთვე 20-მდე ხელმძღვანელი პროფმუშაკი.

ცნობამ ჩან-შაში მომხდარ გადატრიალების შესახებ, დიდი აღელვება გამოიწვია ქალაქის განაპირა სოფლებში. **ჩან-შაზე იერიში მიიტანა რამოდენიმე ათასმა გლეხმა, რომლებიც ქალაქის გარნიზონთან შეტაკების შემდეგ იძულებული გახდენ უკან დაეხიათ მნიშვნელოვანი ზარალით. გლეხებმა ბრძოლის დროს მაინც ჩაიგდეს ხელთ 50 ვინტოვკა და 2 ტყვიისმფრქვეველი.**

ჩან - შაში მომხდარ გადატრიალებასთან დაკავშირებით პროვინციის სხვა დასხვა ნაწილებში ადგილი აქვს შეტაკებებს გლეხთა კავშირებსა და სამხედრო ნაწილებს შორის. (ადს).

დამხმარე ძალები მანილიდან

ლონდონი, 14 ივნისი. „ასოშეიტედ პრეს“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება რომ მანილიდან შანხაიში ჩავიდა შეერთებულ შტატების საზღვაო ქვეითა რაზმი 1.100 კაცის შემადგენლობით, რამოდენიმე ჰაეროპლანი და 25 ტანკი. (ადს).

მუკდენელების დამარცხება

შანხაი, 14 ივნისი. ცნობა, რომელიც შეეხებოდა მუკდენელთა ჯარების სასტიკად დამარცხებას, ხენანის პროვინციაში, მართლდება. ხმები დადის, რომ ჩან-ძო-ლინის განზრახვა აქვს დასტოვოს პეკინი. შანდუნელის ჯარებს ბრძოლის უნარი სრულიად აღარ აქვთ.

უკანასკნელ დღეებში მოდის ცნობები, ფინ-იუ-სიანის და ნანკინის მთავრობის მოლაპარაკების შესახებ. ეს ცნობები შეუმოწმებელია. იუწყებიან, რომ ფინ-იუ-სიანს განზრახვა აქვს გამოვიდეს შუამავლად ჩან-კაი-შის და უხანის მთავრობის შორის. იმ მიზნით, რომ ერთად აწარმოონ ბრძოლა ჩან-ძო-ლინთან.

კომუნისტების დევნა

შანხაი, 14 ივნისი. გაზეთ „შანხაი ტაიმს“-ის ცნობით, **ცზიან-სუს პროვინციაში დააპატიმრეს 18 კაცი, რომელთაც ბრალდებათ უყენებენ კომუნისტური პარტიის წევრობას.**

8 დაპატიმრებული, ჩან-კაი-შის ბრძანებით, გადაგზავნეს სასამართლო ხელისუფლების განკარგულებაში ნანკინში. (ადს).

შანხაი, 14 ივნისი. სვატოუდან (გუანდუნის პროვინცია) იტყობინებიან, რომ რევოლიუციონურ ელემენტებზე უკანასკნელი სასტიკი შურისძიების შემდეგ, რევოლიუციონური მოძრაობა დროებით შეჩერდა.

უკანასკნელ კვირაში თავი მოჰკვეთეს რამდენიმე კაცს, რომელნიც „სიმპატიას იჩენდენ წითლებისადმი“.

სვატოუს ოლქში მოხელეებს შორის გავრცელებულია მექრთამეობა, რაც არაჩვეულებრივ ხასიათს იღებს. (ადს).

იაპონიის პოზიცია

შანხაი, 15 ივნისი. რეიტერის სააგენტოს პეკინის კორესპონდენტის ცნობით, პეკინში ჩავიდა იაპონელი გენერალი **იამანაში, რომელსაც პრემიერმა ტანაკამ დაავალა სცადოს ზავის ჩამოგდება ჩრდილოეთისა და სამხრეთ ჩინეთის შორის.** (ადს).

დაპატიმრებულთა ბედი

პეკინი, 14 ივნისი. **საპროკურორო ზედამხედველობამ დაამთავრა იმ 15 საბჭოთა მოქალაქის საქმის გამოძიება, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ საბჭოთა საელჩოზე პეკინის პოლიციის თავდასხმის დროს.**

ყველა მასალები საქმის შესახებ გადაეცა სასამართლოს. (ადს).

ბოროდინის საქმე.

პეკინი, 14 ივნისი. **ბოროდინის და საბჭოთა კავშირის სამ დიპლომატიურ კურიერის საქმის გარჩევა სასამართლოში დანიშნულია 17 ივნისისათვის.**

მოსამართლედ დანიშნულია პეკინის ტრიბუნალის წევრი ხო.

ბრალდებულების დამცველებად გამოდიან—პეკინის ვექილთა ასოციაციის უხუცესი **მა-დაჩენი** და ორი ძმა **გოტინ-ბაო.**

უზენაესმა სასამართლომ არ მისცა დამცველად გამოსვლის უფლება ცნობილ ამერიკელ ვექილს ტიან-ცზინში ფოკსს, როგორც უცხოელს და ამის გამო უკანასკნელი გამოვა, როგორც ბრალდებულთა წარმომადგენელი. (ადს).

საბჭოთა ნოტის შემდეგ

პოლონეთმა არ უნდა გაიმეოროს შვეიცარიის შეცდომა

პარიზი, 14 ივნისი. საბჭოთა მეორე ნოტა პოლონეთისადმი, ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

„მიუხედავად ნოტის ბრძანებლობითი ტონისა, — სწერს „ევრი“, — უნდა ვაღიაროთ, რომ იგი არაა ისეთი, რომ გართულება გამოიწვიოს უნდა ვიფიქროთ, **რომ პოლონეთი არ ჩაიდენს შვეიცარიის შეცდომას, რომელმაც გაამართლა ვოიკოვის მკვლელი. მაშინ ამოწურული იქნება პოლონეთ - საბჭოთა ინციდენტი“.** (ადს).

ნორვეგიაში

ოსლო, 14 ივნისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა სამგლოვიარო სხდომა ვოიკოვის ხსოვნის აღსანიშნავად. **კრებას დაესწრენ მთელი საბჭოთა კოლონია, ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, სხვადასხვა პროფკავშირების ნორვეგიის მუშათა პარტიის, კომპარტიის წარმომადგენლები და ნორვეგიის მუშათა მოძრაობის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწეებისა.** (ადს).

ძველ პოზიციაზე

ვარშავა, 14 ივნისი. პილსუდსკის მომხრეთა ორგანო „გლოს პრავდი“, ეხება რა საბჭოთა მეორე ნოტას, აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობა საპასუხო ნოტაში დაიჭერს ძველ პოზიციას და განაცხადებს, რომ „საბჭოთა მეორე ნოტის მოთხოვნილებები არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს, ვინაიდან ეს მოთხოვნილებები ძალიან შორს მიდიან“. (ადს).

მისაღებია თუ არა?

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის მთელი პრესა აქვეყნებს განცხადებას, რომელიც ზალესკიმ გააკეთა ჟენევაში ლიტვინოვის მეორე ნოტის შესახებ; პრესა აქვეყნებს აგრეთვე პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობას და პოლონეთის პრესის მტკიცებას, რომ პოლონეთის მთავრობა მიუღებლად სთვლის მეორე ნოტას. (ადს).

ერთა ლიგის წრეებში

ვარშავა, 14 ივნისი. გაზეთებში მოთავსებულია პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა ჟენევიდან, რომ საბჭოთა მეორე ნოტის ულტიმატიურმა ტონმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთა ლიგის წრეებში., (ადს).

ვინ ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს

პარიზი, 14 ივნისი. „ტანი“, აქვეყნებს ცნობას, საბჭოთა საელჩოს მიერ ორი ნოტის გადაცემის შესახებ, საფრანგ. მთავრობისათვის იმის გამო, რომ თეთრგვარდიელები პარიზში ამზადებენ ყალბ საბჭოთა დოკუმენტებს. ეხება რა ამ ნოტას, გაზეთი სწერს:

„ვიღაც მატინიანმა, თბილისელმა, სამხრეთ - ამერიკის რესპუბლიკების საელჩოებს წინადადება მისცა ეყიდნათ მისგან დოკუმენტები, საბჭოთა პროპაგანდის შესახებ. მისი დოკუმენტების სიყალბე მაშინვე იქნა გამოაშკარავებული და 9 აპრილს იგი გააძევეს საფრანგეთიდან“. (ადს).

ომის ყოფილ მონაწილეთა კონგრესი

პარიზი, 14 ივნისი. ბრიუსელში **ბარბიუსის** თავმჯდომარეობით შესდგა ომის ყოფილ მონაწილეთა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც დაესწრენ საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ჩეხო - სლოვაკიის, ზანგების ყოფილ ჯარისკაცთა წარმომადგენელნი, საბჭოთა კავშირის ინვალიდების წარმომადგენელნი.

მიუხედავათ იმისა, რომ ყოფილ ჯარისკაცთა საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტმა საბჭოთა ინვალიდების ორგანიზაციას წინადადება მისცა შესულიყო ასოციაციაში, საფრანგეთის და ბელგიის რეფორმისტულ ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ დაუშვებლათ მიაჩნიათ საბჭოთა ორგანიზაციების მიღება, რადგან ეს გააძლიერებს ასოციაციის რევოლიუციონურ ფრთას. დაბოლოს რეფორმისტებმა დასტოვეს კონგრესი. დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებმა **ერთსულოვნად მიესალმენ საბჭოთა ინვალიდების შესვლას ყოფილ ჯარისკაცთა ინტერნაციონალში.**

არჩეულია ასოციაციის ახალი კომიტეტი ბარბიუსის თავმჯდომარეობით.

კონგრესმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოფილ ჯარისკაცებმა ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოონ ომის საფრთხის წინააღმდეგ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელი ჯაშუშის საქმე

ლონდონი, 15 ივნისი. კრონშტადტში დაიწყო ინგლისის ჯაშუშის კლეპიკოვისა და მისი ცოლის საქმის გარჩევა. კლეპიკოვი მსახურებდა ბალტიის ფლოტის ერთ-ერთ გემის უფროსად (ადს).

ფინეთის პროფკავშირების დელეგაცია

ლენინგრადი, 15 ივნისი. ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ზოგიერთი კუთხეების შემდეგ დაბრუნდა ფინეთის პროფკავშირების დელეგაცია.

ლენინგრადიდან დელეგაცია გაემგზავრა კარელიაში (ადს).

რენოდელის პროექტი უარყვეს

პარიზი, 15 ივნისი. საფრანგეთის პარლამენტმა უარყო რეფორმისტ რენოდელის მიერ შეტანილი პროექტი ეროვნული თავდაცვის მოწყობის შესახებ. აღნიშნული პროექტი წარდგენილი იყო მთავრობის კანონპროექტის დასაპირდაპირებლათ, მის შემდეგ, რაც მთავრობამ დასვა ნდობის საკითხი (ადს).

სამხრეთის ჯარები იმარჯვებენ

პეკინი, 15 ივნისი. ტოხოს სააგენტო შანხაიდან იტყობინება: სამხრეთის არმიამ ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლის შემდეგ დაიკავა ხაი-ჩჟოუ, ცზიან-სუს პროვინციის ჩრდილოეთით. სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა დაიხიეს ჩრდილოეთისაკენ.

ახლო მომავალში მოსალოდნელია შეტევა მთელი ფრონტის მანძილზე. ხმები დადის, რომ ამ ოპერაციებს პირადათ უხელმძღვანელებს ჩან კაი-ში (ადს).

ახალი დანიშვნები წითელ ჯარში

მოსკოვი, 15 ივნისი. სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით, ჩრდ. კავკ. სამხ. ოლქის უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწე ამხ. **ბელოვი**. სამხედრო სკოლების სამმართველოს უფროსად დაინიშნა სამხედრო რევოლ. საბჭოს წევრი და შუა-აზიის სამხედრო ოლქის უფროსი ამხ. **კუზმინი**.

ამხ. რიკოვის მოხსენება

მოსკოვი, 15 ივნისი. 15 ივნისს მოსკოვის მახლობლათ მდებარე სამხედრო ბანაკში, წითელარმიელთა კონფერენციაზე, გამოვიდა ამხ. **რიკოვი**, რომელმაც გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. წითელარმიელები აღფრთოვანებით შეხვდენ ამხ. რიკოვს და მრავალი შეკითხვები მისცეს მას (ადს).

მფრინავები კოსტი და რენიო

მინსკი, 15 ივნისი. საფრანგეთის მფრინავები კოსტი და რენიო, რომელნიც იძულებულნი გახდენ ჩამოშვებულიყვნენ საზღვართან, დღეს ისევ შეეცადენ აფრენას, მაგრამ დიდი ტალახის გამო ცდა უნაყოფოთ დამთავრდა (ადს).

ქარიშხალი ბელორუსიაში

მინსკი, 15 ივნისი. ბელორუსიაში გრძელდება ქარიშხალი წვიმით და სეტყვით. დაზარალებულია 39 რაიონი. არის ადამიანთა ბევრი მსხვერპლიც, დაჭრილთა რიცხვს ათეულებით ანგარიშობენ. დაიღუპა 30.000 დესეტინა ნათესი. დაზარალებულებს ეგზავნებათ თესლი და სესხი. ეწყობა საზოგადო სამუშაოები (ადს).

გომინდანის დელეგაციის მოთხოვნილებანი

ხანკოუ, 15 ივნისი. გომინდანის ხუნანის პროვინციის ორგანიზაციის დელეგაციამ, რომელშიაც შედის 80 წევრი, მიმართა გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი მოთხოვნილებით:

„დაუყოვნებლივ იქნას გაგზავნილი ხუნანის პროვინციაში დამსჯელი ექსპედიცია, იმ მიზნით, რომ აღადგინონ ყველა მუშათა, გლეხთა და პროფესიონალური ორგანიზაციები მთელ პროვინციაში. დათხოვნილი იქნეს სამხედრო საბჭო და თავდაცვის კომიტეტი. საჩქაროთ აღმოუჩინოს დახმარება დაზარალებულებს და მათ ოჯახის წევრებს“.

გომინდანის ცეკას მდივანი შეჰპირდა დელეგაციას, რომ იგი გადასცემს ყველა ამ მოთხოვნილებებს ცეკას პრეზიდიუმს, რომელიც იმყოფება ჩენ-ჩჟო უში (ადს).

სოც. პარტიის დამარცხება

ვარშავა, 14 ივნისი. პრუშკოვში არჩევნებზე დამარცხების შემდეგ პოლონეთის სოც. პარტია დამარცხდა აგრეთვე საავადმყოფო კასის არჩევნების დროს ვლოცლავეკში. „რაბოჩაია ლევიცამ“ მიიღო 16 მანდატი, პოლონეთის სოც. პარტიამ 4, მაშინ, როცა წარსულ არჩევნებზე პირველმა მიიღო 9, ხოლო მეორემ 10 მანდატი. ((ადს).

რეიხსტაგის საზაფხულო სესია

ბერლინი, 14 ივნისი. 14 ივნისს, იხსნება რეიხსტაგის საზაფხულო სესია. (ადს.)

კრიზისი ინგლისში

კომუნისტების გავლენა იზრდება

ლონდონი, 14 ივნისი .ამ ბოლო დროს მიღებულია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ შოტლანდიის მემაღაროებს შორის კომუნისტური გავლენა დღითი-დღე იზრდება. ლანკაშირში მემაღაროეთა საბჭომ მემაღაროებს შორის მოაწყო რეფერენდუმი საპარლამენტო არჩევნების დროს ნორტლანარკის საარჩევნო ოლქში მუშათა პარტიის კანდიდატათ კომუნისტ ვილიამ ალანის წამოყენების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ მემაღაროების კავშირის მემარჯვენე ფრთა და კაპიტალისტური პრესა ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა ალანის წინააღმდეგ, რეფერენდუმში ალანმა მიიღო 5.076 ხმა 4.476 ხმის წინააღმდეგ.

კრიზისი ნახშირის მრეწველობაში

ლონდონი, 15 ივნისი. ინგლისის ნახშირის მრეწველობაში კრიზისი თანდათან იზრდება. დღითი-დღე უარესდება მემაღაროების მდგომარეობა. ინგლისის ბევრ რაიონებში მემაღაროები სიმშილობას განიცდიან. (ადს).

საუბარი ედო ფიმენთან

ჰელსინგფორსი, 14 ივნისი. **ედო ფიმენმა**, რომელიც ამჟამად იმყოფება ჰელსინგფორსში ტრანსპორტის მუშათა ყრილობაზე, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„მიმდინარე ეპოქა, როცა ომის უშუალო საფრთხე განსაკუთრებით ძლიერია, როცა ინგლისი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, — მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე აყენებს ახალ ბრძოლისათვის მოზადების ამოცანას, თავისი დაქსაქსული რიგების მთლიანობის აღდგენის ამოცანას“.

ფიმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშაობა, რომელიც დაიწყო ინგლის-რუსეთის კომიტეტმა საერთაშორისო პროფ მოძრაობის მთლიანობის მიღწევის სფეროში, გაგრძელებული უნდა იქნეს უფრო ფართე მასშტაბით.

დასასრულ ფიმენმა იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში მოეწყობა ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს მთელი ქვეყნის მუშების მისწრაფებას მთლიან ფრონტისაკენ. (ადს).

ნიადაგის შემსწავლელთა ყრილობა

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. 13 ივნისს, ვაშინგტონში გაიხსნა ნიადაგის შემსწავლელთა საერთაშორისო ყრილობა.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის სახელით ყრილობას მიესალმა ლენინგრადელი პროფესორი **გლინკა**. ყრილობასთან მოწყობილია გამოფენა; ამ გამოფენაზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია საბჭოთა ექსპონატები რომლებიც ყველას ყურადღებას იქცევენ. საბჭოთა დელეგაციამ გამოსთქვა სურვილი, რომ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გადაეცეს საბჭოთა ექსპონატები, რომლებმაც საძირკველი უნდა ჩაუყარონ ნიადაგის მცოდნეობის მსოფლიო მუზეუმის შექმნას ვაშინგტონში. მიწად-მოქმედების დეპარტამენტი, ალბად მიიღებს საბჭოთა დელეგაციის წინადადებას. (ადს).

სავაჭრო ურთიერთობისათვის

ბერლინი, 14 ივნისი. დაიტშე ვერგვერ-ცეიტუნგი“ წერილს უძღვნის იმ ამოცანებს, რომელნიც ამჟამად დგანან გერმანიის სახალხო მეურნეობის წინაშე საბჭოთა კავშირში და რჩევას იძლევა დაუყოვნებლივ დაარსდეს ეკონომიური წარმომადგენლობა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან მოსკოვში და წარმომადგენლობის განყოფილებები ხარკოვსა და ლენინგრადში. (ადს).

გენ. რასკანუს გადადგომა

ვენა, 14 ივნისი. ბესარაბიის საქმეთა კომისარმა გენერალმა **რასკანუმ**, რომელიც თავის დროზე ავერესკუმ დანიშნა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

ეხლანდელმა პრემიერმა სტირბეიმ წინადადება მისცა რასკანუს სასწრაფოთ მოახდინოს კომისარიატის ყველა საქმეების ლიკვიდაცია. კომისარიატი გაზ. „დიმინეატის“ ცნობით, დათხოვნილი იქნება. (ადს).

ბანდიტების მსხვერპლი



ამხ. ოპანსკი

რომელიც დაიღუპა კონტრ-რევოლიუციონერების ხელით

გერმანიის მუშების პროტესტი

სიმაგრეების მოსპობა

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას და ბელგიას წერილობით აცნობა, რომ დამთავრებულია მუშაობა 34 ტინობის ციხე-სიმაგრის მოსასპობათ გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე. (ადს)..

დემონსტრაციები ჰამბურგში

ბერლინი, 14 ივნისი. ჰამბურგში შესდგა სამი მასიური კრება და დემონსტრაციები ქუჩებში ომის პროვოკაციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

საფრანგეთის ციხეებში

პარიზი, 14 ივნისი. მემარცხენე პრესამ დაიწყო კამპანია სამი ანარქისტის განთავისუფლებისათვის, რომლებიც ციხეში არიან დაპატიმრებულნი ანტიმილიტარისტულ პროპაგანდისათვის და რომლებიც უკვე 24 დღეა სიმშილობენ. ანარხისტებმა მოიხადეს სასჯელის ორი მესამედი, მაგრამ წინააღმდეგ ჩვეულებისა, რომელიც დაწესდა პოლიტიკურ პატიმრებისათვის, განთავისუფლებული არ არიან სასჯელის ვადის დანარჩენ ნაწილისაგან. (ადს).

სოფიას ციხეში

ვენა, 14 ივნისი. ბულგარეთის პრესის ცნობით, პოლიციამ თავიდან აიცილა პოლიტპატიმართა გაქცევა სოფიას ციხიდან. (ადს).

აჯანყება ციხეში

ვარშავა, 14 ივნისი. ბრაზილიის ციხეში დაიწყო სისხლის სამართლის დამნაშავეთა აჯანყება. აჯანყების მიზეზია—რეპრესიები და ცუდი კვება. (ადს).

სხვადასხვა

ლეონ დოდე

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის მთავრობა აპირობს 14 ივლისს ამნისტიით გაანთავისუფლოს ლეონ დოდე.

ჯ. ჯერომის გარდაცვალება

ლონდონი, 14 ივნისი. გარდაიცვალა მწერალი ჯერომ კ. ჯერომი.

ახალი ცეპელინი

ბერლინი, 14 ივნისი. გერმანელი მფრინავი ეკკენერი იტყობინება, რომ ცეპელინი „ლ. ც. 27“ მზად იქნება მომავალი წლის გაზაფხულზე. იგი იფრენს ამერიკასა და გერმანიას შუა. განზრახულია აგრეთვე ფრენა დედა-მიწის გარშემო 300 საათის განმავლობაში (ადს).

ლინდბერგის შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. საზეიმო შეხვედრა, რომელიც ლინდბერგს მოუწყვეს ნიუ-იორკში, დაესწრო 1 მილიონამდე კაცი. (ადს).

ჰაეროპლანის დაღუპვა

პრაღა, 14 ივნისი. 14 ივნისს ვრაბლის მახლობლად (სლოვაკია) ჩამოვარდა სამხედრო ჰაეროპლანი. მფრინავი და მეთვალყურე დაიღუპნენ. (ადს).

ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაში

ვარშავა, 12 ივნისი. გდინში ჩავიდა ინგლისის ესკადრა 4 წყალქვეშა ნავის და ერთი სატრანსპორტო გემის შემადგენლობით (ადს).

სასამართლოს რეორგანიზაცია

(წერილი სენაკიდან)

როგორც მკითხველებმა იციან, საბჭოთა საქართველოში მოქმედებენ სამი სახის სასამართლო ორგანოები, ასეთები არიან: უზენაესი სასამართლო, ოლქის სასამართლო (თბილისში და ქუთაისში) და შემდეგ კი სახალხო სასამართლოები ადგილებზე.

თუ ჩვენ ჩაუკვირდებით ყველა ზემოხსენებული სასამართლოების საქმიანობას და შევუფარდებთ მას ჩვენ საზოგადოებას, რომელსაც ემსახურება სასამართლო, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ იუსტ. სახკომის პროექტი, მისი დიდი ნაწილით სწორია და დროზე არის წამოყენებული კომისარიატის მიერ.

უმთავრესი დამახასიათებელი მომენტი წამოყენებული პროექტისა არის სასამართლოების მასებთან დაახლოება.

ამჟამად კი მე, როგორც ერთ ერთ პრაქტიკულ მომუშავეს იუსტიციის დარგში, შემიძლია თამამად დავადასტურო თვალსაჩინო ფაქტი, რომ ეხლანდელი ოლქის სასამართლოები მეტად დაშორებულია მასას და ის მუშაობა, რომელსაც ისინი ენერგიულად ეწევიან, მასისათვის თითქმის შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ ეს დაწესებულება, როგორც ასეთი, უნდა გაუქმდეს, ხოლო ის საქმეები, რომელსაც ეხლა არჩევს ოლქის სასამართლო, უნდა გადაეცეს რომელიმე სასამართლოს. ასეთ სხვა სასამართლოთ ჩემის აზრით, უნდა შეიქნეს სამაზრო სასამართლოები, რაც გათვალისწინებული არის იუსტსახკომისარიატის პროექტში.

ვიმეორებ, სამაზრო სასამართლოებს და არა სახალხო სასამართლოებს, როგორც ამას მოითხოვენ ზოგიერთი ამხანაგები. რატომ არა სახალხო სასამართლოებს? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი სახალხო სასამართლოები ისედაც დატვირთული არიან უამრავი საქმეებით და მეორე, რაც უმთავრესია, იმიტომ, რომ, ჯერ კიდევ ჩვენს მაზრებში არ გვყავს სათანადო იურიდიული კვალიფიკაციის მქონე ამხანაგები.

მაზრაში, შედარებით იოლად მოიძებნება ერთი ამხანაგი, რომელიც შესძლებს იმ საქმეების განხილვას, რომელსაც დღეს არჩევს ოლქის სასამართლო, მაგრამ 5—6 ამხანაგების მონახვა მაზრებში, რომლებიც სასურველად განიხილავენ დღემდი ოლქის სასამართლოზე ქვემდებარე საქმეებს, ჩემის აზრით საძნელო იქნება.

სხვათა შორის პრესაში გამოსული ზოგიერთი ამხანაგები წინააღმდეგი არიან ოლქის სასამართლოს გაუქმებისა. მათ მოყავთ ყველა სახის მოტივები, ერთ ერთ ასეთი მოტივი გახლავთ შემდეგი: ოლქის სასამართლოებში კოლექტიური მუშაობა არის და მაზრებში ასეთი არ იქნება, ამით საქმე გაფუჭდებაო, მართალია, ოლქის სასამართლოებთან დიდი კოლექტივი არის ჩამოყალიბებული, სადაც ხდება აზრთა გაცვლა - გამოცვლა, მაგრამ პროექტიც ხომ გულისხმობს ერთგვარ ასეთივე კოლექტივის დაარსებას და გამაგრებას მაზრებში; მაზრას ემატება ერთი სამაზრო მოსამართლე, ერთი გამომძიებელი, ზოგიერთ მაზრას ალბათ შემდეგისათვის მიემატება მეორე პროკურორიც, არსებობს აგრეთვე სახალხო მოსამართლეც, გამომძიებელი და ამნაირად, როგორც ვხედავთ ,აქაც იქნება ერთგვარი კოლექტივი. ცხადია, ეს არ იქნება ისეთი კოლექტივი, როგორც ეს არის ოლქის სასამართლოში, მაგრამ თანდათანობით ის დადგება თავის სიმაღლეზე და გახდება მთელი მაზრის მოსახლეობისათვის თვალსაჩინო იურიდიული ძალა, რაც ხელს შეუწყობს რევოლიუციონური კანონიერების უფრო კარგათ გატარებას.

მეორე მოტივი პროექტის წინააღმდეგ ეს ის არის, რომ მაზრებში ადგილობრივ ხელისუფლებისაგან თითქოს მოსალოდნელია უკანონო გავლენა სასამართლოებზე და სხვა, მართლაც, შეიძლება დღეს ადგილი ჰქონდეს ზოგიერთ ადგილას ასეთ გავლენას, მაგრამ ამაზე დამყარება და პროექტის წინააღმდეგ გალაშქრება, მე არ მიმაჩნია სამართლიანად, იმიტომ, რომ თუ უკანონო გავლენას ექნება ადგილი, რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ ასეთივე გავლენას არა ხელისუფლების ორგანოებისაგან, არამედ კერძო პირებისაგან, არ ექნება ადგილი ოლქის სასამართლოზე, რომელიც მოქმედებს, მუშაობს პარტიის და ხელისუფლების უფრო სუსტ მეთვალყურეობის გარეშე. გარდა ამისა, ცხადი არის; რომ ყოველივე უკანონო გავლენის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებდა და მიიღებს შემდეგშიაც პარტიის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

შემდეგი მოტივი პროექტის წინააღმდეგ არის ის, რომ ერთი და იგივე სამაზრო მოსამართლე ვერ შესძლებს მაზრაში გაარჩიოს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო ხასიათის საქმეები, ე. ი. როგორ შეიძლება მოსამართლე იყოს კრიმინალისტი და იმავე დროს ცივილისტიცო. შეიძლება ეს ერთი შეხედვით ასედაც იყოს, მაგრამ ამხანაგები დამერწმუნებიან, რომ პრაქტიკა უდაოდ გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენს პირობებში შესაძლებელია მოსამართლე იყოს თავისებური კრიმინალისტი და ცივილისტიც, აბა რა არის ის, რომ ჩვენი სახალხო სასამართლოები დღეს არჩევენ როგორც სისხლის სამართლის საქმეებს, აგრეთვე სამოქალაქო საქმეებსაც ათასი ათასი მანეთის სარჩელის რაოდენობით.

ეს ასე ხდება, მაგრამ არაფერი დაშავებულა. მართალია ამხ. ბედია იმაში, რომ ოლქის სასამართლოების წევრების ნაწილს არ შეუძლიათ გაარჩიონ, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო ხასიათის საქმეები, იმიტომ, რომ მათ იქ განაწილებული აქვთ მოვალეობანი და ამისდამიხედვით, ნაწილს ოლქის სასამართლოს წევრებისას სისტემატიურად უხდება გარჩევა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებისა, ნაწილს კი სამოქალაქო საქმეებისა, მაგრამ მაზრებში კი, ვიმეორებ, სახალხო მოსამართლეები არჩევენ როგორც პირველს, ისე მეორე სახის საქმეებს და ამ მხრივ სახალხო მოსამართლენი უფრო მაღლა სდგანან ზოგიერთ ოლქის სასამართლოს წევრებზე.

შემდეგი მოტივი არის, „დიდი საკითხი“, გვეუბნებიან, რომ ბინებს ვერ იშოვნიან სამაზრო მოსამართლენი მაზრებშიო. ჯერ ერთი მე არ მინდა ტეხნიკური სახის საკითხი დაუპირისპირო პრინციპიალურ საკითხს და მერე ესეც, რომ მივიღოთ მოტივათ, აქ უნდა ითქვას შემდეგი: სწორედ იმიტომ უნდა მოხდეს სასამართლოების რეორგანიზაცია, რომ ის დაუახლოვდეს მასას. თუ კი საქმეების გარჩევა მოხდება მაზრის ცენტრში, შეიძლება ითქვას, რომ მაზრის ცენტრში, მართლოს შენობას არ იშოვნიან? როდესაც სასამართლოს სესია ჩამოდის, მაშინ ადვილად გვარდება ბინის საკითხი. დღეს სათანადო დარბაზები მაზრის ცენტრში კი არა, თემებშიაც მოიპოვება. ამნაირად ბინის საკითხი, როგორც მოტივი, მიუღებელია.

შემდეგ ლაპარაკობენ შტატების სიმცირეზე, იქვე გვეუბნებიან საბრალმდებლო დასკვნის ჩაბარებას სამაზრო სასამართლოს კანცელარია ვერ მოასწრებსო, რაც ჩემის ფიქრით, არ არის სწორი. განა სასამართლო საქმეს რომ მიიღებს, მესამე დღესვე დანიშნავს მას განსახილველად? არა მგონია, საქმე დაინიშნება გასარჩევად, მისი მიღების რამოდენიმე დღის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში კანცელარია აუცილებლად მოასწრებს საბრალმდებლო დასკვნის ჩაბარებას კუთვნილებისამებრ.

შემდეგ გვეუბნებიან, რომ მაზრის პროკურორები ვერ მოასწრებენ საქმეების გარჩევასო. როგორ გგონიათ, ეხლა, როდესაც ოლქის სასამართლოს სესია ჩამოდის მას ოლქიდან კი არ ჩამოყავს მუდმივი პროკურორი სესიაზე, არამედ აქაც მონაწილეობას იღებს მაზრის პროკურორი და ამნაირად მაზრის პროკურორს ამ მიმართულებით არ ემატება ახალი სამუშაო. მართალია, ერთ პროკურორს თანამედროვე პირობებში ბევრი სამუშაო აქვს, მაგრამ, მე მგონია, იუსტსახკომისარიატი მიუხედავად ოლქის სასამართლოს გაუქმებისა, ზოგიერთ დიდ მაზრებს თუ არა აქედან, მომავალი საბიუჯეტო წლიდან, მოუმატებს ერთ პროკურორს.

შემდეგ ლაპარაკია ბიუჯეტზე. მე აქ არაფერს ვიტყვი ამაზე, ვინაიდან ვერ ვიცნობ კომისარიატის ბიუჯეტს, მაგრამ ჩემთვის ერთი კი ცხადი არის: ის მსხვილი თანხა, რაც დღეს იხარჯება ოლქის სასამართლოს დიდ შტატზე, ის თანხა, რაც დღეს იხარჯება ოლქის სასამართლოების სესიების, უფროს გამომძიებლების და სხვების მივლინების დროს, სავსებით საკმარისი იქნება. მიმდინარე წელში მაინც სამაზრო სასამართლოების შესანახად.

მინდა აგრეთვე ორიოდე სიტყვით შევეხო იუსტსახკომის პროექტის მცირე ნაწილს, სახელდობრ: უზენაეს სასამართლოს მუდმივ საკასაციო საკრებულოს დაარსებას ქუთაისში, მე ამას არ ვეთანხმები, ვინაიდან თუ ლაპარაკია საკრებულოზე, ერთიანი სასამართლოს ხელმძღვანელობაზე, მაშინ ეს უნდა იყოს ბოლომდის გატარებული. არ არის საჭირო ისევ ახალი კედელი დაარსდეს ქუთაისში. და ისევ ფაქტიურად ორი საკასაციო საკრებულოს დაარსება. მართალი არის ამხ. დოლიძე, როდესაც ის ლაპარაკობს, რომ საკასაციო საქმეების გარჩევის დროს ძალიან ძვირად თუ გლეხი დაესწრება საქმის გარჩევას. ჩვენ პრაქტიკიდან ვიცით, რომ გლეხები საკასაციო საქმეების განხილვის დროს არ ესწრებიან და თუ ვინმე ამას მოინდომებს, ის დახარჯავს 5—6 მანეთს მეტს და წავა თბილისში, ერთ უმთავრეს საკასაციო ცენტრში, იქ მოისმენს საქმეს და დააბოლავებს მას.

ამნაირად, ჩემის ფიქრით, არ არის რაიმე თვალსაჩინო საფუძველი იმისა, რომ არ შეიძლებოდეს ოლქის სასამართლოების გაუქმება, პირიქით, ყველა საბუთები ლაპარაკობენ იმის სასარგებლოთ, რომ ის უნდა გაუქმდეს, ამას მოითხოვს საზოგადო ინტერესები, მის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბდეს სამაზრო სასამართლოები,უნდა მივიღოთ არა ორი საკასაციო ცენტრი, არამედ ერთი ცენტრი, რომელიც მოთავსებული იქნება უზენაეს სასამართლოში თბილისში.

ი. ბულორდავა.

მუშათა მოძრაობა

კანონი „კრიმინალური სინდიკალიზმის“ შესახებ შეერთებულ შტატებში

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატების მრავალ შტატებში მიღებული იქნა კანონი ე. წ. „კრიმინალური სინდიკალიზმის„ შესახებ. კალიფორნიის შტატის რედაქციით ცნება — „კრიმინალური სინდიკალიზმი“ განსაზღვრულია, როგორც „მოძღვრება, რომელიც იცავს ან ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, საბოტაჟს ან უკანონო მოქმედებას ძალადობის ან უკანონო ტერორისტული მეთოდების გზით, რომლებსაც იყენებენ საშუალებათ წარმოების ჩამორთმევის, მრეწველობაზე კონტროლის ხელში ჩაგდების ან სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების დამხობის მიზნით“. შემდეგ კანონში ნათქვამია: „ყველა, ვინც მონაწილეობას იღებს ორგანიზაციაში, რომელიც ქადაგობს ზემოთ - აღნიშნულ მოძღვრებას, ან არის წევრი ასეთი ორგანიზაციის, დამნაშავეა „კრიმინალური სინდიკალიზმის“ შესახებ არსებული კანონის დარღვევაში და ისჯება ციხეში დაპატიმრებით“.

ამ კანონის თანახმად, მუშათა ან რევოლიუციონურ ორგანიზაციის თითეულ წევრს ციხე ემუქრება სრულიად უბრალო მიზეზის გამო.

1919 წ., როცა ზოგიერთ შტატებში პირველად მიღებულ იქნა კანონი კრიმინალური სინდიკალიზმის შესახებ, მრავალი ათეული მუშა იქნა დაპატიმრებული სრულიად უმიზეზოდ. კერძოდ კალიფორნიის შტატში დაპატიმრებული იქნა კომპარტიის წევრი ანიტა ვიტნეი და „მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის“ წევრი ვილიამ ბერნსი, რომლებიც დღემდი ციხეში სხედან.

1922 წ. მიჩიგანის შტატში დააპატიმრეს კომპარტიის არალეგალური ყრილობის 22 მონაწილე.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განიხილა ანიტა ვიტნეის და ვილიამ ბერნსის საპელაციო საჩივარი და გამოიტანა განაჩენი, რომ კანონი „კრიმინალური სინდიკალიზმის“ შესახებ არ ეწინააღმდეგება ფედერალურ კონსტიტუციას. ამავე დროს უზენაესმა სასამართლომ აღიარა ცალკე შტატების უფლება გამოსცენ კანონები, მიმართული ყველა იმ პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც „ბოროტად იყენებენ თავისუფლებას და ავრცელებენ მოძღვრებას, მიმართულს საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ“.

ამ დადგენილების წყალობით ვიტნეისა და ბერნსს მოელის 14 წლის ციხე. ამავე დროს მათთვის არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ.

მექსიკელ რკინისგზელების გაფიცვა

18 თებერვალს მექსიკის რკინისგზებზე დაწყებული კონფლიქტი დღემდი არ არის მოგვარებული. გაფიცვა გამოაცხადა რკინისგზელების დამოუკიდებელმა პროფკავშირებმა, რომელიც არ შედის შრომის რეფორმისტულ ფედერაციაში. ამიტომ „კაიესის მთავრობა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს შრომის რეფორმისტულ ფედერაციასთან, ყოველ ღონისძიებას იღებდა და იღებს, რომ ჩაშალოს გაფიცვა. მაგრამ მიუხედავათ ყოველგვარი ზომებისა, მიუხედავათ შტრეიკბრეხერების ძალების გამოყენებისა, მთავრობამ ვერ მოახერხა სარკინისგზო მიმოსვლის რამდენიმეთ მაინც გაუმჯობესება. ყველა სადგურები გავსებულია გასაგზავნად დამზადებული ბარგით, სამგზავრო მიმოსვლაც კი არარეგულიარულათ სწარმოებს.

მთავრობა გაფიცულებთან ბრძოლაში არაფერს არ ერიდება. დაპატიმრებულია გაფიცვის მრავალი მონაწილე და ხელმძღვანელი. ამავე დროს, შრომის რეფორმისტული ფედერაცია ყოველ ზომებს იღებს, რომ ორგანიზაციულად შესუსტოს დამოუკიდებელ რკინისგზელთა კავშირი და მისი წევრები თავის მხარეზე გადაიბიროს.

განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა გაფიცულ რკინისგზელებისათვის ვაჭრობა-მრეწველობისა და შრომის მინისტრის მორონესის (იგივე — რეფორმისტული შრომის ფედერაციის ლიდერი) განკარგულებამ, რომელიც გაფიცვას უკანონოდ აცხადებს.

მექსიკის კონსტიტუციის ძალით, მწარმოებლებს არა აქვთ უფლება ისარგებლონ შტრეიკბრეხერების დახმარებით. ე. წ. „ლეგალურ“ გაფიცვებთან საბრძოლველად. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, „ლეგალური“ გაფიცვების დასრულების შემდეგ, გაფიცულებს ეძლევა გაფიცვის დროის სრული ხელფასი.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა არ უნდა იფიქრონ, თითქო მექსიკას ასეთი მშვენიერი შრომის კანონმდებლობა აქვს. საქმე შემდეგშია: მექსიკაში მრავალი წარმოებები და მრეწველობის მთელი დარგები უცხო კაპიტალისტების, უმთავრესად, ამერიკელების ხელშია. მექსიკის ნაციონალური ბურჟუაზია ამჟამად ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს უცხოელ კაპიტალისტების ბატონობასთან ქვეყნის შიგნით. ამ მიზნით იგი არ ერიდება ისეთ რევოლიუციონურ საშუალებებსაც, როგორიც არის გაფიცვის გამოცხადება უცხოელების წარმოებებში. მაგალითად, მექსიკის ბურჟუაზია 1925 — 26 წ. რეფორმისტული შრომის ფედერაციის საშუალებით, გაფიცვებს აწყობდა ამერიკელებისა და ინგლისელების წარმოებებში და მატერიალურ დახმარებას უწევდა გაფიცულებს. მაგრამ, როცა გაფიცვა თვით მექსიკელ კაპიტალისტების ჯიბეს ემუქრება, უკანასკნელებმა ხიკსებზე და სხვა ევროპიულ და ამერიკულ თანამოძმეებზე უარესათ როდი იციან გაფიცვების სისხლში ჩაღრჩობა.

მორონესის განკარგულება გაფიცულ რკინისგზელებს კანონს გარეშე აყენებს. საგაფიცვო კომიტეტმა სასამართლოში გაასაჩივრა მორონესის განკარგულება და მოითხოვა მისი უკანონოთ გამოცხადება. მორონესმა საწინააღმდეგო საჩივარი აღძრა მეორე სასამართლოში და, რასაკვირველია, საქმე მოიგო. საქმე ეხლა გადაცემულია უზენაეს სასამართლოში, რაც ნიშნავს საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებას რამდენიმე თვით.

საგაფიცვო კომიტეტმა დელეგაცია გაუგზავნა პრეზიდენტ კაიესს და სთხოვა ხელის შეწყობა კონფლიქტის მოგვარებაში. მაგრამ კაიესმა არ სცნო შესაძლებლად რაიმე ზომების მიღება ამ მიმართულებით. გაფიცულთა მდგომარეობა კი დღითი-დღე უარესდება. ამიტომ საგაფიცვო კომიტეტი სცდილობს მიაღწიოს იმგვარ შეთანხმებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გაფიცულთა უკანვე მიღება—სამუშაოზე და გაცდენილი ხელფასის მიცემა მათთვის.

ა. ხ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საბჭოთა მწერლების პროტესტი

მოსკოვი, 15 ივნისი. უკანასკნელი ამბების გამო გაიმართა საბჭოთა მწერლების მიტინგი. მიტინგზე წაკითხულ იქნა უცხოეთის მწერლებისაგან მიღებული საპროტესტო დეპეშები ომის საფრთხის წინააღმდეგ. დეპეშები გამოგზავნეს **მ. გორკიმ, ჟორჟ დიუამელმა** და სხვ.

კრებამ მიიღო მიმართვა ყველა ქვეყნების ინტელიგენციისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ ენერგიული პროტესტისაკენ მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. გამოუცხადეთ ომი ომს საჯარო გამოსვლებში. თქვენს ნაწერებში და ყოველგვარი საშუალებით იბრძოლეთ საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგ. თქვენი ქვეყნების მშრომელებს და ინტელიგენციას უთხარით სიმართლე ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობისა და იმ ახალი უგუნური ცდების შესახებ, რომელთა მიზანია სისხლში ჩაახრჩონ მშრომელთა პირველი რესპუბლიკა“.

კრებას დაესწრენ ყველა ლიტერატურულ მიმართულებათა წარმომადგენლები. (ადს).

ამინდის შეცვლა

მოსკოვი, 15 ივნისი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მეტეოროლოგიურ ნაწილის ცნობის თანახმად, ამ დღეებში საბჭოთა რუსეთის შიდა რაიონში ამინდი შეცვლილია. ცივი წვიმიანი პერიოდის ნაცვლად თბილი ამინდი დაიჭირა (ადს).

პროლეტარული სპორტის დღესასწაული

ლენინგრადი, 15 ივნისი. 12 ივნისს ურიცკის მოედანზე გაიმართა პროლეტარული სპორტის დღესასწაული 1500 ფიზკულტურელის მონაწილეობით. დღესასწაული დაიწყო აღლუმით, რომელიც მიიღეს ამხ. ამხ. ტომსკიმ, შმიდტმა, უგაროვმა და სხვ. შემდეგ გაიმართა ტანთვარჯიშობა (ადს).

ამხ. ივანოვის დაკრძალვა

კიევი, 15 ივნისი. 14 ივნისს დაკრძალული იქნა საბჭოთა კავშირის ცეკის წევრი ამხ. **ივანოვი**. ამხ. ივანოვი დაასაფლავეს ძმათა სასაფლაოზე, სადაც დასაფლავებული არიან რევოლიუციის პირველი მსხვერპლნი. (ადს).

მუშკორის დევნა

კურსკი, 15 ივნისი. დამთავრდა ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთების მუშკორის პეტროკოვსკის და ტყავეულობის ქარხნის დირექტორის შერონოვის საქმე. უკანასკნელმა მუშკორის თავიდან მოსაცილებლად გადაიყვანა პეტროკოვსკი ისეთ სამუშაოზე, რომლის შესრულება მას არ შეეძლო თავის ჯანმრთელობის მიხედვით, რის გამო იძულებული იყო ქარხნიდან წასულიყო. შერონოვს მიუსაჯეს 6 თვის ციხე პირობით (ადს).

მოსკოვი, 15 ივნის. გროზნოდან, კურსკიდან, ბლაგოვეშჩენსკიდან, ვლადიმირიდან, და სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ აგროვებენ შემოწირულებას აეროპლანების ასაგებად და იმართება საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები უკანასკნელი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ. (ადს).

აეროპლანების ასაგებად

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 ივნისი. ადგილობრივმა გაზეთმა „კომუნა“-მ დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება აეროპლანების ასაგებად. საოლქო აღმასკომმა და ქალაქის საბჭომ შეიტანეს 5.000 მან. (ადს).

ბამბა

ასტრახანი, 15 ივნისი. ჩატარებულ იქნა ბამბის პირველი საცდელი დათესვა. დანათესი ბამბა კარგად ამოვიდა. მოელიან 100 ფ. ბამბის მოსავალს დესეტინაზე. (ადს).

ამხ. ვოიკოვის ხსოვნისათვის

სიმფეროპოლი, 15 ივნისი. ყირიმის ცაკის სესიამ დაადგინა—ამხ. ვოიკოვის სახელი უწოდოს ქერჩის ლითონის ქარხანას და ქერჩის ერთ-ერთ ქუჩას. (ადს).

ფინეთის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 15 ივნისი. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ ფინების მუშათა დელეგაციამ ინახულა ამხ. **კალინინი** და ესაუბრა მას 2 სათის განმავლობაში. 14 ივნისს დელეგაცია ლენინგრადში გაემგზავრა. საიდანაც წავა კარელიაში და შემდეგ დაბრუნდება სამშობლოში (ადს).

გრიგალი ბელორუსიაზე

მინსკი, 15 ივნისი. გრიგალმა დიდი ზარალი მიაყენა ბელორუსიის თითქმის ყველა ოლქებს. მოზირის ოლქში სეტყვამ და ნიაღვარმა ჩარეცხა 10.000 ჰექტარი ნათესი, სხვა ოლქებში დაზარალდა 15.000 ჰექტარამდე. ბევრ ადგილას ელვამ გააჩინა ცეცხლი. არის ადამიანთა მსხვერპლიც. ზოგიერთ ადგილებში ძლიერი სიცივეები დაიწყო. ერთ ადგილას სიცივეში გაიყინა ცხვრის ფარა. მიღებულია ზომები მინდვრების ხელ ახლა დასათესად (ადს).

მინსკი, 15 ივნისი. ბელორუსიაზე კვლავ გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. გაიდანოვის რაიონში ნიაღვარმა ჩარეცხა რამდენიმე ათასი დესეტინა ნათესი. ბობრუის ოლქში დასეტყვილია 5.000 დესეტინა მიწა (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საჰაერო მიმოსვლა ბაქო - თეირანი

ბაქო, 15 ივნისი. დღეს სპარსეთიდან ბაქოში ჩამოვიდა გერმანულ ფირმის „იუნკერს“-ის დირექტორი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს ბაქო - თეირანის შორის საჰაერო მიმოსვლის გახსნის შესახებ.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ „იუნკერს“-ის დირექტორი მოსკოვში გაემგზავრება.

თამბაქოს ნათესების სივრცე

ბაქო, 15 ივნისი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ 1927—28 წლისათვის თამბაქოს ნათესების სივრცე განსაზღვრა 340 დესეტინით, აქედან 200 დესეტინა ზაქათალის მაზრაში, 50 აგდაშის, 15 განჯის, 10 ნახიჩევანის, 10 კუბის, 25 ლენქორანის და სხვ. მაზრებში (ადს).

მინერალური წყარო ისტი—სუ

აგდალიარი, 15 ივნისი. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სპეციალურ კომისიის გამოკვლევით გამოირკვა, რომ მინერალური წყარო ისტი—სუ შესანიშნავია თავისი შემადგენლობით, თვისებით და დებეტით (100—150.000 ვედრო დღე და ღამეში). კომისიის დასკვნით ისტი—სუ ერთად-ერთი წყაროა კავშირში, რომელიც თავისის შემადგენლობით ჰგავს კარლსბადის წყაროებს (ადს).

ნაწლავების ქარხანა

განჯა, 14 ივნისი. განჯის სასაკლაოსთან დაიწყო ნაწლავების ქარხნის აგება. ქარხნის აგება დაჯდება 20.000 მანეთი. (ადს).

კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ

მეორე დღე

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მდგომარეობა საქართველოში

მომხსენებელი ამხ. ელ. წულუკიძე

ამჟამად,—ამბობს მომხსენებელი,—რესპუბლიკაში არსებობს 70 საბავშვო ბაღი და ექვსი კერა. ამათგან თბილისში ექვსი კერა და 22 საბავშვო ბაღი და პროვინციაში 48 საბავშვო ბაღი. ყველაზე უფრო უკეთეს პირობებში არის თბილისის საბავშვო ბაღები, რომელთაც მაზრების საბავშვო ბაღებთან შედარებით, ხელს უწყობს ეკონომიური და კულტურული პირობები. მაზრების საბავშვო ბაღების ყოველწლიური ნივთიერ უზრუნველყოფა თბილისთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. ოზურგეთის და მლეთის საბავშვო ბაღებს გარდა, ყველა საბავშვო ბაღები იმყოფებიან ადგილობრივ ბიუჯეტზე, რომელიც, პერსონალის ჯამაგირის გამოკლებით, წლიურად ას მანეთს არ აღემატება. საბავშვო ბაღის შენობები ვერ აკმაყოფილებენ ბაღის მოთხოვნილებებს სანიტარულ ჰიგიენური თვალსაზრისით.

რაც შეეხება თვით საბავშვო ბაღების მუშაობას საბავშვო ბაღებში მონტესორის სისტემა თანდათან სუსტდება. ჩვენი ბაღების უმრავლესობა აქამდე თავის მუშაობას მონტესორის სისტემაზე აგებდა. მაგრამ თანდათანობით თანამედროვე ბაღის ელემენტები თვით ცხოვრებამ და შეგნებულად პედაგოგებმაც შეიტანეს ბაღის მუშაობაში. ასე რომ ეხლა ერთი ბაღიც არ არის, რომ მონტესორის სისტემა მკაცრად ტარდებოდეს, არის ისეთი ბაღები, სადაც უმთავრესად თანამედროვე სისტემით სწარმოებს მუშაობა. საბავშვო ბაღების მუშაობა შემდეგი მთავარი მიმართულებით სწარმოებს: კავშირი გარემო ცხოვრებასთან და თანადროულობასთან, ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია და მათი შემოქმედებითი აქტიობა, ესტეტიური და ფიზიკური აღზრდა, წერა-კითხვა და ანგარიში. ფიზიკური აღზრდის მხრივ საბავშვო ბაღები უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ბაღების უმრავლესობას, განსაკუთრებით მაზრებში, არ ჰყავს საკუთარი ექიმები, და ბაღების მეტ ნაწილში ბავშვების კვების საკითხი სრულიად არ არის მოგვარებული. დასასრულ მომხსენებელი საბავშვო ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს: მისი აზრით საჭიროა საბავშვო ბაღების ქსელის გადიდება, კვების საკითხის მოგვარება. საბავშვო ბაღებში ბავშვების სამყოფ საათების გადიდება, ყოველ სამს საბავშვო ბაღზე ერთი ექიმის მიმაგრება, სკოლის ასაკამდე აღზრდის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და სამაზრო ინსტრუქტორების ჩაბმა სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობაში.

ამავე სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს მაზრის საბავშვო ბაღების წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მეორე დღის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **იმედაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ**.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც, სხვათა შორის ნათქვამია: მოვისმინეთ რა ამხ. იმედაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სავსებით ვუერთდებით ქართველ მეცნიერთა მოწოდებას და ამავე დროს ვაცხადებთ, რომ არავის ნებას არ მივსცემთ შეაფერხოს საბჭოთა მთავრობის კულტურული მუშაობა. ჩვენ ომი არ გვსურს, მაგრამ ვინც პირველად აიღებს მახვილს, მას ჩავსთვლით კულტურისა და მეცნიერების მტრად.

„ახალ სოფელს“

„ახალი სოფელი“-ს 55.000 ტირაჟი ერთხელ კიდევ მოწმობს რამდენად გაიზარდა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელი გლეხკაცობა კულტურულ-პოლიტიკურად. ეს არის შედეგი არა მარტო იმ დაუღალავ მზრუნველობის, რომელსაც იჩენს საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის, არამედ ამ გამოცოცხლებას მივაღწიეთ ჩვენ თვით ქართული საბჭოთა პრესის მუშაკთა ენერგიული მუშაობითაც.

გლეხურ გაზეთს ჩვენს რაიონებში უდიდესი ამოცანები აქვს დაკისრებული. პირველი და უმთავრესი ამ ამოცანებში არის გლეხური მეურნეობის რაციონალიზაცია. იმ იშვიათ ბუნებრივ სიმდიდრეში, რომლითაც დაჯილდოებულია ჩვენი ქვეყანა და ამავე დროს იმ არაჩვეულებრივ მიწის სივიწროვის, სიღატაკის და სოფლის უმუშევრობის პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, გლეხური მეურნეობის მექანიზაციას, სოფლად ახალ სამეურნეო ფორმების განმტკიცებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის.

„ახალ სოფელს“ ახალი სოფლის შექმნის დარგში უკვე აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. ამიტომაა, რომ ეს გაზეთი ასე ღრმად შეიჭრა სოფლის გულში, ამიტომაა, რომ „ახალი სოფელი“ ასე სწრაფად იზრდება და წინ მიდის. მომავალში ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც იმის მომასწავებელია, რომ „ახალი სოფელი“ ახალ და ახალ ათასეულ მკითხველებს შემოიკრებს თავის გარშემო და ამრიგად სოციალისტურ აღმშენებლობის უდიდეს იარაღად გადაიქცევა სოფლად.

გულითადი ამხანაგური სალამი „ახალ სოფლის“ რედაქციას, თანამშრომლებს და გლეხ-კორესპონდენტებს!

რას მივაღწიეთ

ძალიან ძნელი იყო პირველ ნაბიჯების გადადგმა. გლეხურ გაზეთის გამოცდილება თითქმის არ გვქონდა. მენშევიკების დროს ყველა პარტიებმა მოიწადინეს ერთი სასოფლო გაზეთის გამოცემა და ვერ შესძლეს.

ასეთი იყო მდგომარეობა: არც ერთი გლეხკორი არ გვყავდა, არც ერთი კორესპონდენცია არ გაგვაჩნდა. იძულებული ვიყავით სხვა გაზეთებიდან გადმოგვებეჭდა კორესპონდენცია შეცვლილი სახით. გაზეთს 10 ათას ცალს ვბეჭდავდით. ხელის მომწერი თითქმის სულ არ გვყავდა.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რედაქციის ენერგიულმა მუშაობამ მალე გამოიღო ნაყოფი.

დღეს სულ სხვაა ჩვენი მდგომარეობა. ორ ნახევარი წლის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ.

მრავალი გლეხკორი გვყავს, მრავალი ამხანაგები თანამშრომლობენ გაზეთში, დიდად გაიზარდა გაზეთის ტირაჟი და მისი ავტორიტეტი სოფლად.

გაზეთი გახდა მართლა მასიური, გლეხური, სოფლური, გლეხობის ჭირისა და ლხინის გამომხატველი.

გაზეთს დიდ ანგარიშს უწევს ყველა საბჭოთა და პარტიული ორგანიზაცია.

აი როგორია ჩვენი გაზეთი.

ჩვენი გაზეთის დედა - ბოძი გლეხკორებია. გლეხკორი ჩვენი გაზეთის სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელია.

1925 წ. გვყავდა 75 გლეხკორი, 1926— 886, ამჟამად გვყავს 1.056 გლეხკორი.

ესენი ის გლეხკორებია, რომლებიც მუდმივად თანამშრომლობენ გაზეთში, გვყავს აღრიცხვაზე აყვანილი, შესწავლილი, ვენდობით მათ.

ამათ გარდა კიდევ 1.000-მდე კაცი გვიგზავნის კორესპონდენციას.

ჩვენი გლეხკორების პარტიული და სოციალური შემადგენლობა ასეთია:

კომუნისტი	338 კაცი.
კომკავშირელი	169 „
უპარტიო	499 „
აქედან: მიწის მუშა	345 „
უოფ. წით. არმ.	356 „
ტრაქტორისტი	55 „
მასწავლებელი	98 „
ქოხ.-სამკ. გამ.	208 „

გლეხკორების ამ რიცხვში 127 ქალია.

გლეხკორთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით რედაქცია იწვევდა გლეხკორთა კონფერენციებს და თათბირებს.

ორჯელ მოწვეულ იქნა გლეხკორთა სრულიად საქართველოს ყრილობა. პირველი 1925 წ. აგვისტოში. დაესწრო 56 გლეხკორი. მეორე 1926 წ. [illegible] დაესწრო 142 გლეხკორი. ყრილობაზე ირჩეოდა მეტად საყურადღებო საკითხები, [illegible] პარტიისა და ხელისუფლების [illegible] პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

ჩატარებულ იქნა აგრეთვე სამაზრო კონფერენციები და თათბირები თელავს, სიღნაღს, სენაკს, გორის და თბილისის მაზრებში.

კერძოთ, თბილისის მაზრაში კონფერენცია ჩატარებულ იქნა ორჯერ.

სულ მოწვეულ იქნა 6 კონფერენცია და 2 ყრილობა. დაესწრო 1.171 გლეხკორი.

გლეხკორების დევნას აქვს ადგილი. მას აქვს ფარული ხასიათი.

ხშირია მაგალითები, როდესაც გლეხკორს, ვითომდა სხვა მიზეზით ექცევიან უკანონოდ, აწერენ გადასახადებს ზედმეტს, უსპობენ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალებას, უტეხენ სახელს და სხვა.

ადგილი აქვს ფიზიკურ შეურაცხყოფასაც, მოკვლის განზრახვას.

რედაქცია მკაცრად ადევნებდა თვალყურს გლეხკორის დევნის თითოეულ შემთხვევას და იღებდა სათანადო ზომებს.

რუსეთში გლეხკორების დევნის საკითხი უფრო მწვავედ სდგას. იქ ხშირია გლეხკორების მკვლელობის მაგალითები. იმართება საჩვენებელი პროცესები.

ჩვენში ჯერ ამას არა აქვს ადგილი. რასაკვირველია, ამისგან დაზღვეული არა ვართ. მაგრამ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების დიდი ყურადღება იმის საწინდარია, რომ გლეხკორთა ინტერესები სავსებით იქნება დაცული.

გლეხკორთა ყოყოჩობას ადგილი არ აქვს. „ახალი სოფლის“ გლეხკორი არ იღებს არც ფულს,არც რაიმე დახმარებას. არაა აღჭურვილი მანდატით, არ სარგებლობს სოფლად „განსაკუთრებული უფლებებით“.

ჩვენი გლეხკორი გულწრფელად და უანგაროთ ემსახურება მეტად მნიშვნელოვან და მძიმე მოვალეობას. ეს უნდა ითქვას ჩვენი გლეხკორების სასახელოდ!

გლეხკორების რიცხვის ზრდამ და მათი გლეხკორული შეგნების გაფართოებამ ძალზე გაადიდა სოფლიდან მოწერილ კორესპონდენციების რაოდენობაც.

1926 წ. მიღებულ იქნა 3.500 კორესპონდენცია, 1926 წ. — 14.400, ხოლო მიმდინარე წლის იანვარიდან მაისამდე — 9.600 კორესპონდენცია დაახლოვებით.

„ახალი სოფლის“ მუშაკი.

პარტიული ცხოვრება

ცეკას სამდივნო

ამხ. ლ. ქართველიშვილის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო, საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა ცეკას სამდივნო დაამტკიცა ამხ. მ. კახიანის, ლ. ღოღობერიძის (რომლებიც წინეთაც შედიოდენ სამდივნოში) და გ. ყურულაშვილის შემადგენლობით.

ამხ. ყურულაშვილი იმუშავებს სამდივნოში პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარეობასთან შეთავსებით.

ფრაქციის მუშაობა პროფორგანოებში

ფრაქციების მუშაობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. პარტიული ხელმძღვანელობის გატარებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა რამოდენიმე სიტყვით შევჩერდეთ კომფრაქციების მუშაობაზე პროფკავშირებში. ამ მხრივ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს უკვე აქვთ მიღებული შესაფერი გამოცდილება და ქარკომებში თუ ადგილკომებში კომფრაქციების მუშაობა უკვე გარკვეულ ჩარჩოებში მიმდინარეობს. ფრაქციას ავტორიტეტი აქვს პროფორგანიზაციაში. მის გადაწყვეტილებებს ანგარიშს უწევენ, ფრაქცია მეთაურობს და ხელმძღვანელობს პროფესიონალურ მუშაობას წარმოებაში. ასეთი ფრაქციულ მუშაობის სინამდვილე ქვედა საფეხურის ძირითად პროფორგანოებში.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უთუოდ მნიშვნელოვან ნაკლულოვანებებსაც აქვს ადგილი. ხშირად ხდება, რომ ფრაქციას თავისი გადაწყვეტილებები აღარ გადააქვს ფაბკომის თუ ადგილკომის კრებაზე. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როცა პროფორგანოს უმრავლესობას პარტიის წევრები შეადგენენ.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ფრაქცია თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პარტიულ ორგანიზაციას. ის მხოლოდ გამტარებელია იმ დირექტივების, რომელსაც მას აწვდის პარტუჯრედი. ამავე დროს პროფორგანოს ფრაქცია აწვდის პარტიას ცნობებს იმ მნიშვნელოვან საკითხების შესახებ, რომელთა გადაწყვეტაც უნდება პროფორგანოს, აწოდებს პარტიას ცნობას წარმოების თუ დაწესებულების გადაუდებელ საჭიროებაზე და სხვ. ყველა ამის დროს ფრაქცია პარტიულ ორგანოდან ღებულობს სათანადო დირექტივებს და ამ დირექტივების მიხედვით აწარმოებს მუშაობას.

რომ ეს ასე იყვეს, საჭიროა უჯრედსა და ფრაქციის შორის მჭიდრო კავშირი არსებობდეს. ნამდვილათ კი ჩვენ ხშირათ ვართ ისეთი შემთხვევების მოწმე, როცა ფრაქცია თავისთავს დამოუკიდებელ პარტიულ ორგანოთ გრძნობს, და თავისთავე სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომელთა შეთანხმება პარტუჯრედთან და ზოგჯერ ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციასთან აუცილებელი და სასარგებლოა.

ამიტომ მტკიცე კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან—აი, რა უნდა ახასიათებდეს ქვედა ქსელის პროფორგანოების კომფრაქციებს.

დ. ბ—ი.

ამხ. კლარა ცეტკინას იუბილე

5 ივლისს ამხ. კლარა ცეტკინს უსრულდება 70 წელი. ამის გამო საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გადაუხადოს მას იუბილე, რომლის ჩასატარებლად ცენტრ. კომიტ. მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი გეგმა:

1) კომუნისტურ აკადემიასთან გაიხსნება კლარა ცეტკინის სახელობის კაბინეთი, რომელიც შეისწავლის ქალთა შორის მუშაობის თეორიას და პრაქტიკას.

2) უმაღლეს სასწავლებლებში დაწესდება 3 სტიპენდია: 1 მუშა - ქალისათვის, 1 გლეხი ქალისათვის და 1 აღმოსავლეთელ ქალისათვის.

3) უპატრონო ბავშთა დამხმარე ერთ-ერთ დაწესებულებას დაერქმევა კლარა ცეტკინის სახელი.

4) ქალთა, საერთო და ახკომკავშირის პრესაში მოთავსდება მთელი რიგი წერილებისა. რომელშიაც აღნიშნული იქნება კლარა ცეტკინის მოღვაწეობა და დამსახურება მუშათა კლასისათვის ბრძოლის საქმეში. ამ საქმეში ჩაბმულ იქნება საკავშირო და მოძმე კომპარტიის ხელმძღვანელი ამხანაგები.

5) მუშა, გლეხ და აღმოსავლეთ ქალთა სადელეგატო კრებებზე ფართოდ იქნება გაშუქებული კლარა ცეტკინის დამსახურება ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

უკვე განხილულია ამ კაბინეტის ორგანიზაციის საქმე; მას ხელმძღვანელობს თვით ამხ. კლარა ცეტკინა.

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა კლარა ცეტკინის სახელობის სამივე სტიპენდიანტი ქალი გაგზავნოს საზღვარგარეთ სასწავლად და აგრეთვე 100 უპატრონო ბავშისათვის გახსნას ახალი სახლი.

კომკავშირში

რატომ გადიან კომკავშირიდან

კომკავშირიდან ნებაყოფლობით გასვლის შემთხვევები არც ისე იშვიათია. პარტიას და თვით კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს არა ერთხელ მიუქცევიათ ამ არანორმალურ მდგომარეობაზე ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციების ყურადღება.

მიუხედავათ ამისა, კომკავშირიდან გასვლის შემთხვევებს მაინც არ ელება ბოლო. იშვიათი არაა ისეთი უჯრედი, რომელსაც ეს საკითხი შეუსწავლია და ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად რაიმე ზომები მიუღია. რა არის ამის მიზეზი, რომ კომკავშირს თავისი ნებით სტოვებენ ზოგიერთები? ამ არანორმალური მოვლენის მთავარი მიზეზი იმალება კომკავშირის ზრდის მოუწესრიგებლობაში. არის შემთხვევები, როცა კომკავშირში მიღებულთ სათანადოთ არ ამოწმებენ, არ ცდიან მათ საზოგადოებრივ მუშაობაზე, არ აინტერესებთ მათი სოციალური მდგომარეობის სათანადო გამორკვევა და ინდივიდუალური მისწრაფება. ამას შედეგათ მოსდევს ის, რომ კომკავშირის რიგებში ხშირათ თავს იყრიან იდეურათ და სოციალურათ უცხო ელემენტები, რომელნიც ორგანიზაციაში შესვლის პირველ დღეებიდანვე თავიანთ თავს „საკუთარ ბინაში“ არ გრძნობენ. ცხადია, ასეთ ელემენტებს მუდამ გაქცევაზე უჭირავთ თვალი და მოხერხებულ მომენტის დროს, ისინი ორგანიზაციის გარეთ დებიან.

ეს თავისთავად იმდენათ სავალალო მოვლენა არ იქნებოდა, რომ კომკავშირის რიგებს ნებაყოფლობით არ სტოვებდენ ისეთებიც კი, რომელნიც სოციალურადაც და თავიანთი ფსიქოლოგიით სავსებით მისაღებ ელემენტებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში საჭიროა მიზეზების ძებნა თვით კომკავშირის არანორმალურ მუშაობაში. ამის მაჩვენებელია ის მოტივები, რომელთაც ასახელებენ თვით კომკავშირიდან გასული პირები. ეს პასუხი ხშირათ ასეთია: „არ მაკმაყოფილებს კომკავშირის მუშაობა“.

ეს უკმაყოფილება უფრო მეტად იმის შედეგია, რომ კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციებში ადგილი აქვს გადახრას პოლიტიკანობისაკენ, უყურადღებობას საწარმო საკითხებისადმი, დასვენების რაციონალურად მოწყობისადმი და სხვ. აქედან დასკვნა ასეთია: რომ ბოლო მოეღოს კომკავშირიდან ნებაყოფლობითი გასვლას, საჭიროა ერთი მხრივ სასტიკი ყურადღება მიექცეს კომკავშირის ზრდას და მეორე მხრით გაუმჯობესებულ იქნას შინაკომკავშირული მუშაობა.

დ. ბ—ნი.

კავკ. წ.-დ. არმიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგა 15 ივნისს, დილის 8 საათზე.

სხდომის პირველი ნახევარი მოუნდა კომისიების მუშაობას. შექმნილ იქნა კომისიები შემდეგ საკითხების დასამუშავებლად: ტერიტორიალურ მუშაობის, სამხედრო მომზადების, სკოლის გარეშე განათლების და შინა-ჯგუფური მუშაობის.

აგრეთვე მუშაობდენ კომისიები რეზოლიუციების დასამუშავებლად.

კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა პლენარული სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუციები კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებების ირგვლივ.

მოსმენილ იქნა რამოდენიმე კომისიის მოხსენება.

კონფერენციის დახურვამდე სიტყვა წარმოსთქვა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა ამხ. რატნერმა, რომელმაც სთქვა, რომ კონფერენციამ ცხადჰყო, რომ არმიის კომკავშირი საგრძნობლად გაზრდილა და მას უკავია საპატიო ადგილი წითელ არმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეში.

საჭიროა და აუცილებელი, რომ კონფერენციის ყველა დადგენილებები უკლებლივ დასწორად იქნენ გატარებული ცხოვრებაში, რაც უფრო გააძლიერებს კომკავშირის რიგებს არმიაში და გაამტკიცებს წითელი არმიის საბრძოლო უნარიანობას.

კონფერენცია დახურა ინტერნაციონალის სიმღერით.

საბჭ. სასამართლოს მოღვაწენი მიმდინარე მომენტის შესახებ

მოწოდება

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ნ. კორინთელის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, თავის მოქალაქობრივ მოვალეობად მიიჩნია კოლეგიის სახელით მიმართოს ქართველ ერს, საქართველოს მთელს მოსახლეობას და მოწინავე კაცობრიობას შემდეგი მოწოდებით:

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვოიკოვის მკვლელობა პოლონეთში წარმოადგენს იმ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელსაც განსაკუთრებულის სიმძაფრით აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზია. პეკინსა და ლონდონში მომხდარ ამბების შემდეგ ვარშავაში მომხდარი მკვლელობა ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც იმპერიალისტური ბურჟუაზია მოწადინებულია შეჰკრას მუშათა და გლეხთა სახელმწიფო.

პროლეტარიატის, მშრომელი გლეხობის და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის მეცადინეობამ შესძლო ის, რომ უდიდეს სახელმწიფოში, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, დამყარდა მშრომელთა დიქტატურა და ერთა თავისუფალი ერთობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ მრავალი წლის ბრძოლით, ტანჯვითა და გაწამებით მოიპოვა მშვიდობიანი შრომის უფლება და სამოქალაქო ომის ველზედ მტერზედ გამარჯვებული მშრომელი ხალხი შეუდგა სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობას და იმის აღდგენას, რაც დანგრეული და განადგურებული იყო სამოქალაქო ომის ქარტეხილით. დღეს მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სარბიელზედ, თუ როგორი თავდადებული შრომით და გარჯილობით აღადგინა მან სახელმწიფო მეურნეობა, თუ როგორ ჰქმნის ახალს კულტურულ ფონდს სოციალისტურ სახელმწიფოსას და როგორის ერთსულოვნობით ჩაბმულია ამ შემოქმედებითი მუშაობაში მშრომელი მოსახლეობა. ქვეყნის ყველა ცოცხალი ელემენტი და საბჭოთა კავშირის შემადგენელი ყველა ერი, განთავისუფლებული ტყვეობა-მონობისაგან. შექმნა რა საბჭოთა რესპუბლიკაში პირობები მშვიდობიანი შრომისა და შემოქმედებისათვის, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება მუდამ მოწადინებული იყო მშვიდობიანობა დაემყარებინა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში და ყველა საერთაშორისო ხასიათის საკითხი და დავა გადაეწყვიტა მშვიდობიანი საშუალებით, მაგრამ სწორედ ამ მხრივ ევროპის სახელმწიფოთა მმართველი კლასები, სისტემატიურად აბრკოლებენ საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიან პოლიტიკას, რათა დაამხონ მუშათა მთავრობა. ამ მიზნის მისაღწევად იმპერიალისტური ევროპა არ ზოგავს ნივთიერ საშუალებას და როგორც ქართველ ემიგრანტთა, ისე რუს მონარქისტთა წრეებიდან რაზმავს და ამხედრებს ძალებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული სიმწვავე ამ ბრძოლამ საბჭოთა კავშირთან მიიღო დიდი ბრიტანეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, რასაც, როგორც გამოძახილი მოჰყვა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლის მკვლელობა ვარშავაში და ყუმბარების აფეთქება ლენინგრადში.

ასეთი ამბების წინაშე, რომელთა პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა უდავოა, ჩვენ, წარმომადგენლებს აღმოს. საქართველოს დამცველთა კოლეგიისა, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა უპარტიო ინტელიგენციას ეკუთვნის, მოქალაქეობრივ მოვალეობათ მივაჩნია, საპროტესტოდ აღვიმაღლოთ ხმა და გავაფრთხილოთ ჩვენი ერი და საქართველოს მთელი მოსახლეობა, რომ მის აწინდელ მდგომარეობას, მის მომავალს, მის მშვიდობიან შრომას, საერთოდ საქართველოს მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას. მთელს საქართველოს, როგორც შრომის სამყაროს, დიდი საფრთხე მოელის, როგორც საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხრივ, ისე ქართველ ემიგრაციის იმ ჯგუფებისაგან, რომელნიც მოწადინებული არიან ავანტიურების უფსკრულში გადაჩეხონ ქართველი ერი, ამ საფრთხის წინაშე საქართველოს ვექილები, როგორც საბჭოთა სასამართლოს მოღვაწენი, სრულის მტკიცე შეგნებით თავისი მოქალაქეობრივის მოვალეობისა მთელის ძალ-ღონით მხარს დაუჭერენ მშრომელ ხალხს და რევოლიუციას, ვინაიდან ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება უპირველესი და საუკეთესო საწინდარია თავისუფალ ერთა ეროვნულ-კულტურული აყვავებისა და აღორძინებისა.

ამიტომ ჩვენ ქართველ ერთან და საქართველოს მთელს მოსახლეობასთან ერთად მოუწოდებთ მოწინავე კაცობრიობას აღიმაღლოს ხმა და დაჰგმოს ჩვენი მტრების ვერაგული განზრახვა საბჭოთა რესპუბლიკების დამხობისათვის ომისა და ინტერვენციის საშუალებით.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი:
თავმჯდომარე: ნ. კორინთელი.
წევრები: პ. ქავთარაძე, ი. დოლუხანოვი, ა. რიჟამაძე, შ. მესხიშვილი, კ. მიქელაძე, მ. ტატიშვილი, გ. ენიკოლოფოვი, გ. გოგოტიშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სამკურნალო მცენარეულობის დამზადება

ქუთაისი, 14 ივნისი. სახმედვაჭრობა შეუდგა სამკურნალო მცენარეულობის დამზადებას. დამზადება იწარმოებს უმთავრესად რაჭის მაზრაში, შარშან დამზადებული იყო 500 ფუთი სამკურნალო ბალახი, წელს კი გადაწყვეტილია 2.000 ფუთის დამზადება (ადს).

საჯურხი ქარხნის ამუშავება

ოზურგეთი, 14 ივნისი. სამაზრო აღმასკომთან არსებულ ხე-ტყის დამამზადებელ განყოფილებამ დაამთავრა საჯურხი ქარხნის აგება. ქარხანა უკვე მუშაობს. ქარხანა ყოველდღიურად დაამუშავებს 500 ვერშოკ ხეს. ახლო მომავალში ამავე ქარხანასთან ამუშავდება წისქვილი, რომლის მოწყობილობა უკვე მიღებულია. ამ ჟამად ქარხანა ამზადებს მხოლოდ საექსპორტო ხე-ტყის მასალას, რომელიც გაზიდული უნდა იქნეს დაკვეთების მიხედვით ამერიკაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში (ადს).

წითელი ჯვრის კურსები

გორი, 14 ივნისი. გორის წითელი ჯვრის საზოგადოებამ მოაწყო პირველი საქიმო დახმარების კურსები.

კურსებზე ჩაეწერა 46 მსმენელი, მათ შორის 23 ქალი.

ფოთი, 14 ივნისი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ქ. ფოთში გახსნა პირველი საქიმო დახმარების კურსები. კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 15 ივნისს (ადს).

საკონსერვო ქარხანაში

გორი, 14 ივნისი. კამის სახელობის საკონსერვო ქარხანაში სწარმოებს მომავალ სეზონისათვის მოსამზადებელი მუშაობა. შემუშავებულ გეგმის მიხედვით ქარხანამ უნდა დაამზადოს 50.000 ფუთი კონსერვი (ადს).

ჭარხლის ნათესები

გორი, 14 ივნისი. შაქრის ქარხნის აგების განზრახვასთან დაკავშირებით, გორის მაზრაში ჭარხალი დათესილ იქნა 18 ნაჭერ მიწაზე. მაისის ბოლომდე ჭარხლის ნათესებს კარგი პირი უჩნდა, მაგრამ ამ დღეებში ძლიერმა სეტყვამ ნათესები მნიშვნელოვნად დააზარალა, განსაკუთრებით გომის რაიონში (ადს).

სამხრეთ ოსეთში

საბჭოთა აპარატის გამარტივება

ცხინვალი, 14 ივნისი. აპარატის გამარტივების მიზნით, სამხრეთ-ოსეთის ცაკის დადგენილებით გაუქმებულია სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი. მისი ფუნქცია გადაეცა ცაკს, რომელთანაც დაარსებულ იქნება სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება. მოხდა აგრეთვე შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს რეორგანიზაცია. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო შეუერთდა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისათვის დაკისრებით. გაერთიანებულ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს შტატი შემცირებულ იქნება მინიმუმამდე. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის საინსტრუქციო განყოფილება გადაეცა ცაკს (ადს).

მოსავალი

ცხინვალი, 13 ივნისი. ანდორეტის რაიონში რამოდენიმე სოფელში სეტყვამ დააზიანა ნათესები და ბაღები. მოსავალი თითქმის დაიღუპა. სამხრეთ-ოსეთის მთებში განუწყვეტელი ნისლია, რომელიც ცუდ გავლენას ახდენს ნათესების მდგომარეობაზე. საერთოდ მოსავლის პერსპექტივები სამხრეთ-ოსეთში წელს ცუდია.

საზიზღარი მკვლელობა

(ბოგვის თემი, თბილისის მაზრა)

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის ისეთი კუთხეები, სადაც დარჩენილია ძველი შური, სისხლის აღება. განსაკუთრებით ეს ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს ზოგი კუთხის შესახებ. ჯერ კიდევ აქვს ადგილი ძველ ჩვეულებებს—სასაფლაოზე გასვლას, ქეიფს და ლოთობას, რასაც ხშირად ჩხუბი და თავპირის მტვრევა მოჰყავს. ჩვენ სოფელში 24 აპრილს ადგილი ჰქონდა ასეთ ამბავს.

ქეიფობის შემდეგ ჩამოვარდა ჩხუბი სამ სოფელს შორის. მათ შორის გაჩაღებული იყო საშინელი ქვის სროლა, სარების ტრიალი და ფრიალი. ვინ მოთვლის რამდენს გაუტყდა თავი.

არდის უბნის და პატარა სვანეთის გლეხობა დაბრუნდა შეურაცხყოფილი. ისინი შესაფერ დროს ეძებდენ შურისძიებისათვის. ბოგვის სოფლის მცხოვრებს თუ სადმე იხელთებდენ გაულახავს არ სტოვებდენ.

მაისის ბოლო რიცხვებში ბოგვის ერთი გლეხი თავისი ბიძაშვილით გაემგზავრა მანგლისში ურმით, მიჰქონდათ კირი გასაყიდათ. ამხ. გოლა გაჰყოლა იმიტომ, რომ აღმართში ასვლაზე დახმარებოდა. ბიძაშვილი უკან დაბრუნებულა, შეუნიშნავს მის მტრებს, დახვედრიან წინ და ჯერ უწყალებიათ და შემდეგ ცულით მთელი ტანი დაუსახიჩრებიათ. ის მოკლული ნახეს არდის უბნის ტყეში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მდგომარეობას და შურისძიების ნაშთი ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრან.

კოლა მორბელაძე.

წერილებიდან

— **საჭიროა სასწრაფო ზომები.** (თბილისის აღმასკომის საყურადღებოთ). მაისიდან დაიწყო საქონლის დენა მთებისკენ პრიუტ-მანგლისის მიმართულებით. ყოველ დღე 25-30 ფარა ჩაივლის, რომელშიაც არის არა ნაკლები 3.000 ცხვარისა. ფარების გავლა გზებზე დიდ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას, 10—15 დესეტინა ჭირნახულს ახდენს საქონელი გავლის დროს. ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს ჩხუბს გლეხებსა და მწყემსებს შორის. ამ საქმის მოსაგვარებლად ამ ორი წლის წინათ მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო. შესდგა კომისია, რომელმაც მთელი გზის მიმართულებით გამოყო ფარების გასაჩერებელი საძოვარი ადგილები, მაგრამ ეს ცხოვრებაში არ გაუტარებიათ. ეს აუცილებლად უნდა გატარდეს. გარდა ამისა მესაქონლეებს უნდა დაენიშნოს გამცილებლად მილიცია ერთი სამილიციო უბნიდან მეორემდე, რომ მწყემსებმა განგებ არ აათრევინონ საქონელს ყანები. თბილისის აღმასკომმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ი. ღლონტი.

— **თავის დანიშნულებას უნდა მოხმარდეს.** (ს. წყნეთი, თბილისის მაზ.). ვასულ წელს ჩვენმა კოოპერატივმა თავის მოგებიდან ბიბლიოთეკის მოსაწყობად გადადვა 60 მ. მაგრამ ეს ფული ჯერ არ მიუღია ბიბლიოთეკას. პოლიტგანმა რამდენჯერმე მიმართა კოოპერატივის გამგეობას ამის შესახებ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

მეხი.

— **გავიხსენით მეორე ქოხ-სამკითხველო.** (თავასის თ., შორაპნის მ.). ამ თემში ორი ქოხ-სამკითხველო იყო. სამაზრო აღმასკომმა ერთი მათგანი დახურა, მეორე კი ისეთ ადგილს გადაიტანა, სადაც გლეხობა ვერ უდგება. საჭიროა, რომ დახურული სამკითხველო ისევ ვაიხსნას. ამას გარდა ორივე ძველ ადგილას უნდა იქნეს გადატანილი.

გზირი.

— **ყოფილი ვაჭარი.** (ლაგოდეხი, სიღნ. მ.). ლაგოდეხის კოოპერატივში მსახურობს ვინმე ავეტისა გასპაროვი, ყოფილი ვაჭარი. როგორც ამბობენ გასპაროვი პროტექციით ყოფილა მიღებული. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ზ. ხარატიშვილი.

— **„სოფელი ვენახ უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო".** (ქორეთის თემი, შორაპ. მ.). წასულ წელში გაკეთდეს სოფ. საირხისა და მერჯევის სკოლები. წელს დაგვიწყვ ცამეტ ოთახიანი შენობა, რომელშიც განზრახული იყო მეორე საფეხურის სკოლის გახსნა. ბოროტმოქმედნი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აღმოაჩინეს. გახშირდა აგრეთვე დამწიფებ ვენახის მოპარვა. ასეთ სოფელზე იტყვიან: „სოფელი ვენახ უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო".

ხაირხელი.

წერილები

ხევსურებს აწყობენ

(თელავიდან)

ხევსურები თელავის მაზრაში ძველი დროიდან ცხოვრობენ, მაგრამ ისინი, რომელზედაც ჩვენ გვექნება ლაპარაკი, გადმოსახლდენ აქ ამ უკანასკნელ 10—20 წლის განმავლობაში. მათი დიდი ნაწილი გადმოსულია დუშეთის და ყ. თიანეთის მაზრებიდან მსოფლიო ომის და რევოლუციის ხანებში. გადმოდიოდენ თავისი ნებით, და სახლდებოდნენ იქ, სადაც მოეწონებოდათ. ცნობილია, რომ ხევსურს, საერთოდ მთიელს, ძალიან უყვარს მთა და ტყე. ალბათ ამისათვის ხევსურების სოფლები სოკოსავით იზრდებოდენ და ჩაეჭსოვენ ტყეებში ციც-გომბორის კალთებზე. რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე ოთხმოცამდე სოფელი აღმოცენარდა. ხშირად თვით მეზობლებმა არ იცოდა, რომ მის მახლობლივ სოფელი იყო. ხშირად სოფლებში 2—3 კომლი ირიცხება და ისეა მივარდნილი, რომ თუ ზედ არ წააწყდი, ვერც კი მიაგნებ.

ხალხი ტყეში ველურად ცხოვრობდა, მოკლებული იყო ყოველგვარ კულტურულ გავლენას. გარდა ამისა იმ ადგილებში, სადაც ხევსურები დასახლდნენ, მოჰყრილი აქვთ სათავენი ყველა ალაზნის გამომდ წყლებს და მდინარეებს. ტყის გაჩეხვა, რომელიც აუცილებელი იყო ხევსურისათვის მეურნეობის საწარმოებლად, ამას შემდეგ ილებს სისტემატიურ ხასიათს. მას მოჰყვა წყალდიდობა, ნიაღვრები, მეწყერი, გაშრა წყაროები, ცვლილება შემჩნია ჰავას და სხვა.

ბარის მცხოვრებში დიდი აურ-ზაური ატყდა, მოითხოვდნენ ადგილობრივ ხელისუფლებისაგან ზომების მიღებას. ტყის გაჩეხვის აკრძალვით არავითარი სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია აღმასკომმა: ტყე მაინც ნადგურდებოდა. თბილის სამაზრო ხელისუფლება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო გაფანტულ ხევსურების შეჯგუფება. ეს საშუალებას იძლეოდა გაეხსნათ მათთვის სკოლა, საქიმო პუნქტი, კოოპერატიული დუქანი, მიეცათ აგრონომიული დახმარება და სხვა. ეს აზრი ბევრ ახალგაზრდა და გონიერ ხევსურს მოეწონა, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მოხუცებულებმა, განსაკუთრებით, შეძლებულ პიროვნებებმა. მაგრამ რაც დრო და ხანი გადიოდა შეჯგუფების მომხრენი თანდათანობით იზრდებოდენ. ბოლოს მე-5 სამაზრო საბჭოების ყრილობაზე თვითონ წამოაყენეს ხევსურ დელეგატებმა ეს საკითხი და მოითხოვეს შეჯგუფება.

წელს გაზაფხულიდან თეთრ-წყლებში, სადაც უნდა შეჯგუფებულიყვნენ ხევსურთა სოფლები, გაიგზავნა მიწის მზომელი. მიწის მოწყობა შედის. მაზრაღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. თვით თავმჯდომარე კვირაში ერთხელ-ორხელ ჩადის ხევსურებთან. ყველა სადაო საკითხები იქვე იჭრება. ამ დღეებში მოწყობილი იყო ყველა სოფლების გაერთიანებული მიტინგი. მაზრის აგრონომის მოხსენების შემდეგ შესდგა საინიციატივო ჯგუფი და დაარსდა მეჯვეთა ამხანაგობა, სანიმუშო წესდება იქვე იქნა წაკითხული და მიღებული. ეს იქნება პირველი კოოპერატივი ხევსურებში. მაზრაღმასკომი დაჰპირდა თეთრ-წყლებში მომხმარებელ კოოპერატივის მოწყობას, საქიმო პუნქტის გახსნას და სხვა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყურადღება ხევსურებს მაზრიდან არ მოაკლდებათ და ისინი ჩქარი ნაბიჯით წავლენ წინ კულტურისაკენ, სოციალიზმისაკენ.

ალაზნელი.

საბჭოს მუშაობას წინსვლელობა ეტყობა

(გამოჩინებ. თ., ქუთ. მაზრა)

ჩვენი თემის საბჭო წელს თითქმის 80 პროცენტით იქნა განახლებული. არ იქნა არჩეული ისეთი ელემენტები, რომლებიც წარსულ წელს ვერ გამართლეს ამომრჩეველთა დავალება. უკვე სამი თვე გავიდა მისი არჩევის შემდეგ და ახალი საბჭოს მუშაობა თვალსაჩინო ხდება. სექციების მუშაობას წინსვლელობა ემჩნევა. მაგ. გზები და ბოგირები კეთდება. სას.-სამეურ. გადას. 100 პროცენტით აკრებილია. გლეხს არ უჩნდება ეხლა აღმასკომში საათობით დგომა პასუხის მისაღებათ. რადგან საბჭომ თემის ხარჯზე აიყვანა კიდევ ერთი საქმის მწარმოებელი. საბჭომ ამას წინათ მორიგ კრებაზე დასვა საკითხი აღმასკომის შენობის და საექიმო პუნქტის შეკეთების შესახებ თანხების გამონახვაზე, მოიღეს დადგენილება თვითდაბეგვრის სახით შეაკეთონ ეს შენობები, აგრეთვე შეინახონ საქმის მწარმოებელიც. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. თემში სულ არის 9 სკოლა—შვიდწლედები და 4 წლედები, მათში 5 ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება. საჭიროა ამაზედაც იზრუნოს საბჭომ და თვითდაბეგვრის სახით ესეიც შეაკეთონ ამ არდადეგებზე.

სან-კანი.

მუშათა ცხოვრება

„მუშტაიდი"

(შთაბეჭდილებანი)

მუშტაიდი ოდესღაც ხულიგნების სანავარდო მოედანი იყო. მრავალგვარ გარყვნილებას და საზიზღრობას ჰქონდა აქ ადგილი.

დღეს კი პოეტის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „სულ სხვა არის ჩვენი ბუნება, ჩვენი ჰაერი". მართლაც და რა გასაკვირია, რომ ეს მასე იყოს? დღეს მუშტაიდი რაც იყო ის აღარაა, მას „ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ბაღი" ჰქვია. ბაღის სახელი როდია გამოცვლილი მარტო, ამჟამად აქ „ჰაერიც გამოცვლილია" და იგი შეიქნა მშრომელთა დასასვენებელ ადგილად, ყოველდღიურ შრომით მოქანცულ მუშების გასართობ სულიერ საზრდოს მიმწოდებელ ადგილად. ბაღის გამშვენიერებაზე 3000 მანეთი დაიხარჯა და მან ფერიც გამოიცვალა.

მთელი ბაღი, რომლის სიფართე ერთ კვადრატულ ვერსს მაინც უდრის მოფენილია მრავალფეროვან ყვავილნარებით, ბაღის ცენტ. გაკეთებულია უზარმაზარი შადრევანი, რომელიც განუწყვეტლივ ისვრის ჰაერში ანკარა წყალს და შემდეგ მარგალიტის წვეთებით აბნევს გარშემო შადრევანის შუაში ლამაზადაა აგებული შავი ქვის პატარა ბუჩქი—სადაც მოთავსებულია რამოდენიმე ფერადი ელნათურა. ღია ცის ქვეშ ჰაერზე მოწყობილია სამკითხველო.

ბაღში აგებულია ახალი სცენა, სასულე ორკესტრის მოსათავსებელი ადგილი და ეკრანი. სეზონის გახსნაზე ბაღში 2.000 მეტი მშრომელი იყო. ისინი „დაითვირენ" პიესის დადგმით, ცოცხალი გაზეთით, ფიზკულტურით, რადიოს მოსმენით, ოპერის მსახიობთა არიებით და სხვ.

სეზონის გახსნა მართლაც რომ არაჩვეულებრივი იყო. საღამოს 7 საათიდან უკრავდა ადგილობრივი სასულე ორკესტრი. ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით დაიდგა პიესები, ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით უკრავდა ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრი, იყო ფიზკულტურის წრის გამოსვლა. გუგუნებდა რადიო-ხმა „გლეხის ქალის მუშაობის" შესახებ და სხვა.

რა კონტრასტი და რა დიდი უფსკრულია ძველ მუშტაიდსა და ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ბაღს შორის! დასათრობი და სალაზღანდარო—გასართობად შეიცვალა. დღეს ამ ბაღს ამხ. ლენინის ძეგლი ამშვენებს.

ერთი ნაკლი აქვს ბაღს: წყარო არ არის მოვლილი. გამგეობამ ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს.

ი. ჯავახიშვილი.

საწარმოო თათბირები მთავარ სახელოსნოებთან

1 ივნისს შესდგა მთავარ სახელოსნოებთან არსებული საწარმოო თათბირის წლიური კრება. დღის წესრიგში იყო მთავარ სახელოსნოების უფროსის ამხ. მაისუროვის მოხსენება საწარმოო კომისიის მოქმედების შესახებ წარსული წლის განმავლობაში. მომხსენებელი უმთავრესად შეეხო სახელოსნოების გაფართოვებას და მოწყობის საკითხს, კერძოდ ამკრეფ ცეხის მოწყობის საკითხს. გეგმის მიხედვით პირველ რიგში უნდა გაფართოვდეს ამკრები ცეხი, რომელშიაც ამჟამად სრულიად შეუძლებელია დიდი ორთქლმავლების შეკეთება. განზრახულია ახალი სამილე განყოფილების მოწყობა საზღვარ - გარეთის სისტემის მიხედვით, რაიც მოგვცემს შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებას. განზრახულია აგრეთვე სამჭედლო ცეხის საბოლოო განყოფილების ახალი შენობის აგება, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდება შრომის ნაყოფიერება.

დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა ახალი მოწყობილობის მისაღებათ, რომელსაც გერმანიიდან მოელიან, სულ მიღებულ იქნება 24 სახარატე და 30 პნევმატიური დაზგა. ეს ახალი მოწყობილობა დიდად გააუმჯობესებს შრომის ნაყოფიერებას და პროდუქციის ხარისხს. მას შემდეგ რაც სახელოსნოებში მოეწყო საწარმოო განყოფილება. მუშაობას დაეტყო გაუმჯობესება, ასე, მაგალითად: გაიაფდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა წარმოება - სახელოსნოებს უკვე მიეცა 10.000 მ. კრედიტი, რაიც საშუალებას მისცემს მას უფრო ინტენსიურად აწარმოოს მუშაობა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ამხანაგმა, რომლებმაც აღნიშნეს მუშაობის ნაკლი და მტკიცებული ზარები. კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა.

კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც საწარმოო კომისიის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

მუშკორი — ყაზბეგი.

ხულიგნები პლეხანოვის სახელობის კლუბში

(ამხ. ხმალაძის საყურადღებოდ)

პლეხანოვის სახელობის კლუბი და მის გარშემო მდებარე ბაღი, ერთ საუკეთესო დასასვენებელ ადგილად არის მიჩნეული. პირველ რაიონის მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახების წევრთათვის. სამწუხაროდ ამ ბაღში გროვდებიან ხულიგნები და სისტემატიურად ქმნიან აურ-ზაურს, აფრთხობენ ხალხს, დეზორგანიზაციას შეაქვთ საერთო კულტურულ მუშაობაში. კვირას 12 ივნისს, ამ ხულიგნების ერთი ჯგუფი ლუდით გალეშილი დაერია ერთი - მეორეს და საშინელი აურ-ზაური ასტეხა ხალხით სავსე ბაღში. გასაშველებლათ მისულ ამხ. ვ. ბარბაქაძეს ხულიგნებმა სასტიკად სცემეს. მე-11-ტე რაიონის მილიცია ძლიერ გვიან გამოცხადდა შემთხვევის ადგილას, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის მილიცია ხულიგნებთან ბრძოლაში სისუსტეს იჩენს. ხულიგნები დაპატიმრებულნი არიან. ვიმედოვნებთ, რომ ისინი მიიღებენ ღირსეულ სასჯელს, როგორც ხულიგნობისათვის, ისე ამხ. ვ. ბარბაქაძის შეურაცხყოფისათვის. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ხულიგნობა რაიონში ერთხელ და სამუდამოთ იქნეს აღმოფხვრილი.

დამსწრე.

ვინ უნდა გაიგზავნოს სანატორიუმებში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ერთი მთავრობა არა ფიქრობდა მშრომელი ავად მყოფების მოვლა - პატრონობაზე. მაშინ მხოლოდ ბურჟუაზია დაპარპაშობდა ჩვენს კურორტებზე, მიუხედავათ იმისა, ესაჭიროებოდა მას ეს თუ არა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სულ სხვანაირად შეტრიალდა საქმე. ბურჟუაზიის მაგივრად მუშა-მოსამსახურე ასობით და ათასობით იგზავნებიან კურორტებზე. ისეთი პატარა სახელმწიფო, როგორიც არის საქართველო, ყოველწლიურად თავის ბიუჯეტიდან ხარჯავს ჭლექთან ბრძოლაზე თორმეტ მილიონ მანეთზე მეტს.

მუშებმა უნდა ვეცადოთ, რომ სახელმწიფოს მიერ ჩვენზე დახარჯული ფული ჯანმრთელობის გამოსაბრუნებლად, მიზანშეწონილად გამოვიყენოთ. სანატორიუმების წესები და რეჟიმი არამც თუ იქ ყოფნის დროს, არამედ სახლებში დაბრუნების დროსაც უნდა დავიცვად შეძლებისა დაგვარად, რათა ნაწილობრივად მაინც აღდგენილი იქნას ჩვენი ძალ-ღონე, რომ ჩვენი შრომა უფრო ინტენსიური იყვეს მუშაობის დროს, რათა მეტი შევქმნათ და ამ რიგათ კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავამაგროთ ჩვენი ქვეყანა.

ზოგიერთი ავათმყოფები იქ იქცევიან სანატორიუმებში, რომ მათზე გაწეული ხარჯები, წყალში გადაყრილათ უნდა ჩაითვალოს.

მუშებმა ზედმიწევნით უნდა შევასრულოთ სანატორიუმის წესები, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავათმყოფები ვერ იქცევიან რიგიანად. „ლოთობენ", ეწევიან თამბაქოს და სხვა. ადგილი აქვს აგრეთვე ავათმყოფების ერთი და ორი კვირით ადრე გამოქცევას სახლებში, რადგანაც მათის თქმით სანატორიუმის ცხოვრება ერთფეროვანი და მომაბეზრებელია. მათ ვერ შეუგნიათ, რისთვის არიან გაგზავნილი სანატორიუმებში წამლობისათვის, თუ დროს გასატარებლად.

სანატორიუმებში ისეთები უნდა გაიგზავნოს, რომლებიც მართლაც ფიქრობენ აღადგინონ თავიანთი ჯანმრთელობა, რომლებიც დაემორჩილებიან სანატორიუმების წესრიგს.

ავადმყოფების მიერ სანატორიუმებში გატარებული დროის მიზანშეწონილად გამოყენებას ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ექიმებმა, აგრეთვე დამზღვევ სალაროებმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. სანატორიუმების ადმინისტრაციამ სანატორიული რეჟიმი მტკიცედ და ურყევად უნდა გაატარონ.

ნიკო მკერვალი.

გამოხმაურება

„კომუნისტი"-ს № 132-ში მოთავსებული შენიშვნის შესახებ სათაურით „როგორ მოახერხა" რკინის გზის ადმინისტრატიულ განყოფილებამ შემდეგი გვაცნობა: იმ ოჯახის წევრებს რომლებიც ცხოვრობენ მუშა - მოსამსახურესთან ერთად და იმყოფებიან მის სრულ რჩენაზე უფლება აქვთ ისარგებლონ უფასო ბილეთით. ასეთივე უფლება აქვთ კერძოდ მოქ. ივ. ნემსიწვერიძეს.

როგორ სწავლობენ ჩვენი ბავშვები

პეტრიაშვილის ქუჩაზე (ყოფ. საფეულისწული) № 21 სახლში მოთავსებულია მე-9 საბავშო ბაღი, სადაც ეხლა იმყოფება 97 ბავში. ბავშთა მშობლების უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებია. დღეს ამ საბავშო ბაღში გამოფენაა გამართული, სადაც ყოველ მშობელს თავისი თვალით შეუძლია ნახოს ყველაფერი, რაც საბავშო ბაღში მოსიარულე პატარა ყმაწვილებს გაუკეთებიათ და შეუთვისებიათ სამოსწავლო წლის განმავლობაში. სამცადინო დიდი ოთახის კედლები აჭრელებულია სხვადასხვა დიაგრამებით. ამ დიაგრამებში და ცხრილში აღნიშნული არის ყველა მიღწევანი, რაც ახასიათებს ბავშების ყოფა - ცხოვრებას, როგორც საბავშო ბაღში, ისე გარედ. აქ არის გამოხატული ბავშების შრომა, აღზრდა - განვითარება, ჰიგიენა, ხატვა, წერა-კითხვის შეთვისება, სოციალური მდგომარეობა, მუსიკა, ექსკურსიები და სხვ.

საბავშო ბაღს განაგებს **ხოფით მაჩაბელი.** გარდა გამგისა საბავშო ბაღს ყავს ოთხი მზრუნველი, რომელნიც ბავშების აღზრდა - განვითარებას ხელმძღვანელობენ. ბავშები კვების მხრივ დამაკმაყოფილებელ პირობებში არიან; ბაღი ყავს საკუთარი მზარეული, რომელიც ამზადებს ჩაის დილით და ორ თავ სადილს; საბავშო ბაღს აქვს თავისი ბოსტანი, თუმცა პატარა, მაგრამ კოხტად გაშენებული და გამშვენიერებული თვით პატარა ბავშების კოლექტიური შრომით. საბავშო ბაღი საუკეთესო ადგილასაა მოთავსებული, იქ საუცხოვო ჰაერია და ამის გამო იშვიათია ბავშების ავათმყოფობა. მშობლები საშუალოდ იხდიან თითო ბავშზე თითო მანეთს, რაც ბავშებისავე სხვადასხვა საჭიროებას ხმარდება საბავშო ბაღში.

უნდა ითქვას, რომ ბავშებს აკლიათ დილით საუზმე, რაც მათთვის აუცილებელია. ამის მოგვარებაზე საჭიროა თვით მშობლებმა იზრუნონ, ვინაიდან საბავშო ბაღს ისეთი მცირე შემოსავალი აქვს (ერთი მან. ბავშზე), რომ მით ქაღალდებისა და სხვადასხვა საჭირო საგნების შეძენაც კი უჭირს. ამას თვით მშობლების ინტერესები მოითხოვს.

ერთი საყვედური ეთქმით მშობლებს, მათ არა აქვთ მჭიდრო კავშირი საბავშო ბაღთან. ცოცხალი კავშირი კი დიდ დახმარებას გაუწევს ბაღის მუშაკებს.

უ. ჯ.

მუშათა ქრონიკა

— **სატარიფო თათბირი** საგზაო კომიტეტის პლენუმის შემდეგ თბილისში ჩატარდება სატარიფო თათბირი.

— **ნახევარ საათის დასვენება.** ა.-კ. რკინის გზებზე გამოიცა ბრძანება, რომლის ძალითაც მუშებს ეძლევათ ნახევარ საათის დასვენება, 11 საათიდან—11 ს. 30 წუთამდე საუზმის მისაღებათ.

— **მასალების მიწოდება.** სადგურ ფოთის საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურის მე-2 უბანს—მიაწოდოს ფოთის უბანს საჭირო იარაღები და მასალები.

— **დატვირთვის შემსუბუქება.** ხაზის ზოგიერთ პატარა სადგურებზე მეისრეებს დაველებული აქვთ დარაჯის მოვალეობაც, რითაც მათი შრომის ნაყოფიერება ფერხდება, ამის გამო საგზაო კომიტეტი ხანში მოხსნის ხსენებულ მეისრეებს დარაჯის მოვალეობას.

— **მუშების დაწინაურება.** თბილისის უბნის კომიტეტის დადგენილებით საყუდის ზეინკალი ამხ. კესინოვი, წამოყენებულია ცეცხლის მქროლის განყ. გამგის თანაშემწის თანამდებობაზე.

2. მთ. სახელოსნოს ზეინკალი ამხ. ნიკოლაევი—საგზაო მომწესრიგებელ განყ. ყოფა-ცხოვრების გამგის თანამდებობაზე.
3. მე-2 სამასალო საწყობის ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ბუჯიაშვილი—მე-2 სამასალო საწყობის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე.
4. რონოდათა ოსტატის თანაშემწე ამხ. ეღლიტი—ა.-კ. რკ. გზათა მთავარ საწყობის უფროსის თანამდებობაზე.
5. პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგე ამხ. ჯაფარიძე—საქარხნო საფაბრიკო სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე და
6. მთ. სახელოსნოს ჩამომხმელი ამხ. თანიაშვილი—პლეხანოვის კლუბის გამგის თანამდებობაზე.

ფასების დაკლებისათვის

ფასების დაკლება საიმპორტო საქონელზე

საუბარი ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის წევრთან ამხ. ვ. წივწივაძესთან

ფასების პოლიტიკა, — განაცხადა ამხ. ვ. წივწივაძემ, — რომელსაც ატარებდა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, ყოველთვის შეთანხმებული იყო ბაზრის მომწესრიგებელ ორგანოების დირექტივებთან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ფასების პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობდა მისწრაფება ფასების დაკლებისა და კალკულიაციის სისწორით გამომუშავებისაკენ. ამას შედეგად მოჰყვა არა მარტო მოგების შემცირება, არამედ ფასების რეალურად დაკლება მიმდინარე წელში გასულ წელთან შედარებით.

ასე, მაგალითად 1925 — 26 წელში კინოპლიონკა ნეგატივი ღირდა 30 კაპ. მეტრი, 1926—27 წელში 25 კაპ., დაკლება გატარებულია 14,7 პროც-ით, კინო-პლიონკა პოზიტივი ღირდა 14 კაპ., ეხლა ღირს 11 კაპ., დაკლება გამოიხატა 15 პროც.; ტყვიაზე ფასები დაკლებულია 3,8 პროც. ერთ კილოგრამზე, ცინკზე 5,8 პროც., პარაფინზე 26,1 პროც.

თავის მუშაობაში ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქონლის კალკულიაციას. ამჟამად მის გამომუშავებაში მიღწეულია მაქსიმალური სისწორე და ეს ხდება დოკუმენტალური ცნობების მიხედვით.

რაც შეეხება დანართებს, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო მოგების სახით საქონელს ადებს 3-დან 10 პროცენტამდე, რაც დაწესებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ. ეს ნორმები მკაცრად ტარდება ცხოვრებაში.

კამიშის ექსტრაქტს ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ჰყიდის 1 მან. 40 კაპ. მაშინ, როდესაც კერძო ბაზარზე იგი ღირს 7—8 მანეთი, ფოტოგრაფიული აპარატები ჩვენთან ღირს 2—3 მანეთი, კერძო ვაჭრები კი ჰყიდიან 22 მანეთად, პარაფინი ჩვენთან 85 კაპ., კერძო ბაზარზე 3 მან. 50 კაპ., შავი პილპილი 4 მან. 70 კაპ.—9 მანეთი, ჩულქები — 2 მან. 20 კაპ. — კოოპერაციაში 5 მანეთი, ტყავი შევრო 2 მან. 10 კაპ. — 2 მან. 60 კაპ., კოოპერაციაში 5 მანეთი, და სხვა.

სავაჭრო ფასების დაკლება აფხაზეთში

სოხუმი, 14 ივნისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა აფხაზეთში მოახდინა გამოკვლევა, თუ რამდენად იცავს ბაზარი სატიკეტო ნორმით დაწესებულ ფასებს და სავაჭრო წესებს.

სულ გამოკვლეულ იქნა 99 სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო წარმოება. გამოირკვა, რომ ბევრი კერძო ვაჭარი ჩაის, თამბაქოს, წუმწუმას და სხვ. ჰყიდიან სატიკეტო ფასებზე ძვირად — 50—75 პროც-ით. სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში გამოკვლევამ მხოლოდ უმნიშვნელო დეფექტები აღმოაჩინა.

გამოკვლევის შემდეგ პასუხისგებაში იქნა მიცემული 24 კერძო ვაჭარი, რომელთაც ბრალად ედებათ სპეკულიაციის მიზნით ფასების აწევა და სავაჭრო წესების დარღვევა.

გამოკვლევამ გამაჯანსაღებელი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ბაზარზე (ადს).

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

როგორ პირობებში უნდა ხდებოდეს კერძო ვაჭრებისათვის კრედიტების მიწოდება საქონლით

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოკვლია კერძო კაპიტალისათვის საქონლით კრედიტების მიწოდების საკითხი. იმ მზნით, რომ კერძო კაპიტალი დაექვემდებაროს სახელმწიფოებრივ ზეგავლენას, ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც მიღებულია საბანკო კრედიტის მოსაწესრიგებლად აუცილებლად სცნო აგრეთვე გატარებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებები საქონლის კრედიტის დარგშიაც.

ამის და მიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს გააძლიერონ მეთვალყურეობა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებისა და კერძო კაპიტალის ურთიერთობაზე, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ა) კერძო ვაჭრების ცდას საქონლის კრედიტის სახით სპეკულიატური მიზნებით გამოიყენონ სახელმწიფო საქონლის ფონდი, ბ) კერძო პირებზე გაყიდული არ უნდა იქნეს საქონლის საუკეთესო ასორტიმენტი, გ) კერძო პირებს საქონელი არ უნდა მიეცეს შეღავათიან პირობებში, დ) კერძო პირებისათვის კრედიტის მიცემის დროს საჭიროა სიფრთხილე. საჭიროა რეალური გარანტია და წინასწარ გამორკვევა იმისა, თუ რამდენად კრედიტის უნარიანი არიან ისინი (და ე) ყურადღება უნდა მიექცეს კერძო პირების მიერ დავალიანების არა თავის დროზე გასტუმრებას.

ამასთანავე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს წინადადება მიეცა ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები არღვევენ ვაჭრობის მოწესრიგების ნორმებს, დამნაშავეები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

იმ დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, რომლებსაც ადგილი აქვს კერძო კაპიტალისათვის ფულადი და საქონლის კრედიტის მიცემის პრაქტიკაში, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებს და აგრეთვე ბანკებს, რომლებიც კრედიტს აძლევენ კერძო კაპიტალს: 1) გამოიყენონ ყველა არსებული საშუალებები კერძო კლიენტურის კრედიტის უნარიანობისა და მათი სამეურნეო მოღვაწეობის ხასიათის გამოსარკვევად, 2) კრედიტის უნარიანობის შესახებ შეგროვილ მასალების მიხედვით დააწესონ ცალკე კლიენტებისათვის კრედიტების მიცემის ფარგლები; კრედიტის გამცემი ორგანიზაციები პასუხისმგებელი იქნებიან თუ ისინი გასცილდებიან ამ ფარგლებს. 3) სავსებით უნდა შეწყდეს კერძო კლიენტურისათვის შეღავათების სისტემატიურად მინიჭება კრედიტის მიცემის და დავალიანების გასტუმრების ვადების დაწესების საკითხში, რაც გამართლებულია ობიექტიური პირობებით, რომლებიც გამომდინარეობენ ბაზრის კონიუნქტურიდან. 4) სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თამასუქების გატარებას და საკუთარი თამასუქების პორტფელის ღირსებას. 5) დაწვრილებით შემოწმებულ უნდა იქნეს ის საქონელი, რომელსაც იღებენ გაცემულ სესხის საწინდრად და 6) მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომლებითაც აღმოფხვრილი უნდა იქნეს ცალკე კერძო კლიენტებისათვის კრედიტების გადაბარება. ამისათვის საჭიროა: თვითეული კლიენტის საერთო დავალიანების აღრიცხვა ყველა ოპერაციების მიხედვით, აღრიცხვა მისი დავალიანების სხვა ბანკებში და სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებში, აღრიცხვა საკუთარ კაპიტალისა, რომელიც დაბანდებულია საქმეში თვით კლიენტის მიერ და სხვა.

საგზაო კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღ. 6 საათზე, გაიხსნა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მე-4 პლენუმი.

პლენუმი გახსნა ამხ. საბაშვილმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა მე-4 პლენუმის ამოცანები და იმ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის აუცილებლობა. რომელიც წამოყენებულია რკ. გზ. პროფორგანოების მიერ.

პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა საგზაო კომიტეტის გარდაცვალებულ წევრებს ამხ. ლადო ქავთარაძეს და კარაპეტიანს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, პლენუმმა მოისმინა ამხ. პარმენ საბაშვილის მოხსენება საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო ორ ძირითად მომენტს მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების და პროფესიონალურ კულტ-საგანმანათლებლო საკითხებს.

ამხ. საბაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. იაკუბოვმა, გრიგორიანმა, ვაჭარაძემ, სადიხმა და გოგიბერიძემ.

საკურორტო სეზონი

დაიწყო

გუშინ, 15 ივნისიდან საკურორტო სეზონი დაიწყო რესპუბლიკანური მნიშვნელობის ყველა კურორტებზე. საკურორტო სამმართველოს ცნობით წელს საქართველოს კურორტები ძლიერ დატვირთულია. გარდა ამიერ - კავკასიის ქალაქებისა, ბევრი მოაგარაკენი მოდიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის შორეულ ქალაქებიდანაც.

ბორჯომის, აბასთუმნის, წაღვერის და ზოგიერთ სხვა კურორტებზე ბინები დაიქირავეს მოსკოვიდან, შუა აზიის, ციმბირის და სამხ.-რუსეთის ქალაქებიდან. მოსკოვ-ბორჯომს შუა მოაგარაკეთათვის დანიშნულია პირდაპირი ვაგონები.

კურორტებზე ბინები აღარ იშოვება

საკურორტო ბიუროს ცნობით, ამჟამად თავისუფალი ოთახები არ არის არც ერთ კურორტზე. შეიძლება კიდევ რამდენიმე საწოლის დაქირავება პანსიონატებში. აბასთუმანში და ბორჯომში ბინები განთავისუფლდება მხოლოდ აგვისტოს შუა რიცხვებიდან.

ზოგიერთ კურორტებზე (წყალტუბო, წაღვერი და სხვ.) შეიძლება კერძო ბინების დაქირავება, რაშიაც კერძო მეპატრონეები დიდ თანხას მოითხოვენ.

კურორტების კეთილმოწყობა

საკურორტო სამმართველო გაზაფხულიდანვე შეუდგა სამზადისს რესპუბლიკანური კურორტების კეთილმოსაწყობათ. აბასთუმანში და ბორჯომში სწარმოებდა ახალი აბაზანების მოწყობა, ბაღების გამშვენიერება, ბინების შეკეთება და სხვ.

წყალტუბოში დაიწყო დიდი სასტუმრო შენობის აგება. დაიწყო ახალი აბაზანების მოწყობა. ამჟამად ყველა ეს სამუშაოები თითქმის უკვე დასრულებულია. წყალტუბოდან საკურორტო ბიუროში მიღებული ცნობებით, წელს კურორტზე დიდძალი მოაგარაკეებია ჩამოსული.

ახტალის კურორტზე მოწყობილია თბილი და ცივი აბაზანები.

წელს საკურორტო სეზონის დასრულების შემდეგ, მოხდება კურორტზე მყოფ ყველა მოაგარაკეების ჯანმრთელობის შემოწმება იმ მიზნით, რომ გამოირკვეს, თუ რამდენათ მოუხდათ მათ კურორტზე მკურნალობა. ყველა კურორტებზე მოწყობილია ამბულატორიები და აფთიაქები.

საერთოდ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიქცეული კურორტებზე საქიმო დახმარების აღმოჩენის საქმეს.

პროფკავშირებში

ექსკურსიების შესახებ

პროფკავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება მიმდინარე წლის საზაფხულო საექსკურსიო სეზონში აწყობს მთელ რიგ ექსკურსიებს მოსკოვში.

ექსკურსიების ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ თბილისის მუშები გაეცნონ ცენტრის საწარმოო და კულტურულ მიღწევებს.

პირველი ექსკურსია განზრახულია მოეწყოს 1 ივლისს, შემდეგი მარშრუტით: თბილისი—მოსკოვი—თბილისი; ეს ექსკურსია გაგრძელდება 14 დღეს, აქედან 8 დღე საჭირო იქნება გზაში და 6 დღე მოსკოვში ყოფნისათვის.

მარშრუტის ღირებულება 72 მან. უდრის. ეს ხარჯი ნაანგარიშევია ასეთი ანგარიშით:

1) მატარებლის ქირა შეღავათიანი ტარიფით, პლაცკარტით—40 მან., 2) ექსკურსანტების კვება, ბინა, ხელმძღვანელი და სხვა ხარჯები ექვსი დღის განმავლობაში მოსკოვში—17 მან., გარდა ამისა, ყოველ ექსკურსანტს თან უნდა ჰქონდეს სახარჯო ფული კვებისათვის გზაში მოსკოვამდე და უკან—თბილისამდე—15 მან.

ექსკურსიის დახმარებას გაუწევს რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახ. კომისარიატის ცენტრ. ექსკურბიურო.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს თანხა ბევრ მუშებს გაუძნელებს ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და აძლევს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მუშათა გამგზავრებას კავშირის ცენტრში, იგი საჭიროდ სცნობს, რომ კავშირების ცენტრ. გამგეობებმა ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ ექსკურსანტებს.

ექსკურსანტების სიები, სახელის, მამის სახელის, გვარის და კავშირის საწევრო წიგნაკის ნომერის აღნიშვნით და აგრეთვე ფული—57 მან. ყოველ ექსკურსანტზე, უნდა გაიგზავნოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში არა უგვიანეს 22 ივნისისა.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

წითელ ჯარში

ვემზადებით მორიგ გაწვევისათვის

მიმდინარე წლის ოქტომბერში მუშურ-გლეხურ წითელი არმიის რიგებში ვაიწვევიან ნამდვილ სამხედრო სამსახურის გასავლელად 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდები.

გასული წლების გაწვევებს თან სდევდა ყოველთვის მრავალი შეცდომები, რომელნიც შემდეგში აბრკოლებდნენ ყაზარმის სწავლების და წითელ არმიელთა მომზადებას და ამასთანავე ახდენდნენ არა სასურველ გავლენას თვით წითელარმიელთა მასაზე. ეს შეცდომები გამომდინარეობდენ მეტ წილად მოსახლეობის მოუმზადებლობისაგან. ადგილებზე არ იყო ჩატარებული კამპანია გაწვევის ირგვლივ, ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა არ იცნობდა კანონს სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ, არ იყო დაწვრილებით გამოკვლეული იმ ახალგაზრდობის რიცხვი, რომელთაც შეეძლოთ სარგებლობა შეღავათებით და მრავალი სხვა.

მიმდინარე წელს ყველა ეს შეცდომები თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

უპირველეს ყოვლისა მოსახლეობას უნდა განემარტოს, თუ ვინ სარგებლობს შეღავათებით ჯარში გაწვევის დროს. გაწვევის დროს წითელი ჯარის რიგებში არ უნდა მოხვდეს არც ერთი ახალგაზრდა, რომელსაც აქვს უფლება რაიმე შეღავათზე. ამისათვის კი საჭიროა, რომ ეხლავე, დაუყოვნებლივ, შედგენილ იქნეს გასაწვევ ახალგაზრდობის სიები და ეს სიები გამოკრულ იქნას თვალსაჩინო ადგილას საჭიროა აგრეთვე, რომ მოსახლეობას განემარტოს შეღავათებით სარგებლობის საკითხი, რომ ყველამ, ვისაც კი აქვს რაიმე უფლება შეღავათზე, დროზე წარმოადგინონ საჭირო საბუთები. ამ მუშაობაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ სამხედრო კომისარიატებმა, სამხედრო კუთხეებმა, ქოხ-სამკითხველოებმა და სოფლის აღმასკომებმა.

გაწვევამდის დარჩენილია ოთხ თვეზე მეტი. ეს დრო გამოყენებული უნდა იქნეს მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად გასაწვევ ახალგაზრდობას შორის. ყოველ გაწვევის დროს წითელი არმიის რიგებში მოდიან მრავალი უცოდინარნი და წითელი ყაზარმა დიდ ენერგიას და თანხებს ხარჯავს წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. აგრეთვე უცოდინარნი უძნელდებათ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საგნების შეთვისება, რაც უეჭველია აბრკოლებს სამხედრო მზადებას. ამიტომ საჭიროა, რომ გაწვევამდე დარჩენილი დრო მოვახმაროთ გასაწვევ ახალგაზრდობის გათვითცნობიერებას; უნდა ვეცადოთ, რომ წითელ ყაზარმას მიეცეთ რაც შეიძლება მეტი წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდა, ამით ჩვენ შევუწყობთ ხელს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებას.

გაწვევასთან დაკავშირებით სოფლად თუ ქალაქად სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს ახსნა-განმარტებითი კამპანია ჯარში გაწვევის ირგვლივ. დროგამოშვებით უნდა იმართებოდეს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის საერთო კრებები, რომლებზედაც უნდა კეთდებოდეს მოხსენებები წითელ ჯარზე, ყაზარმის ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, წითელი არმიის დღევანდელ ამოცანებზე.

ა. ხუციშვილი.

ახალი ქარხნები

კირის ქარხანა

გუშინ დილით მოწამეთიდან დაბრუნდა ახალ შენებათა კომიტეტის მიერ გაგზავნილი სპეციალური კომისია ინჟ. ვაჟაძის, მარქაროვის და საამშენებლო საზოგადოება „ტრუბსტროის" წარმომადგენლის ინჟ. შალპერინის შემადგენლობით. კომისიამ მოახდინა მოწამეთაში საკირე ქვის კარიერებისა და კირის საწვავი ქარხნის ადგილების დათვალიერება.

თბილისში დაბრუნების შემდეგ კომისიამ საამშენებლო კომიტეტის დავალებით ხელშეკრულება დასდო უკრაინულ საამშენებლო საზ-ბა „ტრუბსტროისთან" კირის ქარხნის აგებაზე. „ტრუბსტროიმ" აღნიშნული ქარხნის აგება უნდა დაასრულოს 6 თვის განმავლობაში, ხოლო თვითონ ქარხანა მოაწყოს ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად.

ქარხანაში მოწყობილი იქნება გაზო-გენერატორები, საწვავი ღუმელის მექანიკურათ დატვირთვა, ქარხნიდან კირის ვაგონებზე მექანიკურათ დასატვირთი მოწყობილობანი და სხ.

ქარხნის აგება სულ დაჯდება 260.000 მანეთი. ქარხანასთან აგებული იქნება მუშების საცხოვრებელი ბინებიც.

ქარხნის ასაგებათ საჭირო წინასწარი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ცემენტის ქარხანა

ახალშენებათა კომიტეტმა მიანდო ინჟ. ზ. მარქაროვს დაამუშაოს ცემენტის ქარხანასთან ასაგები შენობების გეგმა და გამოარკვიოს ქარხნისათვის საჭირო სივრცე. სულ ქარხანა თავისი ნაგებობებით დაიჭერს 7 დესეტინა მიწის ნაკვეთს.

ახლო ხანში დაიწყება აგრეთვე ქარხნის ასაგებ საამშენებლო მასალის მოზიდვა.

ფარმაცევტიული განათლების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფარმაცევტიულ ყრილობების მიერ ჩვენში და გასულ წლის საკავშირო ყრილობის მიერ მოსკოვში, გამოტანილ იქნა გარკვეული დადგენილებები,—საკითხი ფარმაცევტების განათლების შესახებ ჩვენში ჯერ კიდევ საკამათო საგანს შეადგენს და საბოლოო გადაწყვეტასაც ვერ ღებულობს. სამწუხაროდ ზოგიერთი ამხანაგები ამ ფრიად სერიოზულ საკითხს საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან.

აფთიაქში მოწაფეობის წესით ფარმაცევტების მომზადება შემოღებული იყო 1845 წლის 18 დეკემბრის კანონით. ამ კანონის ძალით ახალგაზრდას საშუალება ჰქონდა, თუ კი მას გიმნაზიის 4 კლასის კურსი ჰქონდა გავლილი შესულიყო აფთიაქში და მიეღო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა სამი წლის განმავლობაში (იმ დროს აფთიაქების პატრონები ვალდებული იყვნენ გარდა პრაქტიკისა, მოწაფე თეორიულადაც მოემზადებიათ), რის შემდეგ მას ეძლეოდა საშუალება, დაემთავრებია განათლება უნივერსიტეტში. მუშაკების მომზადების ასეთი წესი მისაღები იყო მაშინდელ აფთიაქში. აფთიაქებში მაშინ იყო ლაბორატორიები, სადაც ახალგაზრდას შესაძლებლობა ჰქონდა, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნა მიეღო. ამ დროს აფთიაქი ნამდვილ სკოლას წარმოადგენდა. მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა - ქიმიკოსმა პირველი განათლება იმ დროინდელ აფთიაქებში მიიღო.

ქიმიო ფარმაცევტიულ მრეწველობის განვითარებასთან ერთად, აფთიაქს ჩამოშორდა ლაბორატორიული მოქმედების ფუნქციები, ეს ფუნქციები მიისაკუთრა ქარხნებმა და სპეციალურმა ლაბორატორიუმებმა. აფთიაქი გადაიქცა საკონტროლო - განმანაწილებელ დაწესებულებათ იმ დამზადებულ სამკურნალო საშუალებებისა, რომელსაც აფთიაქს აწვდიან ზემოაღნიშნული ქარხნები და ლაბორატორიები. დღევანდელ აფთიაქში თითქმის არც ერთი რთული ოფიციალური ფარმაცევტიული შენამზადი არ კეთდება. სამაგიეროდ მის მოვალეობას შეადგენს ექსპერტიზა სამკურნალო - სანამლო საშუალებებისა, მათი ვარგისიანობის გამოკვლევა, ქიმიური ანალიზები შხამებზე და ორგანულ საშუალებებზე, რომელიც მეტად რთულ და სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

ზემოაღნიშნული რთული და პასუხსაგები ამოცანები მოითხოვს თანამედროვე ფარმაცევტიდან ძირითად ქიმიურ ბიოლოგიურ საგნების საფუძვლიანად ცოდნას და მის გამოყენებას. ეხლა უკვე ძველი მოწაფეობის წესით ფარმაცევტიული განათლების მიღება დაუშვებელია.

სწორედ ამიტომ იქნა საბჭოთა კავშირის სხვა დასხვა რესპუბლიკაში შემოღებული, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ფარმაცევტების მომზადების განახლებული წესი. დაარსებულ იქნა ქიმიო - ფარმაცევტიული ფაკულტეტები და ინსტიტუტები რუსეთის და უკრაინის უნივერსიტეტებში, იმ პროგრამით, რომელიც შეეფერება თანამედროვე ფარმაცევტიულ მეცნიერების საფეხურს. ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტშიაც იქნა დაარსებული ქიმიო-ფარმაცევტიული განყოფილება, მაგრამ გასული წლის სექტემბერში, სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო რეორგანიზაციის დროს, ეს სასწავლებელი სრულიად დახურეს და ორი ძირითადი კურსი გადარიცხეს სხვა ფაკულტეტებზე.

საჭიროა ეხლავე ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დაყენებული ფარმაცევტიული განათლება, რომ მოსახლეობა უზრუნველვყოთ კვალიფიციურ ფარმაცევტიულ დახმარებით მომავალში. ზოგიერთი ამხანაგი 80 წლის წინეთ შემოღებულ წესით ფიქრობს ამ საკითხის გადაჭრას. შეუძლია თუ არა ასეთნაირად მომზადებულ ფარმაცევტს წესიერად შეასრულოს თავის მოვალეობა რასაკვირველია არა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფარმაციის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა სახელმწიფო უნივერსიტეტთან ფარმაცევტიულ ფაკულტეტის შენარჩუნება და არა აფთიაქის მოწაფეობის შემოღება.

არსებობს მეორე შეხედულებაც. წინადადებას იძლევიან უმაღლესი სასწავლებლის შეცვლის შესახებ საშუალო სასწავლებლით ე. წ. ფარმაცევტიულ ტეხნიკუმით. ეს წინადადება მიუღებელია იმიტომ, რომ ამ (საშუალო) კვალიფიკაციის მუშაკებით უზრუნველყოფილი ვართ დღესდღეობით. გარდა ამისა, განა ტეხნიკუმი შესცვლის უმაღლეს სასწავლებელს?

ჩვენში არსებობს მედტეხნიკუმი, მაგრამ ვის მოუვა აზრათ ამის გამო დახუროს საექიმო ფაკულტეტი?

უმჯობესი იქნებოდა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი გვქონდა ფარმაცევტიულ განათლებისათვის.

ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მედსანშრომის კავშირის აზრს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ყველაზე უფრო სწორად გაერკვევიან თუ რა კვალიფიკაციის მუშაკებია საჭირო ამ დარგში.

ა. მ.

კოოპერაცია

საწევრო წიგნაკების გადაცემის წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ ხანებში შენიშნა, რომ კოოპერატივის წევრებს შორის გახშირდა საწევრო წიგნაკების სხვა პირებისათვის გადაცემის შემთხვევები. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები მაშინ, როცა სურთ მიიღონ საქონელი, რომელსაც კოოპერაცია იძლევა მხოლოდ საწევრო წიგნაკების მიხედვით.

ამ.-კავკ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობამ შეიმუშავა და დაგზავნა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც შეიცავს ამ მოვლენასთან ბრძოლის წესებს. ამ ინსტრუქციის თანახმად ამ.-კავკ. სატრანსპ. სამომხ. საზოგ. საწევრო წიგნაკი ჩამოერთმევა იმ პირს, რომელნიც სხვას გადასცემენ წიგნაკს; წიგნაკი ჩამოერთმევა იმ შემთხვევაშიაც, თუ წიგნაკში აღმოჩნდა წაშლილი, შესწორებული ადგილები და ამოხეული ფურცლები, თუ წიგნაკის პატრონი შენიშნულ იქნა კოოპერატივში ნაყიდი საქონლის სხვა პირებზე გადაყიდვაში, და აგრეთვე თუ გი სარგებლობს რამოდენიმე საწევრო წიგნაკით.

წიგნაკი აქტთან ერთად გადაეცემა სადუქნესაკონტროლო კომისიას, რომელსაც რწმუნებულთა კრების წინაშე შეუძლია დასვას საკითხი წიგნაკის პატრონის გამორიცხვის შესახებ კოოპერატივის რიგებიდან.

თუ დამტკიცდა, რომ რომელიმე პირმა რამოდენიმეჯერ ისარგებლა სხვისი წიგნაკით არასაკმაო საქონლის მისაღებათ, ამ შემთხვევაში ამ.-კავკ. სატრანსპ. სამომხ. საზოგადოების გამგეობას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ორგანოებს, რომ დამნაშავენი პასუხისგებაში იქნან მიცემული სისხლის სამართლის წესით.

გარდა ამისა, ამ.-კავკ. სატრანსპ. სამომხ. ამხანაგობის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილება კოოპერატივის წევრის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას აცნობებს სათანადო პროფორგანოს.

მზადება კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

ამ.-კავკ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა შეუდგა ენერგიულ მზადებას კოოპერაციის საერთაშორისო დღის—2 ივლისის ჩატარებისათვის.

ამ დღეს განზრახულია მოეწყოს დიდი საზეიმო საღამო ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. ამ საღამოში მონაწილეობას მიიღებს ცოცხალი გაზეთი, რომელიც გააშუქებს კოოპერაციის მიღწევებს და ამოცანებს; გამოვა აგრეთვე გუნდი, რომელიც იმღერებს დღის შესაფერ კუპლეტებს.

რაც შეეხება რკინის გზის ხაზს, იქ ყველა დიდ პუნქტებში გამართება კრებები, რომლებიც მიძღვნილი იქნება კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის.

ავაშენოთ თვითმფრინავი



თავის 13 ივნისის სხდომაზე, თბილისის საბჭომ ერთსულოვანი აღფრთოვანებით მიიღო ამხ. ლადო სუხიშვილის წინადადება, რომ ინგლისის იმპერიალისტების პროვოკაციული გამოსვლის საპასუხოთ, თბილისში აშენებულ იქნას მსგავსად საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა, თვითმფრინავი, სახელწოდებით: „თბილისის პროლეტარიატი". ამ მიზნით საბჭომ გადასდო 5.000 მანეთი და გადასწყვიტა დაწყებულ იქნას შემოწირულებათა შეგროვება თბილისის მუშა-მოსამსახურეთა შორის. „კომუნისტი" ცალკე კუთხეს უთმობს დღეიდან გამოწვევებს და მიიღებს შემოწირულებას.

„კომუნისტი"-ს რედაქციას შეაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში 100 მანეთი და იწვევს „ზარია ვოსტოკა"-ს „მუშა"-ს, „ახალ სოფელს" და „ფუხარა"-ს.

ამხანაგებო! ჩემბერლენის, ჩვენი მოსისხლე მტრების ვერაგობის საპასუხოთ, ავაშენოთ თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი", შევიტანოთ მის ფონდში ჩვენი წვლილი. მე შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გ. ყურულაშვილს, ს. ჯუღელს, დ. თხილავას, ვ. მესხს, ს. მამულიას, მ. კახიანს, ლ. ქართველიშვილს, კ. სვანიძეს, ლ. დოლობერიძეს, ე. ასრიბეკოვს, ს. გეგეჭკორს და შ. მათიკაშვილს.

ლადო სუხიშვილი.

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"

თავდაცვა — ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება, ამ სახელწოდებით აარსებს ახალ ფონდს და ამასთანავე იწყებს შემოწირულების შეგროვებას მშრომელთა შორის

თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების ყველა წევრებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ.

ინგლისის „შუბლმაგარ" კონსერვატიულმა მთავრობამ გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დაუჯდეს, ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა. ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მისწრაფება, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნა მთლიანი ფრონტი, დღემდე ყოველთვის მარცხით თავდებოდა. ინგლისის კონსერვატორების ეს მარცხი უმთავრესად აიხსნება იმით, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელნი, ისევე, როგორც მთელი დედამიწის მშრომელნი მიისწრაფვიან მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ, აიხსნება აგრეთვე იმით, რომ საბჭოთა კავშირი არა სიტყვით, არამედ საქმით ანხორციელებს მშვიდობიანობის ნამდვილ პოლიტიკას.

„შუბლმაგართა" მთავრობა მიისწრაფვის შექმნას ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთლიანი ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაუარესოს მისი საერთაშორისო მდგომარეობა და მიაღწიოს იმას, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრონ სხვა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა; ამ მიზნით ამოძრავებული, იგი შესდგა აღმაშფოთებელი და თავხედური პროვოკაციების გზაზე.

მანჯურიის ჯალათმა ჩან-ძო-ლინმა კონსერვატორების კარნახით დააპატიმრა საბჭოთა დიპლომატიური შიკრიკი, კონსერვატორების ხელმძღვანელობით იქნა მოწყობილი თავდასხმა საბჭოთა საელჩოზე პეკინში. როცა გამოირკვა, რომ ამ თავხედურმა გამოსვლამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერ მიაღწია მიზანს და საბჭოთა კავშირი არ გაჰყვა ომის პროვოკაციას, ინგლისის „შუბლმაგარ" პროვოკატორებმა დაარღვიეს ინგლისის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის შორის 1921 წელში დადებული ხელშეკრულება; ამისათვის მათ გამოიყენეს პოლიციის თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე, რომელიც ხელშეკრულების ძალით ხელშეუხებელი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბოროტმოქმედებითმა თავდასხმამ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე ლონდონში არ მისცა არავითარი საფუძველი მტრული აგიტაციისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, „შუბლმაგარებმა" მაინც გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის. ურთიერთობის შეწყვეტით კონსერვატორებმა მოაახლოვეს ახალი ომის საფრთხე. ამით მათ დაამტკიცეს, რომ ისინი ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ მომენტში, როცა კონსერვატორები აგროვებენ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ კაპიტალიზმის ძალებს, ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, მშვიდობიან სოციალისტურ აღმშენებლობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება და ენერგია უნდა გამოიჩინონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში. კავშირის მშრომელებს ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა ახსოვდეთ, რომ ქვეყნის თავდაცვის საქმე — ყველა მშრომელთა საქმეა.

პირველ რიგში ეს ეხება მრავალმილიონიანი საზოგადოების — თავდაცვის, ავიაციის და ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოების წევრებს. ამ საზოგადოების მიზანია გაუწიოს დახმარება კავშირის მთავრობას ავიაციის და ქიმიის არა მარტო მშვიდობიანი აღმშენებლობის მიზნისათვის განვითარების საქმეში, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებისა და უზრუნველყოფის საქმეში. თანამედროვე პირობებში ეს ამოცანა სდგება პირველ რიგში და მას ეძლევა სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამ საზოგადოების წევრებმა ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ინიციატივა და თვითმოქმედება უნდა გამოიჩინონ ამ მიმართულებით.

საავიაციო - ქიმიური უცოდინარობის ლიკვიდაცია, სამხედრო საქმის პოპულიარიზაცია და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ტეხნიკური ბაზის გაძლიერება ეხლა განსაკუთრებით უმთავრეს ამოცანად ხდება ჩვენი საზოგადოების მუშაობაში.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ტეხნიკურ საშუალებათა გაძლიერების მიზნით საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსოს ფონდი „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს", რისთვისაც იგი აწყობს შემოწირულების შეგროვებას მშრომელთა ფართო მასებს შორის. ამ ფონდმა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ისტორიაში ისეთივე როლი უნდა ითამაშოს, როგორც სახელოვანმა ესკადრილიამ „ულტიმატუმმა". რაც უფრო ძლიერი ვიქნებით ჩვენ, მით უფრო ნაკლები საშუალება ექნებათ კაპიტალისტებს განახორციელონ სამხედრო თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, მით უფრო ნაკლები იქნება ომის საფრთხე.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები ჩემბერლენის თავხედურ ინტრიგებს, ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის უპასუხებენ ისეთივე სიმშვიდით, ისეთივე დარაზმულობით, როგორც 1923 წელში უპასუხეს ლორდ კერზონს და მის ულტიმატუმს. ეს არის უმთავრესი საშუალება მშვიდობიანი აღმშენებლობის უზრუნველყოფისათვის.

თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრებო! ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანები სდგას. მთელი თქვენი ძალ-ღონით უნდა იმუშაოთ მშრომელი მასების დარაზმვისათვის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად. საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება და მშრომელი მასების დარაზმვა სათანადო პასუხის გასაცემად იმ შემთხვევაში, თუ თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირის საზღვრებს, — არის უმთავრესი გარანტია მშვიდობიანობისა და უზრუნველყოფს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

მოუვალი კედლის აღმართვით სოციალისტურ აღმშენებლობის ირგვლივ, თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების რიგებში შესვლით საბჭოთა თავდაცვის ტეხნიკური გაძლიერებისათვის სპეციალური ფონდის შექმნით, —ჩვენი ქვეყნის მშრომელნი საბჭოთა კავშირს გახდიან უძლეველს.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმი.

ინგლისის პროვოკაციის წინააღმდეგ

ჩემბერლენები და ძმანი მათნი ანგარიშში მოსტყუვდებიან

სად. ნავთლუღის რკინის გზელთა კლუბში გაიმართა ამავე სადგურის და „ზაკპოგრუზის" მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 300-მდე მუშა-მოსამსახურე. ინგლისის და საბჭოთა კავშირის შორის სავაჭრო და დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლომთათიძემ. მიტინგზე ილაპარაკა მრავალმა მუშამ, რომლებმაც ზიზღით მოიხსენიეს ინგლისის იმპერიალისტები მათი პროვოკაციული მოქმედებისათვის. დასასრულ მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: ჩვენ მუშა-მოსამსახურეები ინგლისის კონსერვატიული მუშების სისხლის მსმელ მთავრობას უცხადებთ უსასტიკეს პროტესტს. ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მიერ მონაპოვარ თავისუფლებას ჩვენ მათ არ დაუთმობთ ისე ადვილად, როგორც ჰგონიათ. ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ ჩვენი ხელისუფლების დასაცავათ. თუ ისინი იშოვნიან მოკავშირეებს სხვა ქვეყნების იმპერიალისტების სახით,—ჩვენ გვერდში ამოგვიდგებიან მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები. ძირს ინგლისის საზიზღარი მთავრობა! ძირს ჩემბერლენი თავისი ლორდებით! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას.

ვ. რ—ლი.

„საქართველოს ღვინოს" გამოკვლევა

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია „საქართველოს ღვინოს" მუშაობა; გამოირკვა, რომ კავშირის მოღვაწეობაში ადგილი არა აქვს აგრიკულტურულ და ტეხნიკურ ხასიათის ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ კავშირის, როგორც მეღვინეობის საწარმოო კოოპერაციის ცენტრის როლი.

აღნიშნული იქნა აგრეთვე ის, რომ კავშირი ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას არ უწევდა ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს, და ეს უკანასკნელები არ ასრულებდენ, წესდების თანახმად, ყველა საჭირო პირობებს კოოპერაციაში წევრად შესასვლელად. აღნიშნული იქნა ამასთანავე ღვინოების და პროდუქციის დამზადება პირველ საფეხურის ორგანიზაციების მიერ და კრედიტის მიუწოდებლობა მათთვის გამგეობის მხრიდან, რის გამო შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ქვედა საფეხურის ორგანიზაციები კრედიტს აძლევდენ გამგეობას თავისი პროდუქციით, რითაც გამგეობა აწვითარებდა თავის ოპერაციებს და სხვა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებები:

წინადადება მიეცეს „სოფლის კავშირის" გამგეობას და „საქართველოს ღვინოს" მომავალში შეასრულონ თავისი პირდაპირი მოვალეობა, როგორც მეღვინეობის საწარმოო კოპერაციის ხელმძღვანელმა და მომწესრიგებელმა ცენტრებმა.

თავისი ღონისძიებები მათ პირველ რიგში უნდა მიმართონ საგლეხო მეურნეობების და კოოპერაციაში გაერთიანებულ ცალკე წევრების მეურნეობის გასაძლიერებლად, რისთვისაც მათ უნდა გაეწიოს სათანადო აგრიკულტურული და ტეხნიკური ხასიათის დახმარება.

წინადადება მიეცეს გამგეობას გააძლიეროს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებისათვის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაწევა, ხშირად მოიწვიოს რწმუნებულთა კრებები იმ მიზნით, რომ რწმუნებულებმა ახლო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კავშირის გეგმების, ხარჯთაღრიცხვების და მსხვილი ოპერაციების დამტკიცებაში. აუცილებლად იქნას ცნობილი, რომ მიეცეს კავშირს 50.000 მანეთი კავშირის კოოპერატიული თანხების გასაძლიერებლად. საჭიროდ იქნეს ცნობილი სამიზნო კრედიტის გაცემა ღვინოების დასამზადებლად და აგრეთვე საქონლის და სავექსელო კრედიტის მიცემა.

წინადადება მიეცეს გამგეობას გააძლიეროს თავისი ბრძოლა მიღებულ მატერიალურ საშუალებების ხარჯზე და გაატაროს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება გასაღებელ პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებასთან ერთად.

აუცილებლად იქნეს ცნობილი ხარჯთაღრიცხვის და სავაჭრო გეგმის შედგენა მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე, კალკულიაციის დეტალურ გადასინჯვასთან ერთად.

წინადადება მიეცეს ახალ გამგეობას გააფართოვოს თავისი კლიენტურა კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ხარჯზე.

აღნიშნული იქნეს, რომ „სოფლის კავშირი" სუსტ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას უწევდა „საქართველოს ღვინოს", რაზედაც მიეთითოს სოფლის კავშირის გამგეობას და წინადადება მიეცეს მას მომავალში უფრო მტკიცე ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა იქონიოს „საქართველოს ღვინოს" მოღვაწეობაზე.

ჩათახის რაიონის დაგეგმვა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო განყოფილებამ მოიწვია საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტის ინჟენერ - გეოლოგი **იუნევი**, რომელმაც უკვე მოახდინა ჩათახის რაიონის მაგნიტური აგეგმვა; აგეგმვის მიზანი იყო რკინის მადნის ადგილ-მდებარეობის გამორკვევა.

აგეგმილი სივრცე მდებარეობს საქართველოს ს. მ. უ. ს.-ის ლითონის ქარხნის ახლო, სადაც რკინის მადნის გათავების გამო ქარხანა დაიხურა.

სულ გამოკვლეული იქნა ათი კვადრატიული ვერსი. აგეგმვის საბოლოო შედეგები გამორკვეული იქნება ერთი თვის შემდეგ, როდესაც შეამოწმებენ მაგნიტის აპარატების მიერ ჩაწერილ ცნობებს. ფიქრობენ, რომ ამ რაიონში რკინის მადნის დიდი მარაგი უნდა იყოს.

მიღებულია
საუკეთესო სურათი
„ჰამბურგი"
5. 1333
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს.

ქუთაისის ქრონიკა

ტყეების გაშენება

მიმდინარე წელს ქუთაისის სამაზრკომის სატყეომ სალორიის აგარაკზე გააშენა აკაციის ტყე დაახლოვებით 14 დესეტინის სივრცეზე. დარგულია 45 ათასი ნერგი, რომელიც ერთ პროცენტითაც არ გათუჭებულა. სულ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქუთაისის ქალაქის ფარგლებში გაშენებულია ახალი ტყე 80 დესეტინის სივრცეზე.

ქალაქის საავადმყოფოს მიდამოებში საცდელად გააშენეს სხვადასხვა წიწვიანი ჯიში და აგრეთვე უცხო ჯიშის ნერგები. ორ დესიატინაზე დარგულმა ჯიშებმა, როგორიცაა იტალიური ფიჭვი „პინუს-პინეია“. „კრიფტომერია“ და „სეკვია“ ყველამ გაიხარა.

მომავალი წლისათვის ქუთაისის სატყეოს ექნება მილიონამდე ნერგი საკუთარი სანერგეებიდან.

ფასების დაკლება

1 ივნისისათვის ქუთაისსა და მის მაზრაში სამრეწველო საქონელზე ფასები დაკლებულია 9,45 პროც. ფასების დაკლებას ხელი შეუშალა: ზოგიერთ კოოპერატიულ ორგანიზაციათა აპარატის მოუწესრიგებლობამ გაუსაღებელ საქონლის ბრუნვის სიმცირემ, დანარიცხების შეუმცირებლობამ და ნავალევი თანხების გადიდებამ. მიღებულია ზომები რათა კოოპერაციის ადმინისტრატიული, სამეური, სავაჭრო პერსონალის ხარჯები, სამივლინებო, საკომისიო და სხვ. ხარჯები შემცირებულ იქნეს 15 პროც. წარსანდელ ნორმასთან შედარებით.

კოოპერატივების გაერთიანება

განზრახულია შემდეგ კოოპერატიულ ერთეულთა გაერთიანება:

1. საპაიჭაო ვანი და ამაღლების კოოპერაციის გაერთიანება ტობანიერის კოოპერაციაში.
2. ზეიდარის გაერთიანება მალათის კოოპერაციასთან;
3. კურსებისა და ორპირის — ტყიბულის კოოპერაციასთან;
4. მუხიანის — ქუთაისთან;
5. დიდი ჯიხაიშის — სამტრედიასთან;
6. ხონის, სვირის, სიმონეთისა და წყალტუბოს კოოპერატივები რჩებიან დამოუკიდებელ ერთეულებათ.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში მთელ მაზრაში გაერთიანებულია მოსახლეობის 12 პროც. მიღებულია ზომები რათა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებდეს არა ნაკლებ მოსახლეობის 25 პროც.-სა.

ქუთაისში, ხონსა და სამტრედიაში სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია მომხმარებელ კოოპერატივთა დახმარებით აწყობს მიმწოდებელ პუნქტებს ისეთ პირველი მოთხოვნილების სასოფლო პროდუქტებისას, როგორიცაა: კარტოფილი, ხახვი, ნიგოზი, მწვანილეულობა და სხ. ამგვარად ფიქრობენ ხსენებულ პროდუქტებზე ფასების შემცირებასა და განმტკიცებას.

მიწად-მოქმედება

სამაზრო ალმასკომის მიწადმოქმედების განყოფილების მიერ მიღებული ცნობებით, რიონის თემში ყოფილან ქემამულენი, რომელთაც დღემდე შეურჩენიათ ნორმაზე მეტი მიწები. ასე, მაგალითად: კულაკ მალაფერიძის აღმოაჩნდა 140 ქცევა მიწა, რომელთაგან 65 ქცევა ტყეა. მიღებულია ზომები გადამალულ მიწების აღმოსაჩენად და ჩამოსართმევად.

სასოფლო ნაწარმოები და გადამყიდველები

შინა-ვაჭრობის კომისიამ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო ალმასკომის წინაშე, რათა ქალაქში შესავალ პუნქტებზე ბაზრობის დღეებში, როგორიცაა; ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა, დაინიშნონ ცალკე მეთვალყურენი, რომელნიც საშუალებას არ მისცემენ გადამყიდველებს ბაზარზე შემოუტანლათ საქონლის შიძენისას. გადამყიდველები დიდათ აძვირებენ სასოფლო პროდუქტს. კომისიის აზრით, საჭიროა ხსენებულ დღეებში მათ ქალაქში აეკრძალოთ პროდუქტის შესყიდვა.

მოსავალი

სტიქიურ მოვლენათა მეოხებით სამტრედიის რაიონში დაიღუპა 3 დესეტინამდე ბაღეული და 5 დესეტ. ბამბის ნათესი.

გავრცელებულია მავნებლები: ხეხილზე — ფოთლის ჭია. სიმინდზე — მახრა და ხეხილზე კინტაპია. მიღებულია ზომები მავნებლების წინააღმდეგ.

ქრონიკა

მოლაპარაკება ჰარიმანთან

საქართველოს სამთომადნო მუშათა, აღმშენებელთა და ტრანსპორტელთა კავშირებმა დაიწყეს მოლაპარაკება საკონცესიო საზოგადოებას „საქართველოს მარგანეცთან“ კოლექტიური ხელშეკრულების განახლების შესახებ, რადგან წინანდელ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა.

მოლაპარაკების წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ სამთომადნო მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **ხაჩატურიანი** და აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **სავინი.**

კონცესიის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების დირექტორი **ლაზასი** და კონცესიის მოსამსახურეები **ვიურბერგერი** და **ჯაფარიძე.** მოლაპარაკება გაგრძელდება ორი-სამი კვირა.

ტელეფონი თბილისი - ბათუმი

ფოსტა - ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველო ახლო ხანში დაიწყებს თბილის-ბათუმის სატელეფონო მაგისტრალის გაყვანას.

მაგისტრალი გაყვანილი იქნება რკინის გზის გასწვრივ. მაგისტრალის ასაგებად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ფოსტა -ტელეგრაფის ა.-კ. ოლქის სამმართველოს გადასცა 50.000 მანეთი.

წყლის სადგური ზაჰესში

ამჟამად ზაჰესში მიმდინარეობს მუშაობა წყლის სადგურის მოსაწყობად ზაჰესის ტბაზე. სადგურისათვის უკვე შეძენილია ბათომში ჩვეულებრივი და მოტორიანი ნავები.

ტბაზე მოწყობილი იქნება ნაოსნობა და ცურვა.

თბილისის ალმასკომში

◆ **სააქციო საზ-ბა „მკერავი“.** თბ. ალმასკომმა შეიძინა სააქციო საზ-ბა „მკერავი“-ს 20.000 მან. აქციები.

◆ **მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები.** ალმასკომის განკარგულებაში ამჟამად ირიცხება 860 მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლი.

◆ **წყალსადენი.** მუშათა სახლებში წყალსადენის გასაყვანად ალმასკომმა გადადო 80.000 მანეთი.

◆ **შემოსავალი.** გასული წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1-ლ აპრილამდე ალმასკომს სხვადასხვა გადასახადების სახით შემოუვიდა 1.108.649 მანეთი.

◆ **შუშის ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ავჭალაში აგოს შუშის ქარხანა.

◆ **5 წლიანი გეგმა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ შეადგინა 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომლის მიხედვით 5 წლის განმავლობაში ახალი ქარხნების ასაგებათ დაიხარჯება 5.056.000 მანეთი.

◆ **ლოტკის ხიდის აგება დამთავრდა.** ხიდის აგება დაჯდა 5.500 მანეთი.

◆ **„გოგილოს“ აბანო.** ამჟამად კომუნალური განყოფილება აწარმოებს „გოგილოს“ აბანოს გაფართოებას, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება 300-400 კაცის გატარება აბანოში.

ჯანმრთელობის დაცვა

◆ **ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან** გაიხსნა ფიზიოთერაპევტიული განყოფილება.

◆ **ვენერიულ სენთან ბრძოლა.** მე-3 საავადმყოფოსთან ვენერიულ სენით დაავადებულთათვის მოეწყო განყოფილება 45 საწოლით.

◆ **პოლიკლინიკა.** მოაგარაკეთათვის კოჯორში გაიხსნა პოლიკლინიკა.

სახალხო განათლება

◆ **მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა.** განათლების განყოფილება ამ დღეებში აწყობს შრომის სკოლების მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენას.

◆ **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** თბ. ალმასკომის პოლიტგანათლების განყოფილება წითელ არმიის ნაწილებში ხსნის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო 30 სკოლას.

სხვადასხვა

— **საქართველოს პროფსაბჭოსთან** არსებული მუშათა პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის შემსწავლელი ცენტრალური კომისია სთხოვს საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილ წევრებს **ა. ბახტაძეს, ი. ბადრიძეს, ვ. ბობოხაძეს,** და განახლებულ მელითონეთა კავშირის ყოფილ თავმჯდომარეს **ო. ლაცაბიძეს** შემოიარონ პროფსაბჭოში (მუშათა სასახლე ოთახი № 8).

შემთხვევები

მკვლელობა შოვის ქუჩაზე

გუშინ, ღამის 11 ნახევ. საათზე, მეცხრე სამილიციო რაიონში, შოვის ქუჩაზე სახლი № 1 მახლობლად, აღმოჩენილ იქნა რევოლვერით მოკლული კაცის გვამი.

შემთხვევის ადგილზე საჩქაროდ გამოცხადდა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე **შ. მელაძე,** მორიგე გამომძიებელი **ბ. იმედაშვილი** და სხვ.

მოკლულის ვინაობა ვერ იქნა გამორკვეული. იგი არის შუა ტანის, 25—30 წლისა, შავგვრემანი, აცვია თეთრი ხალათი მოქარგული საყელოთი, შავი შარვალი, თმა შეკრეჭილი აქვს, ფეხებზე აცვია ყვითელი „ბატინკები“.

მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა 15 მან. ფულათ, მეტრიული რკინის საკეცი საზომი და გასაღები.

გამოძიებით გამოირკვა, რომ მკვლელს რევოლვერი უსვრია ახლო მანძილიდან.

მკვლელობა მოხდარა ღამის 11 საათზე.

მკვლელი მიიმალა.

მოკლულის ვინაობის შესახებ სთხოვენ აცნობონ სისხლის სამართლის მილიციას.

აფერისტის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტი **გიორგი ბაგინოვი.**

ბაგინოვს ყალბი მინდობილობით და მოწმობებით გამოჰქონდა დაწესებულებებიდან და კერძო მაღაზიებიდან ღვინის დიდი პარტია.

ღვინო მას გამოჰქონდა თითქოს მანგლისის საზაფხულო კლუბის საჭიროებისათვის, სინამდვილეში კი კერძო ბაზარზე ჰყიდდა და ფულს ითვისებდა. ის ამ ბოროტმოქმედებას დიდი ხანია ეწეოდა.

დაპატიმრების დროს ბაგინოვს აღმოაჩნდა ღვინის ფირმის ყალბი ნიშნები, მინდობილობები, მოწმობები და სხვა.

დაინტერესებულ დაწესებულებებს სთხოვენ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 15, ამხ. **ბარკალაიასთან.**

◆ **ბოტანიკურ ბაღის გვირაბის გორაკიდან** თამაშობის დროს გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა ბავში ვასილ ბაქარიანი.

◆ **ოქროს საათის მოპარვა.** 14 ივნისს ანჩხატის ქ. № 17 სტანისლავა ბაჟიუკ-მელიქოვას ბინიდან მოიპარეს ორი ოქროს საათი.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 14 ივნისს რიყის ქ. № 71 ივანე მიტუხინის საზეინკლო-სახელოსნოდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

◆ **თევზით მოწამვლა.** 14 ივნისს ირსევის ქ. № 2 მცხოვრებნი ცოლ-ქმარი ზურაბ და არუსიაკა ადამიანცები მოიწამლენ ხრამულის თევზით. მოწამლულნი გადაიგზავნენ საავადმყოფოში.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 14 ივნისს შეიპყრეს მიკიჩ ხაჩატუროვი. რომელმაც გლეხს კულუ-ახმედ-ოღლის ამოაცალა ფული.

◆ **ბავშის დაკარგვა.** 13 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე სახლიდან (კახეთის შესახვევი 5) წავიდა მე-57-ე შრომის სკოლის მეშვიდე ჯგუფის მოწაფე 15 წლის კონსტანტინე პოპკე და აქამდის არ დაბრუნებულა. აცვია თეთრი მოკლე შარვალი, ნაცრისფერი ხალათი და სანდლები. თმა შავი აქვს.

სთხოვენ ყველას, ვინც შეხვდება აღნიშნულ ნიშნების მქონე ბავშვს, გვაცნობოს მისამართით: თბილისი, წყნეთის შესახვევი სახლი № 5 პოპკეს.

გამოწვევა

სურებ-ჩოხატაურის გზის გაყვანისათვის

თანახმად ამხ. ბიბინეიშვილის გამოწვევისა, შემაქვს 20 მანეთი იმ ფონდში, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სურებ - ჩოხატაურის გზის გაყვანას და ვიწვევ: ინჟ. ა. გ. კაციტაძეს, ანდრო დოლიძეს, თენგიზ ჟღენტს, ზებედი ს. ტრაპაიძეს, თეოფილე ჩიჩუას, ოლია შალამბერიძეს, დალე სალუქვაძეს, (ოზურგეთიდან) სურვილისამებრ, მიშა ექვთიმესძე ბიბინეიშვილს, 25 მანეთით, ქსენია ექვთიმეს ასულს ბიბინეიშვილს, ისაკი ბერიშვილს, ნოე საზოსძე რამიშვილს, არტემ დათასძე შარაშიძეს (ქუთაისი) პოლიოს ვ. ლომინეიშვილს და გიორგი რამიშვილს, (ოზურგეთის მაზრის ალმასკომი), ოცი მანეთით, გიორგი დ. კიკნაძეს, მირიან ასალოსძე რამიშვილს, აფთონ ცინცაძეს და ანდრო ნიკოლოზისძე ცინცაძეს თვითეულს 15 მანეთით. ბენია ე. შარშიძეს სარხერე) და ანდრო მოსესძე რამიშვილს ათ-ათი მანეთით.

კასიანე ნ. ეზიეშვილი.

სასამართლო

კომკავშირელ სულუხიას მოკვლის საქმე

ქუთაისი, 14 ივნისი. სოფელ თამაკონში სენაკის მაზრა საჯაროთ გაირჩა კომკავშირელ მაკარი სულუხიას მკვლელობის საქმე. საქმე გაარჩია დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ ამხ. **როდონაიას** თავმჯდომარეობით. დიდძალ ხალხის დასწრების გამო, სასამართლოს სხდომა გაიმართა ცისქვეშ. სასამართლომ გამოარკვია შემდეგი: სოფ. თამაკონში ცხოვრობდა კომკავშირელ სულუხიას ნათესავი ოლღა ქოქაშვილი. უკანასკნელი ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას და ბოლო დროს სცხოვრობდა იმავე სოფლის გლეხ, მის მოგვარესთან ესტატე ქოქაშვილთან. სულუხია მოითხოვდა, რათა ოლღა და ესტატე გატარებულიყვნენ მმაჩის რეგისტრაციაში, მაგრამ ისინი ამაზე არ თანხმდებოდენ. სულუხიას თავიდან მოსაშორებლად, ოლღამ და ესტატე ქოქაშვილებმა გამოიმუშავეს მისი მოკვლის გეგმა. საღამოს, როდესაც ოლღა ქოქაშვილი და სულუხია ბრუნდებოდენ სახლში, ოლღამ სთხოვა სულუხიას გაეცილებია იგი სახლამდის. როდესაც ისინი შევიდენ ეზოში, ესტატე ქოქაშვილმა, რომელიც ჩასაფრებული იყო, ესროლა სულუხიას თოფი და მოჰკლა. სასამართლომ ოლღა და ესტატე ქოქაშვილები დამნაშავეებათ სცნო და პირველს მიესაჯა 8 წლის ციხე, ხოლო მეორეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. (ადს).

მკვლელობა

ამ რამოდენიმე ხნის წინად მეპურე **იაგორ მაისაშვილი** და მეჩექმე **კონდრატი ბუკია** ამხანაგებთან ერთად ქეიფობდენ სასადილოში. მეგობრები დათვრენ. დილის 4 საათზე მოქეიფენი დაიშალენ. გზაზე მაისაშვილმა აღელვებული კილოთი უთხრა ბუკიას.

— „გურჯაანის სადგურში, რომ მოჰკლეს დარაჯი **ნესტორ ქავთარაძე,** თუ ვინ არის მისი მკვლელი შენ და მოქ. **ზაუტაშვილმა** იცით“. ბუკია გაბრაზდა და დაჟინებით მოსთხოვა მაისაშვილს ბრალდების დამტკიცება. მაისაშვილმა უთხრა ბუკიას:

— „წიწაკა თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ იმ საზიზღარი მკვლელობის ჩამდენი შენ ხარო“.

ბუკია მოთმინებიდან გამოვიდა და მაისაშვილს დანით მიაყენა 13 ჭრილობა. მიღებული ჭრილობებისაგან უკანასკნელი გარდაიცვალა.

მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით გამოირკვა, რომ ბრალდებულ ბუკიას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა მაისაშვილი. დადასტურდა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

სასამართლომ ბუკიას მიუსაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

მამის მკვლელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გოჩიტაშვილის** და **ფხეიძის,** პროკურორ **გ. აბაკელიას** და მდივან **სეზუას** მონაწილეობით სიღნაღში გაარჩია ფორე ბეჟუაშვილის საქმე.

წ. წ. ბრალდებული გაყრიდა მამას და ცალკე სცხოვრობდა.

იყო შემთხვევა, როცა ფ. ბეჟუაშვილის სათიბეში შევიდა მამის საქონელი და შეჭამა თივა. ბრალდებულმა მამას კაცები მიუგზავნა და მოსთხოვა ზარალის ანაზღაურება.

მამა უარი სთქვა.

ერთ დღეს მამა და შვილი მუშაობდა. მოსაზღვრეთ მდებარე თავიანთ ყანებში. ამ დროს მამის საქონელი კვლავ შევიდა ბრალდებულის სათიბეში. ბრალდებული მივარდა მამასთან და დაუძახა:

— „თუ შენმა საქონელმა კიდევ მომაყენა ზარალი — უსათუოდ მოგკლავო“.

იქვე მახლობლად მუშაობდენ ნიკოლოზის მეზობლები. რომლებიც იყვნენ ამ ამბის მოწამენი. მათ ძლიერ გაუკვირდათ შვილის ასეთი მოქმედება და სთხოვეს მას დამშვიდებულიყო.

ბრალდებულის მამა დამშვიდებით ეუბნებოდა შვილს:

— „ვიცი, რომ შენ სასიკვდილოთ არ გამიმეტებ“-ო.

ამ სიტყვების საპასუხოდ შვილმა წაკარტი ჩასცა მამას მუცელში. მამის ყვირილზე მივიდენ იქვე მომუშავე მეზობლები, მაგრამ ფორე ღრიალებდა:

— „არ მომეკაროთ, თორემ ყველას დაგხოცავთ.

მან ხანჯლით 14 ჭრილობა მიაყენა მამას და ბოლოს კი თავი მოკვეთა.

მკვლელი დააპატიმრეს.

სასამართლომ ბრალდებულ ბეჟუაშვილს მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ხელოვნება

კონსერვატორია

(მოსწავლეთა საოპერო გამოცდა)

სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგიურ მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს ვოკალურ ხელოვნებას და ამიტომაც მოსწავლეთა საჩვენებელი წარმოდგენები იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას. სახელმწიფო კონსერვატორიის შენობაში 12 ივნისს გაიმართა ასეთი წარმოდგენა. კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა მოწაფეებმა შეასრულეს რუსულ და ქართული ოპერების ნაწყვეტები.

ცხადია, კონსერვატორიის კურსდამთავრებულ მოწაფეებს ვერ წაუყენებთ მოთხოვნილებას, როგორც პროფესიონალ მსახიობებს, მაგრამ უკვე სჩანს, რომ ესა თუ ის შემსრულებელი ივარგებს და უკვე მზად არის პროფესიონალურ საოპერო მოღვაწეობისათვის. მოწაფეებმა შეასრულეს ნაწყვეტები ოპერებადან: „მეფის საცოლე“, „ფაუსტი“, სეველიელი დალაქი“. „პიკის ქალი“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მონაწილეობდენ: ბეპლე (მარფა) — ლამაზი ხმა, მუსიკალობა, მოფიქრებული ფრაზიროვკა; სიმღერაში საჭიროა მოქნილობის და დინამიკის განვითარება; მირზაბეკოვა—ლამაზი ხმა (მაღალი მეცცო - სოპრანო)—შეასრულა პოლინას პარტია. მომღერალი განიცდის მუსიკას, თავისუფლად ხმარობს ხმას. სცენიური მხარე კარგად აქვს დამუშავებული დუნიაშას პარტია [illegible], მაგრამ აქაც მოსჩანს მუსიკალობა; ჯანაშია (დრამატიული იერის საშუალო ძალის ტენორი)—მომღერალს ეტყობა შესამჩნევი წარმატება: ლამაზი ხმა, მოსჩანს მუსიკალობა, საჭიროა რეგისტრის (ხმის თავისუფალი ხმარების). დიქციის, მიმიკის და გრიმის დამუშავება, მღერის რიტმიულად. სცენიური მხარე (ლიკოვი, გერმანი) ძალიან სუსტია შაპოშნიკოვი ლამაზი ხმა, სასიამოვნო ტემბრის საშუალო ძალის ბანი, კარგი მუსიკალობა. საჭიროა მეტი ყურადღება და დაკვირვება სცენიურ შესრულების მხრით. არ არის დამაკმაყოფილებელი გრიმი მეფისტოფელის პარტიაში; მომღერალი ქალი ნოვრუზაშვილი — ლამაზი ხმა, კარგი ტეხნიკა, კარგია, რომ გადაეჩვეოდეს ხმის დადაბლებას (დეტონაცია), განსაკუთრებით შუა რეგისტრში; ოვჩარენკო — ლამაზი მეცცო - სოპრანო, კარგია სცენიური მხარე, ეტყობა ხმის თავისუფალი ხმარება. ემჩნევა მუსიკალობა (ზიბელი, მოხუცი გრაფინია); პრეისი — მეცცოსოპრანო, ლამაზი ტემბრი, მუსიკალობა, მარტას (ფაუსტი) გარეგანი სახის არასწორი გაგება, კარგია გუვერნანტკის (პიკის ქალი) ტიპი; ბადრიძე განსაკუთრებული სილამაზის ლირიული ტენორი, დიდი მუსიკალობა, ტემპერამენტი, დაკვირვება. თავისუფლად ხმარობს ხმას შოთას პარტიაში. ლამაზად მღერის ფაუსტის პარტიის სოლო ადგილებს, მოისუსტებს ხმა ანსამბლში. კარგად არის გაგებული შოთას პარტია, ხოლო არადამაკმაყოფილებლად ფაუსტის პარტია. პირველ ყოვლისა ფაუსტი არის გერმანელი და არა სიცოცხლით სავსე ესპანელი. არ ვარგა კავატინის შესრულება ასეთი ექსპრესიით. ძალიან ლამაზია სცენიური მხარე, გარეგნობა, გრიმი და დიქცია; პოლიანოვა (ლირიულ - კოლორატურული მომღერალი) — განვითარებული ტეხნიკა, საჭიროა ხმის, ფრაზის დამუშავება, ემჩნევა დიდი მუსიკალობა (როზინა), ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გოძიაშვილმა. მისი სცენიური ნიჭი ინტუიტიურად ვითარდება. მომღერალი განიცდის მუსიკას, ფრაზის, შესრულებაში დაცულია ზომიერება. კარგია სცენიური გრიმი და პარტიის გაგება; ხომასურიძე და პავლე კანდელაკი (დონ-ბაზილიო და დონ ბარტოლო)—ორივემ, განსაკუთრებით ხომასურიძემ გამოიჩინეს ლამაზი ხმა, ორივემ არასწორად [illegible] სცენიური მხარე. დონ-ბარტოლო არის მსწავლული ექიმი ხოლო დონ-ბაზილიო — ცბიერი, შურიანი იეზუიტი და არა ცირკის მსახიობი. განთქმული მონოლოგი „ცილისწამების შესახებ“ ხომასურიძეს შესრულებაში მთლად დაიკარგა [illegible] ლტოლვის გამო. მშვენიერი ხმა აქვს [illegible] (ლიზა და გულჩინა), ძალიან სუსტია ოპერა „პიკის ქალის“ გმირის სცენიური მხარე. უკეთესია გულჩინა. ლამაზი ხმა და დიდი მუსიკალობა ახასიათებს ბერძენიშვილს. (ნინო თქმულებიდან შოთა რუსთაველზე). ხოფერია (აბდულ არაბი) — მღეროდა ჩვეულებრივი მუსიკალობით და ლამაზი ხმით. მსახიობმა მოგვცა სრული სცენიური სახე.

საერთოდ საოპერო კლასმა დამსახურებული მსახიობი ქალის პროფესორ შულგინას ხელმძღვანელობით მშვენივრად დაიჭირა გამოცდა. ვერ დავეთანხმებით მხოლოდ ოპერების ზოგიერთი ადგილების რეჟისორულ განმარტებას —ფაუსტი მთლიანად არის ნაწყვეტი, როგორც საერთო, ისე ცალკე სცენიურ ადგილებში, განსაკუთრებით ფინალურ ნაწილში (ფაუსტი, მარგარიტა და მეფისტოფელი). თუ ეს არის ლტოლვა რეალიზმისაკენ, სამაგიეროდ ის მოკლებულია მხატვრულობას. შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „სევილიელი დალაქი“ არის კლასიკური მუსიკალური კომედიის საუკეთესო ნიმუში და არა ცირკის ბალაგანი.

ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით კარგია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ორკესტრი.

ვ. გ.

რკინის გზებზე

მატარებლის დამტვრევა

14 ივნისს ყარსიდან არპაჩაიში ჩამოვიდა ოსმალეთის საბარგო მატარებელი, რომელიც შესდგებოდა 33 დატვირთულ რონოდისაგან. ორთქმავლის გაფუჭების გამო სადგურის აგენტებმა მოხსნეს მატარებლის შემადგენლობიდან 16 რონოდა. ამის შემდეგ მატარებელი დაიძრა ლენინაკანისაკენ, მაგრამ გასვლისთანავე მატარებელი გაწყდა და 8 დატვირთული ვაგონი დაბრუნდა უკან. მოწყვეტილი ვაგონები დაეჯახენ სადგურში დარჩენილ რონოდებს, რასაც შედეგათ მოჰყვა 4 ქერით დატვირთული რონოდის დამსხვრევა. ლიანდაგი დაზიანებულია 50 მეტრის მანძილზე. ლენინაკანიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც გამოიყვანა 6 ვაგონი.

ნახევარი საათით

ა.-კ. რკ გზის გამგეობის განკარგულებით შემოღებულია ნახევარ საათიანი დასვენება სამმართველოში, დღის 11—11 ნახევარ საათამდე.

ბიბლიოგრაფია

«ЭКСПОРТНЫЕ ТОВАРЫ ЗАКАВКАЗЬЯ И УСЛОВИЯ ИХ ПРОИЗВОДСТВА И ДОБЫВАНИЯ.“

ნაწილი II გვ. 337, ფასი 3 მ. 50 კ.

საბიბლიოგრაფიო წიგნი წარმოადგენს ა.-კ. ფინანსთა კომისარიატის მიერ გამოცემულ კრებულს წერილებისას ამიერ-კავკასიის სხვადასხვა საექსპორტო საგნებზე. ეს მეორე კრებულია, რომელშიაც მოცემულია მხოლოდ ცხოველთა ნაწარმოები, სამთო სიმდიდრეთა და ხალიჩების დახასიათება. პირველი კრებული შეიცავდა მცენარეულ კულტურის ნაწარმოების დახასიათებას.

კრებულში მოცემულია მდიდარი მასალა ცალკე სპეციალისტებისა მეაბრეშუმეობაზე, ტყავის ნაწარმოებზე, ქაგარზე, მატყლზე, საექსპორტო კვერცხზე, ბეწვეულზე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ნარკვევი ინჟ. ვეოლოგ კარაპეტიანის, ა.-კ სამთომადნო მრეწველობის ნაწარმოების ექსპორტის შესახებ და ნ. ორლოვის ვრცელი წერილი ხალიჩების დამზადების ხასიათის და გასაღების საკითხზე.

გეოლოგ კარაპეტიანის წერილში მოცემულია სამთომადნო ნაწარმოების მთავარი საექსპორტო საგნების დახასიათება: სპილენძი, ნავთი, ქვა-ნახშირი, რკინა, მარგანეცი, ცემენტი, მინერალური წყლები, იმათი გასაღების პირობები, როგორც რუსეთის ბაზარზე, ისე უცხოეთში. წერილში ყურადღებას იპყრობს ქვანახშირის საექსპორტო საგნად გადაქცევის შესაძლებლობა, რისთვისაც საჭირო იქნება წინასწარი მუშაობის ჩატარება. შავი-ქვის ვადამუშავებით, მისი გაწმენდის მოწყობით, რომლის შემდეგ მას შეუძლია შესცვალოს შედარებით ძვირი და იშვიათი პროდუქტი — ნავთი.

განსაკუთრებით საინტერესოა, ორლოვის წერილი: ხალიჩების, ნოხების, ჯეჯიმების ამიერ-კავკასიაში დამუშავება და მათი ექსპორტი. წერილში მოცემულია დაწვრილებითი აღწერა მისი შინამრეწველობითი სახით დამუშავების შესახებ, მასში უცხოეთის ბაზრის მონაწილეობა, მსოფლიო და ადგილობრივი ბაზრის გავლენა ამ სახის წარმოებაზე, საერთო დახასიათება ამ ძვირფასი ქსოვილისა, მისი წარმოების ადგილების მიხედვით, რომელიც მთელ მსოფლიოში ირჩევა: სპარსული, ოსმალური. კავკასიური, ჩინური, ინდოეთის და სხვა. წერილში ვრცლად არის მოცემული ამ სახის ნაწარმოების გასაღების ბაზრები და ის პერსპექტივები რომელიც ამიერ-კავკასიაში მომავალში ამ დარგში ისახება.

ეს წერილი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ საკითხზე იშვიათად მოიპოვება ამომწურავი ბეჭვდითი ნაწარმოები.

საერთოდ ეს დიდ ტომიანი წიგნი შეიცავს მრავალ სერიოზულად დამუშავებულ მასალას საექსპორტო საგნების შესახებ.

წიგნს დართული აქვს ქარტა ამიერ-კავკასიის საექსპორტო საქონლებისა.

ვ. გ.

კურორტების რუკა

საქართველოს კურორტების წინანდელი გეოლოგიური რუკები ამ ჟამად მეტად მოძველებულია. ეს რუკები ვერ გვაძლევენ წარმოდგენას თანამედროვე საკურორტო ქსელისა და მის სიმდიდრეთა შესახებ.

ამის გამო კურორტთა სამმართველომ გადასწყვიტა მიიღოს ზომები ჩვენი კურორტების ახალი რუკის შესადგენათ. ამას მოუნდება 2 წელიწადი. ამ მუშაობისათვის გადადებულ იქნება 150.000 მანეთამდე.

ამ ჟამად კურორტთა სამმართველომ დაამთავრა სპეციალისტ გეოლოგების, ინჟინერების და ექიმების ჯგუფის შედგენა, რომელსაც დაევალა საკურორტო გეოლოგიური რუკის დამუშავება. ამ მოკლე ხანში ეს ჯგუფი გაემგზავრება კურორტებზე, რომ ადგილობრივ შეუდგეს მუშაობას.

რადიო

რადიო - გადაცემა ტელეფონის საშუალებით

ფოსტა - ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველომ საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისაგან მიიღო წინადადება მოაწყოს ამიერ-კავკასიაში რადიო - გადაცემა ტელეფონის ქსელის საშუალებით.

რადიო - გადაცემის მისაღებად ტელეფონის საშუალებით საჭიროა ტელიფონის დამატებითი მილის დადგმა.

რადიო - სარგებლობისათვის დაწესებულია შემდეგი ფასი: თბილისში და ბაქოში ინდივიდუალური სარგებლობისათვის — 1 მან. 50 კაპ., ამიერ - კავკასიის დანარჩენ ადგილებში —1 მანეთი თვეში, მუშათა კლუბებისა და სხვა კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებისათვის კი — 6 მანეთი თვეში თბილისსა და ბაქოში და 3 მანეთი ამიერ - კავკასიის სხვა ადგილებში.

კინოები, თეატრები, კოოპერატიული სასადილოები და სხვა საერთო სარგებლობის დაწესებულებები თბილისსა და ბაქოში თვეში იხდიან 10 მანეთს, ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში კი—5 მანეთს.

ფეხბურთი

„დინამო“—„სახელ. უნივერსიტეტი“

დღეს, საღამოს 6 საათზე, „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება „დინამო“-ს და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის კალენდარული შეჯიბრი.

მსაჯი იქნება ამხ. იოსავა.

თბილისი — მოსკოვი

დღეს თბილისში მოელიან მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდ „დინამო“-ს, რომელიც აქ ჩაატარებს სამ შეჯიბრს თბილისის საუკეთესო გუნდებთან.

საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში

საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში დაიწყება ივლისის შუა რიცხვებში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ბათომის, ფოთის, სოხუმის, ქუთაისის და სხვა ქალაქების გუნდები.

პირველობის გათამაშება ჩატარებული იქნება თბილისში ან ბათომში.

თბ. მოსახლეობის ზრდა

სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით გასული წლის დეკემბერში თბილისის მაზრაში ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილების—მცხეთისა და მანგლისის გამოკლებით ითვლებოდა 154.716 მცხოვრები. მოსახლეობის მიხედვით მაზრაში ყველაზე დიდი თემია: ქვემო-წალკა, აღბულაღი, საგარეჯო მანგლისი დაყარაია. სქესის მიხედვით მაზრაში საერთოდ მამაკაცები სჭარბობენ ქალებს. ყოველ 1000 მამაკაცზე 956 დედაკაცი მოდის. 1926 წლის სასოფლო - სამეურნეო აღწერით კი 1000 მამაკაცზე 946 ქალი მოდიოდა, ასე რომ 1923-26 წლების განმავლობაში დედაკაცების პროცენტული შეფარდება თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გაზრდილა. თუ ცალკე თემებს ავიღებთ. ზოგიერთ თემებში, როგორიცაა ირაგი, ზემო-წალკა, ქვემო წალკა, შუა წალკა, ზემო თიანეთი და მანავა, დედაკაცების რიცხვი სჭარბობს მამაკაცების რიცხვს.

მოსახლეობის ზრდა გამოიხატება შემდეგში: 1923 წლის სასოფლო - სამეურნეო აღწერიდან (აღწერა ზაფხულში მოხდა) 1926 წლის საკავშირო აღწერამდე, ე. ი. 3 ნახ. წლის განმავლობაში მაზრაში მეკომლეთა რიცხვი გაიზარდა 3418-ით ხოლო მოსახლეობის რიცხვი 18.078 სულით. ამ გვარათ მოსახლეობის წლიური ზრდა თბილისის მაზრაში უდრის 3,6 პროცენტს, რაც ნორმალურზე მეტია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს ა. წ. 16 ივნისს საღამოს 6 საათზე ჩოდრიშვილის სახელობის ტრამვაის კლუბში (პლეხ. გამზ.) მოწვეულია **მუშათა ფართე კონფერენცია.** დღის წესრივი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2. საცალო ფასების დაკლების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის პლენუმი, რომელიც დანიშნული იყო 15 ივნისს ქალაქის ალმასკომის შენობაში, შესდგება ა. წ. 16 ივნისს საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში.

საქართველოს მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობა განმეორებით იუწყება, რომ ხელახალი რეგისტრაცია და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის უმუშევარ წევრების საქართველოს მბეჭდავთა კავშირში გადარიცხვა გრძელდება.

ყველა ის უმუშევრები, რომელთაც არ გაუვლიათ ხელახალი რეგისტრაცია, უნდა გამოცხადდენ მბეჭდავთა კავშირში ამა თვის 16, 17 და 18 რიცხვს დღის 10-დან 12 საათამდე ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის შენობაში. მუშათა სასახლე ოთახი № 40—41, მესამე სართული.

უმუშევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ ვადაზე, მექანიკურათ გარიცხული იქნებიან კავშირიდან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს, 17 ივნისს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული).

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში (კახეთის მოედანი № 1) შესდგება მესამე რაიონის უპარტიო **მუშათა ფართე კონფერენცია.**

დღის წესრიგში: 1) საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, 2) ფასების დაკლების შესახებ—ვაჭრობის ახ. კომისარიატის მოხსენება და საცალო ფასების შემმოწმებელ მუშათა კომისიის თანამოხსენება, 3) მიმდინარე საქმეები.

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. სოც: ეკონომიური ფაკულტეტის ბიუროს სხდომა მოწვეულია 16 ივნისს დილის 11 საათზე

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. სოც: ეკონომიური ფაკულტეტის უჯრედის კრება შესდგება 16 ივნისს საღამოს 8 საათზე წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი წინადადებას აძლევს უჯრედის პ. მ. მდივნებს გამოცხადდენ ბიუროკოლექტივში 16 ივნისს, 12 საათზე ამხ. გ. მეგრელიშვილთან.

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. ი. ბოჭორიშვილს გამოცხადდეს ბიუროკოლექტივში 16 ივნისს 12 საათზე.

სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი წინადადებას აძლევს სამკურნ. ფაკულტ. უჯრედის ტ. მდივანს და პედ. ფაკულტესისას აუცილებლად გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში 16 ივნისს, 12 საათზე.

ტ. ს. უ. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოდ, რომ დღეს 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე (მეორე სართულზე პროფკომის ოთახში) მოწვეულია უჯრედის წევრთა დახურული კრება. სავალდებულოა ამხანაგების დაუგვიანებლად გამოცხადება.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ ამა წლის 17 ივნისს (პარასკევს) დილის 10 საათზე რექტორის კაბინეტში შესდგება გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს სხდომა, ცალკე ფაკულტეტების კომუჯრედთა მდივნებთან ერთად.

სხდომაზე უნდა გამოცხადდენ ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატად მიღების და პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

სახ. უნ .აგრონომიულ ფაკ. ახ. ლ. კ. კ: ბიურო აცხადებს, რომ ამა წლის 17 ივნისს, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება ამავე უჯრედის კრება, დასწრება უჯრედის წევრთა და კანდიდატთა აუცილებელია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება **დაწინაურებულთა თათბირი.**

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. დაწინაურებულთა მოხსენება მუშაობის შესახებ (7 ამხ.).
2. დაწინაურებულთა ამოცანების შესახებ და მათთან მუშაობა აპარატს შიგნით .

სავალდებულოა შემდეგ დაწინაურებულ ამხანაგების დასწრება:

პირველ რაიონიდან ამხ. კირილე დობორჯგინიძე (საბინაო კოოპერაცია), ლუკა მელნიკოვი (მთავარი სახელოსნოები), მიხეილ დოლგოლევი (მთ. სახელ.), ალექსანდრე ჩოჩიევი (დეპო), ზაქარია სარდლიშვილი (რკ. გზ. პროფ. კავშირის არტელი), ალექსანდრე შეპელევი (ა.-კ. რკ. გზების სამმართველო), ვასილ ბარბაქაძე (დეპო), მიხეილ ზაცარინი (ა.-კ. სატრანსპორტო მომხმ. საზოგადოება), პავლე ბერიაშვილი (ა.-კ. რკ. გზ. სამმართველო). მიხეილ სერებრიაკოვი (დეპოს სარონოდო პარკი), ალექსანდრე ნიკოლაევი (ა.-კ. რკ. გზების სამმართველო).

მეორე რაიონიდან: სერგო ორკოშნელი (ტრამვაი), ანატოლი კანაველოვი (ტრამვაი), გიორგი მეტრეველი (წყალსადენი), გიორგი გამბაროვი ((ფაბრიკა მე-3-ე ინტერნ.), ალექსანდრე ქარუმიძე (ფაბრიკა მე-3-ე ინტერნაციონალი), სილიბისტრო სხირტლაძე („რუდმეტალტორგ“).

მესამე რაიონიდან: ივანე უჟიოვი (ბამბის ფაბრიკა), ივანე ნაფეტვარიძე (ზეთ საპნის ქარხანა № 2), ალექსანდრე ძამოევი (საპნის სახელი ტრესტი), ნიკოლოზ ფერიაშვილი (მაკარონის ფაბრიკა), ტოროს ტერნიაკი (ს.მ. უ. ს. სამთამადნო ტრესტი), სარქის მაილიანი (სამთამადნო ტრესტი). გოზალავა (ტყავ. ქარხ. № 3 დირექტორის მოადგილე).

მეოთხე რაიონიდან: პავლე სტოლცკი (ა.-კ. ფინსახკომი), მიხეილ პუსტოვალოვი (ა.-კ. ფინსახკომი), მაქსიმე თოხაძე (საქართველოს ფინსახკომი), ავეტიკ მიხეილის ძე კამალოვი (საქართველოს ფინსახკომი), ნიკოლოზ ქორიძე (საქ. ფინსახკომი), პეტრე დ. ნუცუბიძე (მიწადმოქმედების ახ. კომ.), ლევან არუთინოვი (მიწ. მოქ. სახ. კომ.), დუნდუა (საბინაო კავშირი), სოლომონ არეშიძე (შრომის ბირჟა), ვლადიმერ მახარაშვილი (შრომის სახ. კომისარიატი), დიმიტრი მორბელაძე (მეორე სამილიციო რაიონი), ალექსი მიქელაძე (მე-11-ე სამილიციო რაიონი), ვლადიმერ ა. ბელმანი (თემზა), ბერზაკი („ზ. ვოსტოკის“ სტამბა), მღებრიშვილი (მიწადმოქმ. სახ. კომისარიატი), მალოიანი („კრასნი ვოინ“-ის სტამბა), ჯაში (გამომცემლობა „შრომა“), კრიუჩკოვსკი (ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო).

იურიდიული დახმარება

ამხ. აკაკი [illegible]

პასუხი

როგორც რედაქციაში თქვენ მიერ წარმოდგენილ საბუთებიდან სჩანს, ბინის ქირას იხდით [illegible] (ხუჭენ და ივანე), რადგან ადასტურებს სახლის პატრონის მიერ თქვენდამი [illegible] ორივე ძმებისა [illegible] ბინის ქირის გადახდის შესახებ. ამის გამო ორივე ძმები ითვლებით ბინის კანონიერ დამქირავებლად და სახლის პატრონს არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს რომელიმე თქვენგანის ბინიდან გამოსახლება.

თუ კი რომელიმე თქვენთაგანი გავა ბინიდან მაშინ ბინა დარჩება აუცილებლად მეორე კანონიერ დამქირავებელს (მეორე ძმას).

თუ კი სახლის პატრონი დაიწყებს კინკლაობას, მაშინ წარუდგინეთ საბინაო ქვითრები საბინაო საქმეთა პროკურორს ამხ. ჩუბინაშვილს, რომელიც ადმინისტრატიული [illegible] სით მოგაშორებთ სახლის თავგასულ პატრონს.

მოქ. ოლღა გვალიას

პასუხი

ბინის ქირის რაოდენობა თქვენთვის, როგორც უმწეო ქვრივის წვრილ ობლების პატრონის, უნდა განსაზღვროს სასამართლომ თქვენი (როგორც დამქირავებლის) ნივთიერი მდგომარეობის მიხედვით, (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 28).

ბორჯომის ფ—ტ. კანტორის თანამშრ. (კავშირის წევრს წიგნ. № 97,848) ნ. ბერიშვილს.

პასუხი

დამზღვევი სალარო მოქცეულა სწორად, რომ მოუცია საგზაო და სხვა დახმარებები თქვენი ავადმყოფ ცოლისათვის. იგი სრულიად არ იყო ვალდებული თქვენთვისაც მოეცა საგზაო ფული.

სენაკის მაზრის სოფ. ლეხაინდრამ-ონოღიის მცხ. ლეონილე და პელაგია დანელიებს..

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ხართ უკიდურესი ღარიბნი და როგორც ასეთებს არავინ გითხოვენ ცოლად, ამისათვის გინდათ გაჰყიდოთ ერთი ქცევა მიწა (მეტი კი თქვენ არა გაქვთ) და გვეკითხებით მიწის გაყიდვის უფლება გაქვთ თუ არა.

გიპასუხებთ:

მიწის ყიდვის უფლება (თუ გინდ პატარა ნაჭერისას) არავის არ აქვს და არც თქვენ გაქვთ ამის უფლება. თუ მიწას გაყიდით, პასუხს აგებთ სისხლის სამართლის 192 მუხლის ძალით. (იხ. მიწის კოდ. მუხლი 25) ახალი რედაქციით საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. თებერვლის დადგენილება № 9.

გულდათუთქულნი, ყოველივე ნუგეშს მოკლებულნი დედა სადიკო გლახუას ასული დოლაბერიძის, ძმები: ალიოშა, მიშა, ვარლამი; დები: ფაცია და ვერა, რძალი თამარა იოსების ასული, ძმისშვილები ვენერა და ჟენია დოლაბერიძეები სამუდამოთ გულმოკლულნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

ქეთო (ქეთუნია) დოლაბერიძის

უდროვოთ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი ა-წ. 17 ივნისს, პარასკევს, დღის 4 საათზე სოფ. მაღლაკში (ქუთაისის მაზრა). 1—1 3045

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის განათლების მუშაკთა კავშირის პროფკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს, განათლების მუშაკთა კავშირის წევრის და ამავე ინსტიტუტის მესამე კურსის მსმენელ

მატრონა (ციცო) ძაგანიას

უდროვოდ გარდაცვალების გამო. 1—1 3046

მარიამ ორახელაშვილის სახელობის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აღნიშნავს ამავე ორგანიზაციის ძველი წევრის და ც. პ. ი-ს მე-III-ე კურსის მსმენელის ამხ.

ციცო (მატრონა) თედორეს ასული ძაგანიას

უდროოდ გარდაცვალებას—აგარაკ ცემში. 1—1 3050

თავზარდაცემული მშობლები საბა და მარიამი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი საყვარელი შვილის

ჯიმშერ საბას-ძე ჯიმშელიშვილის

უდროვოთ დაკარგვას. გასვენება მოხდება ხუთშაბათს 16 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე პეტრიაშვილის ქ. (ყოფ. უდელის ქ.) № 14 ახალ ვერის სასაფლაოზე. 1—1 3052

გულმოკლული დედა პელაგია მიხეილის ასული ონოფრიშვილი და მეუღლე ნატალია ილიას ასული ზენკო-ონოფრიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ—მეგობრებს და ნათესავთ, რომ შაბათს, 18 თიბათვეს, სოფ. კავთისხევში 10 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათ დაუვიწყარ და უდროოდ დაკარგულ

დავით ივანეს-ძეს ონოფრიშვილის

მე-5-ე კურსის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტის სულის მოსახსენებლად. 1—1 3048

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
სოლეი
ტელ. 14—03.
0—14 ნ. 1289

„გოსვოენკინოს“ საუკეთესო სურათი
„მისი უდიდებულესობის სოლისტკა“
აუარებელ ხალხს იზიდავს
(ყოფ. იმპერატ. თეატრების, ბალეტის სკოლების, კულისების და სცენის ცხოვრება).
უახლოესი დადგმები: ეთერში—„ბანდიტი ქალი“ სილსის მონაწილეობით, დარბაზში—„გრაფი კალიოსტრო“ კონრად ვეიდტის მონაწილეობით, აპოლოში—„ვენეციელი ვაჭარი“ გარი ლიდკეს მონაწილეობით.
მხოლოდ ერთი დღე
„გიული“
ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით.
ანონსი: მიღებულია უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს უდიდესი ნაწარმოები „ჰამბურგი“—თვალ-ყური ადევნეთ დადგმის დღეს.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დედობისა და ბავშვთა დაცვის ქვეგანყოფილება

ამით აცხადებს იმ დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოთ, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება მანგლისის ბავშვთა სანატორიუმში მოთავსების შესახებ, რომ შაბათს, 18 ივნისს, სად. 6 საათ., თბილისის ჯან. განყოფილების შენობაში (სომხის ბაზარი № 4, მე-3-ე სართ., ოთახი № 13) საექიმო კომისიის მიერ შემოწმებული იქნება მანგლისში გასაგზავნი ბავშვები.

აღნიშნულ დროისათვის ყველა დაინტერესებული ბავშვი უნდა იქნეს მოყვანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კარგავენ უფლებას. ნ. 1334

ქუთაისის ინვალიდთა სასოფლო სამეურნეო ნადის „დახმარება“-ს

სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს მოხსენებულ ნადის ყველა კრედიტორების საყურადღებოთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ნადის ლიკვიდაცია, რისთვისაც კრედიტორებმა უნდა წარმოადგინონ ყოველივე ცნობები დავალიანების შესახებ ქუთაისის სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექციაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ნ. 1328 1—1. **სალიკვიდაციო კომისია.**

ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. კოპალაძე

აცხადებს, რომ 21 ამა ივნისს დილის 12 საათზე ფოთის სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა გარდაცვალებული ვასილ იოსების-ძე თოფურიძის მემკვიდრეების პეტრე და ალექსანდრე ვასილის-ძენი თოფურიძენის, პეტრეს ცოლის ქსენია თოფურიძისა, ოლღა სისოს ასული მშვიდობაძის, ილიკო გრიგოლი ნიკოს-ძენი ღლონტები, ვალენტინა და მარიამ ნიკო ღლონტის ასულების, ანეტა ჩიქობავა ვასილ თოფურიძის ასულის, ქონების დასაკმაყოფილებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის 14036 მ. და 39 კაპ. ვალის დასაკმაყოფილებლად. ქონება მდებარებს ქ. ფოთში, ერთი ქვის ორსართულიანი სახლი ზედა სართული 2 ოთახი, მხოლოთ ქვევით 9 დახურული კრამიტის და თუნუქით ზეთვე მიდგმული ერთ სართულიანი ხის სამზარეულო ოთახი. შეფასებულია 10,000 მანეთი. სამი ქვის მაღაზიები შეფასებულია 3750 მანეთი ოჯახის ავეჯეულობა 115 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარმოუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. მე-311 და 312 მუხ. გათვალისწინებული ცნობები გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს შეფასებული ჯამის 10 პროც. ნ. 1331

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 17 ივნისს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 38 რუსთაველის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ირაკლი იანქოშვილის მოძრავ ქონებას: შიფონერის შკაფს, კამოდს, ფარდაგს და სხვ. საოჯახო ნივთებს შეფასებულს 185 მანეთად, მოქ. ბესო მაღალაშვილის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 მაისს. 31 მაისს, 14 ივნისის 1927 წ. თარიღით, № 1978—1803—1699 და 1700 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1—1 1329

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 168 გაცემული გორის მაზრის მმაჩის მიერ 1927 წ. 25 მარტს, ალექსანდრე მაჟავარიანის სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე ზუგდიდის მაზრის საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირების საწევრო წიგნაკი № 136, რაჟდენ სამუშიას სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4 გაცემული ზესტაფონის სამხედრო კომისარიატიდან დიმიტრი კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე სამხედრო სააღრიცხო წიგნაკი ფორმა № 4, და პირადობის მოწმობა ილია ძაგანიას სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 825 მელანა ძამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 324 და ტყით სარგებლობის ბარათი რევაზ შიოს-ძე გოგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3051

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1239, ბორის იოსების-ძე წიკლაურის სახელზე, ჩ. გ. 3044

---

3 ივლისს 1927 წ. მოწვეულია

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის

პლენუმი

(კრილოვის ქ. № 15), რომელზედაც დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საქ. წ. ჯ. საზ—ბის ცეკას პრეზიდიუმის 6 თვის მუშაობის შესახებ.
2. მოხსენება „პირველ დახმარების აღმომჩენი სკოლების“ შესახებ.
3. საქ. წ. ჯ. საზ—ბის წესდების ზოგიერთ მუხლების და ადგილობრივ სამეულის დებულების შეცვლის შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.

ნის. 1320 1—1. **პრეზიდიუმი.**

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

კურორტ წყალტუბოს სამმართ.
განცხადება

როგორც ყოველთვის აგრეთვე მიმდინარე სეზონზედაც კურორტ **წყალტუბოში** საექიმოდ მრავალი გლეხობა ჩამოდის, ბევრი მათგანი თხოულობს სხვა და სხვა შეღავათს, დაწესებულს ღარიბ გლეხობისათვის კურორტზე სამკურნალოთ, მაგრამ თან არ აქვთ არავითარი საბუთი მათი სოციალური მდგომარეობის დასადასტურებლათ. მიზეზათ ამბობენ: „არ ვიცოდი თუ საბუთი იყო საჭირო“, „დამავიწყდა“ და სხვა ასეთი. ამით კურორტის სამმართველო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ვინაიდან უსაბუთოთ, ძალიან სჭირს და არც კანონიერია რაიმე შეღავათის გაცემა.

კურორტ **წყალტუბოს** სამმართველო სთხოვს ყველა მაზრების თემალმასკომებს გამოუცხადონ გლეხებს, რომ ყველა იმ პირებმა, რომლებიც მოემგზავრებიან საექიმოთ **წყალტუბოში,** აუცილებლათ იქონიონ თან მოწმობა მათი სოციალური მდგომარეობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კურორტზე ვერავითარ შეღავათს ვერ მიიღებენ.

1—1 ნ. 1328.

კურორტ **წყალტუბოს** სამმართველოს დირექტორი **ჭანტურიძე.**

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—53. 13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ექიმი
კ. ს. პონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) **სპეციალისტი.**
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.
ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 64.